

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

კესო ბორჩხაძე

ეგერიას “მოგზაურობა” და ქართული ლიტურგიკული
პრაქტიკა V-X საუკუნეებში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სპეციალობა: ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი: მარინე გიორგაძე

ბათუმი-2019

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

კესო ბორჩხაძე

----- /ხელმოწერა/

----- /თარიღი/

შინაარსი

შესავალი.....გვ.5-11

თავი I მომლოცველობა და მისი ისტორია

1.1. ტერმინ მომლოცველის (პილიგრიმის) გაგებისათვის გვ.12-13

1.2. პირველი ცნობები პილიგრიმობის და პილიგრიმთა შესახებ.....გვ.13-21

თავი II ეკლესიის ლიტურგიკული პრაქტიკა ადრექრისტიანულ ხანაში (იერუსალიმის ეკლესიის ლიტურგია)

2.1. ცნობები პირველი ეკლესიის შესახებ.....გვ.22-24

2.2. პირველი ეკლესიის სტრუქტურა.....გვ.24-27

2.3. ღვთისმსახურების (ლიტურგიის) დაწესების შესახებ.....გვ.27-31

2.4. ხელდასხმის წესი ადრექრისტიანულ ეკლესიაში. წმინდა იაკობისა და სხვათა ლიტურგიები.....გვ.32-36

2.5. იერუსალიმის ეკლესიის ლიტურგიკა. იერუსალიმის ლიტურგიკა..... 36-40

თავი III ეგერია და მისი მოგზაურის დღიურები

3.1. პილიგრიმი ქალი ეგერია (ბიოგრაფიული ცნობები).....გვ.41-45

3.2. ეგერიას მოგზაურობა - ტექსტის შესახებ.....გვ.45-49

3.3.ცნობები პალესტინური ლიტურგიისა ეგერიას მოგზაურობის მიხედვით.....გვ.49-70

თავი IV ქართული ქრისტიანული ეკლესია V-X საუკუნეებში და ლიტურგიკული პრაქტიკა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით

4.1. ქრისტიანობის ისტორიის დასაწყისი საქართველოში.....გვ.71-77

4.2 ქართული ლიტურგიკა.....გვ.77-81

4.3. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.....გვ.81-90	
4.4. ქართული ლიტურგიკული პრაქტიკა და გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.....გვ.91-101	
დასკვნა..... გვ. 102-107	
დანართი #1. ეგერიას მოგზაურობის მარშრუტი.....გვ. 108	
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.....გვ.109-113	

შესავალი

სიღრმისეული განსაზღვრება ეკლესიის რაობისა პავლე მოციქულის ეპისტოლეში “ეფესელთა მიმართ” გადმოგვცა, სადაც მოციქული ამბობს, რომ ეკლესია არის „სხეული ქრისტე მაცხოვრისა“ (ეფ. 1:23). ეკლესიის თავი არის ქრისტე, რომელიც „დავსებს ყოველივეს ყოველში.“ (ეფ. 1:23)

ეკლესიის როლი ძალიან დიდია ქრისტიანულ ქვეყნებში. ეს როლი იმთავითვე განისაზღვრებოდა, როცა ქვეყანა ქრისტიანობას, როგორც სახელმწიფო რელიგიას, ისე აღიარებდა. ქრისტიანული რელიგია ეკლესიას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და დღესაც ანიჭებს, რადგან ეკლესიის მიზანია ერთობა შემოქმედსა და მის ქმნილებას (ადამიანს) შორის, რომ იგი თავისუფლებამდე აამაღლოს და ღვთაებრივ სრულყოფილებას აზიაროს. როგორც აღვნიშნეთ, პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში ამბობს, რომ ეკლესია ქრისტეს სხეულია, შესაბამისად, იგი ერთია როგორც მიწიერ, ასევე კოსმოსმიურ განზომილებაში. ფსალმუნში კოსმოსი უფლის კვართის სიმბოლოა, ანუ უფლის სამოსი, ხოლო „ახალი აღთქმა“ ეკლესიას ქრისტეს მისტიკურ სხეულად აღიარებს. წმინდა მამები ამბობენ, რომ უფალმა სამყარო ეკლესიისათვის შექმნა (ეკლესიის ისტორია, გვ.15).

ეკლესიის პირველი თვისება მის განუმეორებლობასა და ერთადერთობაშია, ამავე დროს იგი საყოველთაოა (catholice-საერთო, ერთიანი). ეკლესია არის თვით (ქრისტე) სხეული, რომელიც თავისთავში მოიცავს ყველაფერს, როგორც მიწიერს, ასევე ზეციერს, ამიტომ მიწიერი ეკლესია ზეციერი ეკლესიისაკენ მიმავალი ერთადერთი გზაა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც რწმენით დაკავშირებულ ხალხს, საიდუმლოებებსა და რიტუალებს მოიცავს თავისთავში. ისინი ერთ საეკლესიო იერარქიაში ერთიანდებიან და მოცემული დოგმატების, წესებისა თუ რიტუალების დაცვითა და გათვალისწინებით, ერთგვარ წესრიგსა და რწმენის გაძლიერებას იწვევს.

პავლე მოციქული და იოანე ღვთისმეტყველი ეკლესიას „ზეციურ იერუსალიმად“ მოიხსენიებენ, სადაც ანგელოსებთან ერთად წმინდანთა და მართალთა სულნი განისვენებენ. თავად იერუსალიმი „მშვიდობას ღვთისას“ ნიშნავს და მშვიდობას, როგორც სულიერ ერთობას, ზეციური და ამქვეყნიური სიყვარულისას, ისე გამოხატავს.

მართლმადიდებლური დოგმატიკის და ღვთისმეტყველების ერთ-ერთი მთავარი სფერო ეკლესიის შესახებ სწავლებაა. პირველი ორი მსოფლიო საეკლესიო კრება ტრინიტარული (წმინდა სამების აღიარების შესახებ) კამათის ეპოქა იყო, სადაც წმინდა წერილისა და გადმოცემის მიხედვით, გამოიკვეთა მართლმადიდებლური სწავლება ყოვლადწმინდა სამების შესახებ. კონცეფციამ ღვთაების „სამგვამოვნების“ შესახებ ქრისტიანულ ეკლესიაში მწვავე დისკუსია გამოიწვია (ე.წ. ტრინიტარული პაექრობანი). დოგმატი სამებისა შემუშავდა ნიკეის პირველ საეკლესიო (325 წელი) და კონსტანტინეპოლის პირველ (მეორე მსოფლიო) საეკლესიო (381წ) კრებებზე.

მომდევნო პერიოდში, ანუ ყოველი შემდეგი კრება, მათ შორის, ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრება იყო ეპოქა ქრისტოლოგიისა (თეოლოგიის ნაწილი, რომელიც სისტემატურად განმარტავს იესო ქრისტეს პიროვნების არსს). იგი საფუძვლად იღებს არსებულ და შემდგომში სამყაროში ძე ღვთისას გამოვლენის თემას. უფრო ვიწრო განმარტებით, ქრისტოლოგია ეწოდება სწავლებას, რომლის ამოსავალი იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრებაა, ანუ ამ დროს სწავლებამ ქრისტეს შესახებ, რომელიც სახარების ორგანული არსია, მიიღო დოგმატის ფორმა. ზოგადად ეკლესიის შესახებ სწავლება მრავალისათვის გაუგებარი რჩება. იგი არაერთი დავისა და კამათის საგანიც გამხდარა, იმდენად რამდენადაც ხშირად ეკლესიას მხოლოდ სამღვდელოებასთან აიგივებენ.

ქრისტეს პირველი მიმდევრები ტაძრებში მხოლოდ ლოცვისთვის იკრიბებოდნენ, მაგრამ სხვა რიტუალს, მაგალითად პურის გატეხის წესს, ანუ ევქარისტიას სახლებში აღასრულებდნენ. მორწმუნეთა რიცხვის ზრდამ, შესაბამისად,

მოითხოვა ეკლესიის, როგორც ცალკე სალოცავი სახლის აუცილებლობა, განსაზღვრავდა ქრისტიანულ სწავლებასა და ქრისტეს მოძღვრებაზე დაფუძნდებოდა.

მოგვიანებით, როცა ჩამოყალიბდა ერთიანი ეკლესია, როცა ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, წმინდა მამებმა ერთიანი საღვთისმსახურო წესები შეიმუშავეს, რომლის მიხედვითაც აღესრულებოდა ლიტურგია. ეს წესი, რა თქმა უნდა, ყველა ეკლესიისათვის საერთო უნდა ყოფილიყო, თუმცა მეტ-ნაკლები განსხვავებით. რას უნდა გამოეწვია ეს განსხვავება, თუკი ეკლესიის არსი ერთიანობაშია და შესაბამისად, მსოფლიო ეკლესია ერთ საეკლესიო წესს უნდა დამორჩილებოდა? სავარაუდოდ, ეს განსხვავებულობა გამოწვეული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ქვეყნის გეოგრაფიული და ერის მენტალობის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანიც სწორედ ესაა. კერძოდ, წარმოგვეჩინა კავშირი ქართულ და იერუსალიმის ეკლესიებს შორის, რაც ვცადეთ კონკრეტულ მასალებზე დაყრდნობით გაგვეხილა.

კვლევის ობიექტი:

ჩვენი სადისერტაციო კვლევის ობიექტია კიდევ ერთი დადასტურება იქნება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა მსოფლიო ეკლესიის ერთიანობაში. საანალიზოდ აღებული გვაქვს კონკრეტულად ერთი ისტორიული ეპიზოდი ქართული ეკლესიის ისტორიიდან, კერძოდ, V-X საუკუნეების ქართული ეკლესიის ისტორია და ლიტურგიკა (ღვთისმსახურება) და პარალელი გავავლეთ ამავე საუკუნის იერუსალიმურ ლიტურგიკასთან.

ქართული ეკლესიის ღვთისმსახურების ისტორიისა და მისი იერუსალიმის ეკლესიასთან კავშირის კვლევა არ ახალია, თუმცა ჩვენი მიზანია არა უკვე გამოკვლეულის განმეორება, არამედ ამ ისტორიის კვლევა ახალ კონტექსტში, ერთი უძველესი ლათინურენოვანი ხელნაწერის მიხედვით, რომელიც IV საუკუნეს მიეწერება და მისი ავტორი პილიგრიმი (მომლოცველი) ქალი ეგერია (ზოგიერთ წყაროში სილვია-

ეთერია) აკვიტანელია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტექსტი ქართულად არ არის თარგმნილი და, შესაბამისად, ტექსტის ანალიზი საინტერესო იქნება საზოგადოების ფართო წრისათვის.

კვლევის მიზნები და ამოცანები:

ჩვენი კვლევის მიზანია ორი ლიტერატურული ტექსტის 1. გიორგი მერჩულეს “წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ და 2. „ეგერიას მოგზაურობა“, - შედარება - ანალიზი; ღვთისმსახურების შესახებ არსებული მონაკვეთების ტექსტუალური კვლევა და ამ ორ ტექსტზე დაყრდნობით პარალელებისა და მსგავსების პოვნა ქართულ და იერუსალიმურ ღვთისმსახურებაში, ლიტურგიკის განვითარების ადრეულ ეტაპზე; შესაბამისად, იმ გავლენის კვლევა, რაც იერუსალიმურმა ლიტურგიამ მოახდინა ქართული ღვთისმსახურების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზნის მისაღწევად შემდეგი ამოცანები დავისახეთ:

1. გაგვეცნო და გაგვეხილა პილიგრიმოზა და მისი ფენომენი ქრისტიანულ სამყაროში; რა ფუნქცია შეიძლება დაკისრებოდა მომლოცველების ჩანაწერებს. რამდენად შესაძლებელი იყო მისი, როგორც ლიტერატურულ თუ ისტორიულ წყაროდ მიჩნევა.
2. შეგვესწავლა ქრისტიანული ღვთისმსახურების თავისებურებები ეკლესიის ისტორიის ადრეულ ეტაპზე, ადრექრისტიანულ ეპოქაში.
3. წარმოგვედგინა და გაგვეანალიზებინა IV საუკუნის საინტერესო და ვფიქრობ, მნიშვნელოვანი დოკუმენტის არსებობა, რაც ფართო საზოგადოების დაინტერესებასაც გამოიწვევდა, რომელშიც მოგზაური ქალი ეგერია (ეთერია-სილვია) აღწერს პალესტინასა და იერუსალიმში არსებულ ეკლესიებსა და ამ ეკლესიების ლიტურგიკას (ღვთისმსახურებას).

4. ქართული ეკლესიის ისტორიის ადრეული ეტაპის კვლევისას წინ წამოგვეწია V-X საუკუნეების ქართული საეკლესიო ღვთისმსახურებისათვის დამახასიათებელი ნიშნები; მათი მსგავსება, თუ განსხვავება იერუსალიმის ეკლესიის ღვთისმსახურებასთან.
5. გიორგი მერჩულეს „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებისა“ და პილიგრიმი ქალის „ეგერიას მოგზაურობის“ ტექსტების ანალიზზე დაყრდნობით, გაგვევლო პარალელები ღვთისმსახურების მსგავსება-განსხვავებულობაზე ქართულ და მსოფლიო ეკლესიებს შორის V-X საუკუნეებში.

კვლევის პარალელურად გვიხდებოდა უცხოენოვანი ტექსტიდან (ლათინურიდან) შესაბამისი მონაკვეთების თარგმნა, რაც კიდევ უფრო მეტად საინტერესოს ხდიდა ჩვენს კვლევას.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:

წარმოდგენილი ნაშრომი საინტერესოა, რადგან ახალი ტექსტის კვლევა და მისი დაკავშირება არსებულთან ნიშნავს საკითხის აქტუალობას. ეკლესიის ისტორიისათვის ლიტურგიული პრაქტიკის კვლევა შესაძლებელია ახალი ფაქტებით შეივსოს. მოხდება შეპირისპირებითი ანალიზი ქართული და იერუსალიმური ლიტურგიული პრაქტიკისა.

კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძვლებს წარმოადგენს კომპლექსური კვლევის მეთოდები. გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: ნაშრომის შესაბამისი წყაროებისა და ლიტერატურის შესწავლა, მონაცემთა ანალიზი. შედარება-შეპირისპირებითი ანალიზისა და სინთეზის, ტექსტის სემანტიკური ანალიზი, ტექსტის თარგმანი და ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, თოთხმეტი პარაგრაფისა და დასკვნებისაგან.

წარმოდგენილ ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და ინტერნეტ-წყაროების მითითება.

ნაშრომის პირველი თავი - პირველ თავი „მომლოცველობა და მისი ისტორია“ განიხილავს პირველ ცნობებს პილიგრიმოზის შესახებ, მის ისტორიას. რა მნიშვნელობა ენიჭებოდათ მომლოცველებს ქრისტიანობაში. ჩვენამდე მოღწეული პილიგრიმთა ჩანაწერებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ კვლევას.

მეორე თავი - მეორე თავში გადმოცემულია ქრისტიანული ღვთისმსახურების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ცალკეულად განიხილავს „ახალი აღქმის“ ღვთისმსახურებას, მის სტრუქტურას. მოციქულთა პერიოდის ღვთისმსახურების წესს, იაკობ მოციქულისა და მარკოზ მახარობლის ლიტურგიებს. სამონასტრო ტიპიკონების, კერძოდ, იერუსალიმის მონასტრის ტიპიკონის აღწერასა და განხილვას.

მესამე თავი - მესამე თავში გადმოვეცით ეგერია (ეთერია-სილვია) აკვიტანელის ბიოგრაფიული ცნობები და მისი ჩანაწერების შესახებ დაცული ინფორმაციები. ტექსტის სტრუქტურა და შინაარსი. გარკვეული მონაკვეთების თარგმანის დართვა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პილიგრიმი ქალის, მისი სურვილებისა და მოგზაურობის მიზნების შესახებ. აგრეთვე იმ დროის პალესტინასა და იერუსალიმში არსებულ მდგომარეობაზე. ამ უმნიშვნელოვანესი წყაროს მნიშვნელობაზე ეკლესიის ისტორიისათვის.

მეოთხე თავი - მეოთხე თავში განხილული გვაქვს ქართული ქრისტიანული ეკლესიის ისტორია V-X საუკუნეებში და ლიტურგიკული პრაქტიკა გიორგი მერჩულეს „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მიხედვით. ყურადღება არის გამახვილებული ცნობებზე ქართული ეკლესიის შესახებ, უშუალოდ მოცემულ პერიოდში (V-X სს-ბი). გიორგი მერჩილეს „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მიხედვით გამოკვეთილი

და განხილულია ის მასალა, სადაც უშუალოდ გვხვდება ცნობები ტაო-კლარჯეთის ეკლესიებში არსებული ტიპიკონების მიხედვით მიმდინარე ღვთისმსახურებაზე. პარალელური ტექსტების შეჯერებით წარმოვაჩინეთ ქართული პრაქტიკის მსგავსება-განსხვავება იერუსალიმისა და პალესტინის ეკლესიებთან.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნაში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

თავი I

მომლოცველობა და მისი ისტორია

1.1 ტერმინ მომლოცველის (პილიგრიმის) გაგებისათვის

პილიგრიმოზის (მომლოცველობის) ისტორია ისეთივე ძველია, როგორც თავად ქრისტიანობა. ქრისტიანობის გავრცელებას ერთგვარად მოჰყვა კიდევ სურვილის გაჩენა ერთმორწმუნეებში, მოენახულებინათ და მოელოცათ ის წმინდა ადგილები, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა მესიას, ღვთისმშობელსა თუ სხვა წმინდანებს, მათ ამქვეყნიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ისინი ფიქრობდნენ, წმინდა ქალაქში ჩასვლით, სხვადასხვა წმინდა ადგილების მოლოცვითა თუ ხელის შეხებით გამოისყიდდნენ ყველა ცოდვას, ამიტომ მიენდობოდნენ ღმერთს და მიემართებოდნენ უპირველეს ყოვლისა პალესტინისაკენ. მათი რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ ფიქრობდნენ, წმინდა ადგილის მონახულებითა და სიწმინდეებზე შეხებით, სულის თავისუფლება და ცხოვნებას მოიპოვებდნენ. მომლოცველები (პილიგრიმები) უარს ამბობდნენ ყოველგვარ კომფორტზე. ხშირად უარს ამბობდნენ ყოველგვარ ამქვეყნიურ მონაგარზე, ყიდდნენ ქონებას, ურიგებდნენ ღარიბ-ღატაკებს, განიმარცვებოდნენ მდიდრული სამოსიდან, შეიმოსებოდნენ მწირის ტანსაცმლით და შეუდგებოდნენ ქრისტეს გზას.

საინტერესოა ისიც, რომ პირველ პილიგრიმებს ჩამოუყალიბდათ გარკვეული ფორმა შესამოსელისა და გარეგნული იერი. პილიგრიმი მამაკაცი აუცილებლად გრძელ თმასა და წვერს ატარებდა. წელზე თოკს შემოიჭერდა, რომელზეც მათარა ჰქონდა წყლისათვის, პატარა გუდა ხმელი პურისათვის. ერთ ხელში ჯოხს დაიჭერდა, გადაადგილებაში რომ დახმარებოდა, ხოლო მეორე ხელში აუცილებლად პალმის ტოტი ჰქონდა საჩრდილობლად. მათი ლათინური სახელიც აქედან მომდინარეობს (peregrinus, a, um- მოხეტიალე, მოგზაური, უცხოელი, წამსვლელი; peregrino, atus sum, ari - მოგზაურობა, ხეტიალობა).

ამით ისინი ერთგვარად სიმბოლურად გამოხატავდნენ ქრისტეს მიერ იერუსალიმში დიდებით შესვლას, როცა პასექის დღესასწაულზე მაცხოვარი კარაულზე ამხედრებული დიდებითა და ოსანას გალობით შედის იერუსალიმში და გზად პალმებს უფენდნენ (B.C. Бобринской. М., 1999. გვ. 96)

1.2. პირველი ცნობები პილიგრიმობისა და პილიგრიმთა შესახებ

პილიგრიმების შესახებ ყველაზე ადრეული ცნობები ბიბლიაში დასტურდება. როდესაც იუდეველები პასექის დღესასწაულის აღსანიშნავად დაიძრებოდნენ იერუსალიმისაკენ, რათა დიდ ტაძარში აღევლინათ ლოცვა და პატივი და თაყვანი ეცათ უფლისათვის. ამის მაგალითს თავად ქრისტეც ამღევეს ადამიანებს, როდესაც დიდებით შედის იერუსალიმში (იოან.12:10-16).

რომი მშვიდობიანობის დროს გზებზე უსაფრთხო გარემოს ქმნიდა, უზრუნველყოფდა იმას, რომ როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო გზები გათავისუფლებული ყოფილიყო ავაზაკებისაგან, მოსახერხებელი ყოფილიყო მგზავრობა ლეგიონების, ვაჭრების, თუ მოხეტიალე პილიგრიმებისათვის. მოგზაურებისათვის არსებობდა სპეციალური რუკები, სადაც მონიშნული იყო ადგილები, სადაც შეძლებდნენ ღამის გათევას, დაპურებას და ცხენების გამოცვლას (B.C. Бобринской. М., 1999. გვ. 98). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რომის ყველა ძირითადი გზა ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ იყრიდა თავს და იგი ერთგვარად აღმოსავლეთ და დასავლეთ კულტურებს ერთმანეთს უკავშირებდა. ამიტომ მოგზაურები ხშირად ხომალდით გადაადგილდებოდნენ. ხომალდის გემბანზე ერთმანეთის გვერდიგვერდ სხვადასხვა ეროვნებისა თუ რჯულის ადამიანები იყრიდნენ თავს. ეს იყო საუკეთესო ადგილი განსაკუთრებით მქადაგებლებისათვის, რომლებიც ადვილად შეძლებდნენ ქრისტეს რჯული ექადაგათ. ასე მოიქცა მოციქული პავლე (Аман А.-Г. М., 2003. გვ. 46.).

ადრექრისტიანულ ხანაში უამრავი მოგზაური იყო, რომელთა ნაწილი ვაჭრები, სახელმწიფო, თუ სამხედრო პირი იყო, მაგრამ ამათ გვერდით ქრისტიანი პილიგრიმებიც იყვნენ, რომელთა მიზანი ქრისტეს რჯულის უკეთ შეცნობასა და შემეცნებაში მდგომარეობდა. მოგვიანებით, მეორე საუკუნეში, როცა ქრისტიანობა რომის იმპერიაში მეტად გავრცელდა, პილიგრიმები წმინდა მიწისკენ იმ მიზნით დაიძრნენ, რათა უფრო მეტი გაეგოთ დიდი საეკლესიო ცენტრების შესახებ რომში, კორინთოში, ალექსანდრიასა თუ ანტიოქიაში. მოგზაურებს ყოველთვის ჰყავდათ გამცილებლები. გამონაკლის არც ქრისტიანი მომლოცველი (პილიგრიმი) იყო, რადგან მას მთელი ქრისტიანული თემი აცილებდა; იგი ერთგვარ ელჩად ითვლებოდა სხვა ქრისტიანულ თემთან. კირილე იერუსალიმელის ცნობით პილიგრიმობა მოციქულთა ეპოქაშივე გაიზარდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მრავალრიცხოვნება მომლოცველებისა მას შემდეგ შეინიშნება, რაც IV საუკუნეში იერუსალიმში იმოგზაურა კონსტანტინე დიდის დედამ, დედოფალმა ელენემ და იერუსალიმში, კერძოდ, გოლგოთის მთაზე აღმოაჩინა ის წმინდა ჯვარი, რომელზეც გადმოცემის თანახმად უფალი აცვეს. ითვლება, რომ ქრისტიანულ სამყაროში ამ დრომდე იერუსალიმს ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა, იგი რომის იმპერიაში საგარნიზონო ქალაქად ითვლებოდა. ამ ამბის შემდეგ კი იერუსალიმმა სხვა მნიშვნელობა შეიძინა თავისი არქიტექტორული და სულიერი მნიშვნელობით, რომელიც დაკავშირებული იყო ქრისტეს ცხოვრებასთან. ქრისტიანულ სამყაროში გაჩნდა იდეა, რომ ყველა ეს ადგილი მატერიალიზებული ყოფილიყო, როგორც რელიკვია. პალესტინის, როგორც ქრისტიანული სამყაროს ცენტრად ქცევაში დიდი როლი იმპერატორ კონსტანტინეს ოჯახის ქალების დამსახურებაა, რადგან თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მათ ჩაუყარეს საწყისი ე.წ. ქრისტიანულ არქეოლოგიას. ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაზე კონსტანტინემ შესთავაზა კრების მონაწილეებს, რომ იერუსალიმი წმინდა ქალაქად წოდებულიყო, ხოლო მაცხოვრის შობის ადგილას ქრისტეს შობის ტაძარი აეგოთ. ზეთისხილის მთაზე ააგეს ფერისცვალების ეკლესია. ეკლესია ააგეს აგრეთვე გოლგოთაზე, სადაც მაცხოვარი აცვეს ჯვარზე (Беляев Л. А. М., 1998. გვ. 19-20.).

ევსევი კესარიელი თავის თხზულებაში „კონსტანტინეს ცხოვრება“ აღწერს ამ სამუშაოებს, თუ როგორ დაანგრის ადრეული ტაძარი აფროდიტესი და გათხრების შედეგად ჩამოინგრა და ჩამოიშალა მიწა, რომელიც შებილწული იყო წარმართებისგან და მათ წინ აღმოჩნდა ბუნებრივი კლდეები, რომელიც გოლგოთად იწოდებოდა (ევსევი კესარიელი, 3:3).

ევსევი კესარიელი კონსტანტინე დიდის ამ საქმიანობას ასე აღწერს: „ღვთისგან რჩეულმა იმპერატორმა კონსტანტინემ ეს საქმიანობა ასე დაიწყო: ყურადღება მიაქცია პალესტინას. იგი ფიქრობდა, რომ ეს მისი ვალი იყო, რათა ღვთის სახელზე აეგო უფლისთვის შესაფერისი სახლი, რომელიც მას წმინდა სულმა ჩააგონა და ფრთა შეასხა კიდეც. იმპერატორმა ბრძანა გოლგოთაზე აეგოთ ტაძარი, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამ მშენებლობას ხელმძღვანელობდა იერუსალიმის ეპისკოპოსი მაკარიოსი (ევსევი კესარიელი, 3:5).

ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვა აგრეთვე სხვა მშენებლობებიც: კონსტანტინე დიდის დედამ, დედოფალმა ელენემ, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ შემდეგ წმინდანად შერაცხა და დამ ევტერპიამ ააგეს ზეთისხილის მთაზე ფერისცვალების ეკლესია. დედოფლის სახელს მიეწერება აგრეთვე წმინდა ჯვრის აღმართვაც. და იერუსალიმი არა საგარნიზონო ქალაქად, არამედ წმინდა ქალაქად აღიარეს. ამას, რა თქმა უნდა, ქალაქის სხვაგვარად შენება მოჰყვა. აშენდა უამრავი სასტუმრო სახლი, სადაც უცხოელები უნდა მიეღოთ, დიდი საავადმყოფოები. ამას ემატებოდა მომლოცველთა უფრო მეტად გაზრდილი ტალღა, რასაც მეტი შენობების აუცილებლობა მოჰყვა. პილიგრიმ-მომლოცველები ხშირად იმ პუნქტამდეც კი მიდიოდნენ, სადაც იუდეველი მოსახლება ან წარმართები ცხოვრობდნენ. მათ არ აშინებდა მტრული დახვედრა, რადგან ძალიან დიდი იყო სურვილი წმინდა ადგილების მონახულებისა და მოლოცვისა. ქრისტიანებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წმინდანთა საფლავები თუ აკლდამები იყო, რომელთა შესახებ ძველ აღთქმაში იკითხებოდა. განსაკუთრებული პოპულარობით სოლომონ მეფის საფლავი გამოირჩეოდა.

VI საუკუნის იტალიელი მომლოცველის ჩანაწერებიდან ვეცნობით ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც მოგვითხრობს, რომ ისინი წმინდა სიონის ბაზილიკაში მივიდნენ, სადაც უამრავი წმინდა საგანი ინახება და მათ შორისაა ის ქვაკუთხედი, რომელიც, როგორც ბიბლიაშია ნახსენები, გადაადგეს მშენებლებმა (ფს. 118:22) როდესაც იესო ქრისტე მივიდა იაკობის სახლში, მან ნახა ეს გადაადგებული ქვა, აიღო და იქვე კუთხეში დადო. თუკი ამ ქვას აიღებთ და ყურთან მიიტანთ, მაშინ უამრავი ადამიანის ხმას გაიგონებთ. მომლოცველი აღნიშნავს, რომ ამავე ბაზილიკაში შესაძლებელია ნახო ის ბოძი, რომელზეც იყო მიკრული ქრისტე და იმდენად მჭიდროდ, რომ ახლაც შეინიშნება მასზე ტანის, ხელისა და თითების ანაბეჭდები და თუკი ამ ბოძს შემოახვევთ ტილოს, მაშინ მას სასწაულმოქმედის ძალა მიენიჭება, ხოლო თუკი ამ ტილოს ნაჭერს მორწმუნე თან ატარებს, მაშინ ქრისტეს სიყვარული და რწმენა უფრო გაუძლიერდება. აქვე არის შესაძლებელი ნახოთ ის ქვები, რომლითაც ჩაქოლეს წმინდა სტეფანე და აქვეა იმ ჯვრის ნაწილიც, რომელზეც პეტრე გააკრეს. ამავე ტაძარში ინახება-პილიგრიმის რწმუნებით ის თასი, რომლიდანაც ქრისტეს აღდგომის შემდეგ სვამდნენ წყალს, რათა ამით ღვთის წყალობა მიეღოთ.

პილიგრიმული მოგზაურობა საკმაოდ რთული და მძიმე იყო. აქ ერთმანეთის პირისპირ სხვადასხვა მხრიდან მომავალი მომლოცველები ხდებოდნენ. განსაკუთრებით რთული იყო იგი ქალებისათვის, რადგან გარდა გზის სიგრძისა გასათვალისწინებელი იყო აგრეთვე კლიმატური პირობებიც, რადგან მომლოცველებს გზის დიდი ნაწილის გავლა უდაბნოზე უწევდათ. ეს გზები საკმაოდ დაშორებული იყო დასახლებული პუნქტიდან და ამიტომაც მასზე მიმავალთ ამავდროულად სჭირდებოდათ აუცილებელი საჭიროების ნივთები. ღარიბი მომლოცველები ფეხით მიმოდიოდნენ წმინდა ადგილებისაკენ, ხოლო მდიდრები ცხენებით გადაადგილდებოდნენ. როგორც ირკვევა, თითოეულ მათგანს დაახლოებით 30 კმ-მდე უწევდა გზის გავლა (Аман А. -Г. გვ. 44.)

გზად მიმავლებს, რა თქმა უნდა, ესაჭიროებოდათ დასვენება, ამიტომ ეკლესიის მესვეურებმა ამაზე იზრუნეს და მონასტრებთან ახლოს სპეციალური სასტუმრო სახლები ააგეს, სადაც პილიგრიმებს შეეძლოთ მცირე კომფორტი მიეღოთ თავიანთ

მძიმე და რთულ გზაზე. მოციქულთა საქმეებში მოიხსენება სამი ფუნდუკი, სადაც შესაძლებელი იყო ცხენების გამოცვლა რომისკენ მიმავალ გზაზე, მარადიულ ქალაქამდე 47 კილომეტრზე (საქმ. 28:15).

საინტერესო ცნობებს შეიცავს ძველი აღთქმის წიგნები იმ მამებზე და დედებზე, რომლებმაც მგზავრები შეიფარეს: აბრაამი, ლოთი, რებეკა, იობი.

იობის წიგნში წერია: „მწირს გარეთ არ გაუთვია ღამე, კარი ღია მქონდა მგზავრისათვის“ (იობ. 31:32).

რომის ეპისკოპოსი კლიმენტი კორინთოელ ქრისტიანებს მიმართავს, რომ იყვნენ სტუმართმოყვარენი, როგორც ლოთი, რომელიც თავისი ღვთისმოსაობითა და სტუმართმოყვარეობით გადაურჩა სოდომის რისხვას და მაშინ, როცა მთელი ქალაქი დაიღუპა გოგირდის ცეცხლში, ლოთი უვნებლად გამოდის ქალაქიდან. ამით უფალმა აჩვენა ყველას, ვინც მას მიენდობა, იგი მისი მფარველობის ქვეშაა. (გ.კოპლატამე, გვ.)

სტუმართმოყვარეობა ლუკას სახარებაშიც არის შექებული (ლუკა 10:34; 11:5); მასპინძელი, რომელიც შეიფარებს მგზავრს, უფლისგან დალოცვილია, რადგანაც „მშობი და მომეც საჭმელი; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და შემიწყნარეთ“ (მათე 25:35).

ქრისტიანული თემი ყოველ მწირ-მომლოცველს დიდი სიხარულით იღებდა, რაც ერთგვარ აღტაცებას იწვევდა არაქრისტიანულ თემში. არისტიდე თავის აპოლოგიაში აღნიშნავს, რომ {ისინი} ყოველ მწირს ისეთი დიდი სიხარულით და სიყვარულით იღებდნენ, თითქოს დიდი ხნის უნახავ ძმებს ხვდებიანო (Аман А. -Г. გვ. 52).

მოციქულთა საქმეში მითითებულია, როგორ უნდა მიიღო მწირი: “დაეხმარეთ მათ, როგორც შეძლებთ“ დააპურეთ, ღამე გაათევინეთ და თუ სადღესასწაულო სუფრის დროს შემოგესტუმრა, მაშინ საპატიო ადგილზე დასვი და გაუმასპინძლო. (Аман А. -Г. გვ. 53)

ჩვენამდე არაერთი დოკუმენტია მოღწეული, სადაც მომლოცველთა ჩანაწერებიდან ვიგებთ მოგზაურობის მიზანს და აღწერილია ის მარშრუტი, რომელიც გაუვლია მომლოცველს მოსალოცად თუ მოსანახულებლად.

„და თუ ამის შემდეგ მე ცოცხალი ვიქნები ან მოგიყვებით იმ ღვთაებრივი სიყვარულზე და თუკი ღმერთი ინებებს, ყველა იმ ადგილზე, რომელიც მოვილოცე. მოგწერთ ყოველივეს, თუკი უფლის ნება იქნება. თქვენ, ჩემო ძვირფასო დებო, იყავით მოწყალენი და მომიხსენიეთ ლოცვებში ცოცხალი, ან მკვდარი“- ვეცნობით VI საუკუნის მომლოცველი ქალის ეგერიას ეპიტოლებში („ეგერიას მოგზაურობა“ 3:2-4).

პილიგრიმობის გზაზე დადგომა თავისთავად ნებაყოფლობით უარის თქმას ნიშნავდა ყოველგვარ საცხოვრებლის პირობებზე. ისინი ათასობით კილომეტრით შორდებოდნენ ოჯახებს, მშობლიურ მხარეს და თვეობითა და წლობით მიდიოდნენ ამ სახიფათო გზაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად ვერც კი აღწევდნენ დასახულ მიზანს მაგრამ იმდენად დიდი იყო სურვილი მოელოცათ, მოეხილათ ყველა წმინდა ადგილი და იმდენად სწამდათ, რომ ამით ცოდვებისაგან განიწმინდებოდნენ, არ უფრთხოდნენ შესაბამის ხიფათს. , რადგან ეს გზა ერთადერთი იყო მათი სულიერი გამტკიცებისათვის.

650 წელს ვინმე ბერი ვალერიუსი წერს ღვთაებრივი ეთერიას (ეგერიას) შესახებ, რომელიც, როგორც წყარო მიგვითითებს, ბორდოდან უნდა ყოფილიყო: იგი დიდი სიხარულით დათანხმდა იმას, რომ ყოფილიყო მწირი მომლოცველი, რათა მიეღო თავისი ადგილი ზეციურ სამეფოში და ყოფილიყო წმინდა ქალწულთა დასში. იმ დროში, როცა ღვთაებრივი ეკლესიის სხივი მოეფინა დასავლეთის ამ შორეულ ქვეყანას, ღვთაებრივმა ქალწულმა ეთერიამ, რომელიც აივსო სურვილით ღვთის რწმენითა და მოწყალებით, მიაღწია წმინდა მიწაზე და სასურველი ადგილები - შობის, ჯვარცმისა და აღდგომის ადგილები მოიარა, მოილოცა სხვადასხვა პროვინციები და ქვეყნები, სადაც არის წმინდანთა საფლავები“ (Письма паломницы IV века. М., 1994. გვ.136).

ღვთაებრივი პავლა, მდიდარი და ცნობილი რომაელი ქალბატონი იყო, რომელიც მას შემდეგ, რაც მოისმინა წმინდა იერონიმეს ქადაგებანი, უარს ამბობს საერო

ცხოვრებაზე, ჰყიდის თავის ქონებას, ურიგებს ღარიბებს და შორეულ აღმოსავლეთში მიემგზავრება, სადაც ორი წელი დაჰყო და მოილოცა წმინდა ადგილები და საბოლოოდ თავისი ორგანიზებით აგებს მონასტერს ბეთლემში, სადაც 20 წლის მანძილზე მოღვაწეობდა კიდეც. იგი 56 წლის ასაკში გარდაიცვალა. ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც მონაზონ მარკელას გაუგზავნა ბეთლემიდან, იგი წერს, რომ „აქ უამრავი წმინდა ადგილია, რომლის მონახულებას ერთი დღე როდი ეყოფა. ენას არ შეუძლია აღწეროს ის მღვიმე, სადაც მაცხოვარი მოევლინა სამყაროს... როგორც უკვე მოგწერე, ბეთლემში, ქრისტეს შობის ადგილას, ყველაფერი უბრალოა. აქ არის სიჩუმე, რომელიც მხოლოდ ფსალმუნთა ჟღერით ივსება. სადაც არ უნდა გაიხედო, ირგვლივ ხვნა-თესვაა და სადაც ყოველი გუთნისდედა ალილუიას გალობს. მევენახენი, თუ სხვა მუშაკნი დავითის ფსალმუნებს მღერიან. როდის დადგება ის დღე, როდესაც მაცნე მოიტანს ამბავს, რომ ჩვენი მარკელა პალესტინის საზღვრებს მოადგა? როდის დადგება ის დღე, როდესაც ჩვენ ერთად შევალთ და მოვილოცავთ ჩვენი მხსნელის, სამყაროს მეუფის, ქრისტეს შობის ადგილს? როდის დავღვრით ცრემლებს ჩვენი დებისა და დედების ნაცვლად ქრისტეს საფლავთან, ცრემლით გავბანთ ქრისტეს ჯვარს, ავალთ ზეთისხილის მთაზე და ფერისცვალების ადგილას შევასრულებთ აღთქმულ ლოცვას? ვნახავთ ლაზარეს აღდგინების ადგილს, განვიბანებით წმინდა იორდანეში, სადაც მოინათლა უფალი ჩვენი? შემდეგ გავალთ მინდორში და მწყემსებთან ერთად მოვინახულებთ და მუხლს მოვიყრით დავით მეფის საფლავთან და ვილოცებთ, გავემგზავრებით და თაყვანს ვცემთ იოანე ნათლიმცემელის ფერფლს, წინასწარმეტყველ ელიას და აბდიას? შევალთ იმ გამოქვაბულში, სადაც ისინი იყვნენ დევნილობასა და შიმშილობის დროს“ (Письма паломницы IV века. 1994. გვ.156-160).

თავად მარკელა, რომის წარჩინებული ოჯახის შვილი იყო. როგორც ჩანს, მასზე დიდი გავლენა მოახდინა წმინდა ათანასე დიდის ქადაგებებმა და იგი პირველი რომაელი ქალი ყოფილა, რომელიც მონაზვნად აღკვეცილა კიდეც. მაგრამ მიუხედავად პავლას ასეთი წერილისა, მარკელა არ გამგზავრებულა აღმოსავლეთში, არამედ რომში რჩება და ეხმარება ღარიბ-ღატაკებს. იგი რომის ალების დროს დაუჭრია ალარხის

მეომრებს და ამ ჭრილობით გარდაცვლილა კიდევ (Письма паломницы IV века., გვ.150-160).

ზემოთ თქმულიდან შეიძლება ერთი რამ დავასკვნათ, პილიგრიმებს, ან პილიგრიმობის მსურველებს გარკვეული მარშრუტიც ჰქონდათ, რომლის მიხედვითაც ისინი მოივლიდნენ ამა თუ იმ წმინდა ადგილს და მოილოცავდნენ. ამ მარშრუტებს წმინდა წერილის მიხედვით ადგენდნენ, ან მათი სულიერი დებისა და ძმების წერილებიდან იცოდნენ, სად უნდა მოელოცათ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წმინდა ადგილების მოლოცვა არ იყო ყოველთვის იერუსალიმში წასვლის მიზეზიც. წმინდა ადგილებისაკენ მიდიოდა ყველა, ვისაც უფლის გზა იზიდავდა, ვისაც ესმოდა უფლის ხმა, მაგრამ ჯერ კიდევ როდი ჰქონდა არჩეული უფლისაკენ მიმავალი მძიმე გზაზე სვლა. ასეთი იყო მარიამ მეგვიპტელიც, რომელიც მეძავი იყო და რომელმაც აღდგომის ტაძრის ზღურბლზე აღიარა კიდევ თავისი ცოდვები და მოინანია- გადმოგვცემს „მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება“

(„ცხოვრება მარიამ მეგვიპტელისა“, მოსკოვი, 1998, გვ.199-200).

პილიგრიმ მომლოცველთა გზას, როგორც ჩანს არც ქართველები დაუტოვებია გულგრილად. ცნობილია დავით გარეჯელის ისტორია, რომელსაც დიდი ხნის მოღვაწეობის შემდეგ „აღეძვრება საღვთო“ სურვილი მოილოცოს წმინდა ქალაქი. იგი მიემგზავრება წმინდა მიწაზე, მაგრამ იერუსალიმს მხოლოდ შორიდან დაინახავს, რადგან თავს არ მიიჩნევს ღირსად ამ წმინდა ქალაქში შევიდეს, ვინაიდან ცოდვით დამძიმებულად მიიჩნევს საკუთარ სულს, ამიტომ იგი სთხოვს თავის თანამგზავრებს, რომ წავიდნენ მის ნაცვლად და შევიდნენ იერუსალიმში, მოილოცონ წმინდა ადგილი. ძმები დაემშვიდობნენ დავითს და შევიდნენ იერუსალიმში, ხოლო თავად დავითმა აიღო ქვა იმ ადგილიდან, თითქოს იგი იერუსალიმში, უფლის წმინდა საფლავზე იყო აღებული, ჩაიდო გუდაში და უკან, საქართველოში დაბრუნდა. როგორც მის ცხოვრებაში წერია: კეთილმოწყალე ღმერთმა იხილა რა ასეთი თავმდაბლობა დავითისა, დაუფასა და ინება, რომ წმინდანობა გამოეჩინა წმინდანს. როცა დავითი დაბრუნდა მონასტერში

და მიიტანა იქ წმინდა მიწიდან მოტანილი ქვა, მას სასწაულმოქმედების ძალა შესძინა და უამრავი სასწაული მოუვლინა ყველა მორწმუნეს, ვინც კი ამ ქვას შეეხო („ცხოვრება წმინდა დავით გარეჯელისა“, 123-129).

პილიგრიმთა სვლა იერუსალიმისაკენ ქრისტეს შობიდან იწყებოდა და სულთმოფენობამდე გრძელდებოდა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი მომლოცველები აღდგომის დღესასწაულზე იყო იერუსალიმში. უკვე პირველივე ათწლეულებიდან ჩანს პილიგრიმთა მასიური სვლები წმინდა მიწისკენ და არაერთ გადმოცემაში ხდება ყველა იმ სასწაულმოქმედი თუ წმინდა ადგილის მონიშვნა, რომელიც ერთგვარად მარშუტს უადვილებდა შემდგომში შორეული ევროპიდან მომავალ პილიგრიმებს და გზის მაჩვენებლად იყენებდნენ მას.

პილიგრიმობისაკენ, როგორ უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე ფაქტორი უბიძგებდა ადამიანს, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სულიერი შეჭირვება იყო, რომელიც მათ აძლევდა ძალას შედგომოდნენ რთულ და ხიფათით სავსე გზას, რომ მიეღწიათ სიწმინდეებამდე. მოგზაურს ამოძრავებდა სურვილი, რომ მიახლოვებოდა წმინდა აგილებს, მაგრამ ეს გზა მარტივი არ უნდა ყოფილიყო, რადგან საჭიროა გამოიარო მრავალი გაჭირვება, ტანჯვა ვიდრე დასახულ მიზანს მიაღწევ. ფიზიკურ სიდუხჭირეს სულიერი სიმტკიცე და გაძლიერება ემატება და თუკი ამ სულისა და ხორცის ჭიდილში გაიმარჯვებდა მწირი, სწორედ მაშინ იგი მიეახლებოდა უფალს.

თავი II

ლიტურგიკული პრაქტიკა ადრექრისტიანულ ხანაში (იერუსალიმის ეკლესიის ლიტურგიკა)

2.1. ცნობები პირველი ეკლესიის შესახებ

ძველი და ახალი აღთქმის ეკლესიებს ცოცხალი კავშირი აერთიანებს. სჯული და მსახურების წესი, რომელიც ღმერთმა მოსეს პირითი მისცა ებრაელებს, წინასახეა ახალი აღთქმისა და მომავალი ეკლესიისა. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები მუდმივად მიუთითებდნენ მესიის მოსვლასა და სჯულზე, რომელიც ჭეშმარიტ ნათელზე იქადაგებდა და ადამიანთა გულსა და გონებას გაანათებდა.

მოველინა მესია კაცთა მოდგმას, შეისხა კაცებრივი ხორცი, განკაცდა, იქადაგა ახალი სჯული და ადამიანთა ცოდვის მონობისაგან გასათავისუფლებლად და გამოსასყიდად ევნო ჯვარზე.

ვიდრე ამაღლდებოდა, უფალმა დედამიწაზე თავისი ეკლესია მოაწყო (ეკლესია- εκκλησια- ვკრებ, ვიწვევ; ასეთივე მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი ძველ აღთქმაში) და განამტკიცა. თავის მოციქულებს, რომლებიც უშუალოდ მესიისაგან ისმენდნენ ახალი სჯულის ქადაგებას, უბრძანა მისი მოძღვრების მთელ დედამიწაზე გავრცელება. მისცა მათ ნება და უფლება შეკვრისა და გახსნისა, ცოდვათა მიტევებისა და მისცა ძალა სასწაულების ჩაადენისა. ჯვარზე გაკვრის წინ მაცხოვარმა თავისი სწავლების არსი მათ ასე განუმარტა: „მცნებასა ახალსა მოგცემთ თქვენ, რაითა იყუარებდით ურთიერთსა, ვითარცა მე შეგიყუარენ თქვენ, რაითა თქუენცა იყუარებდით ურთიერთას. ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებდით ურთიერთას“ (იოან. 13,34-35).

ორმოცი დღის განმავლობაში ეცხადებოდა უფალი მოწაფეებს, ზეციურ სასუფეველზე ესაუბრებოდა და აძლევდა დარიგებებს, რომელიც მომავალ მოღვაწეობაში გამოადგებოდათ: „წარვედით ყოველთა საოფელსა და უქადაგეთ

სახარებაი ესე ყოველთა დაბადებულსა, რომელსა ჰრწმენეს და ნათლ-ილოს, ცხოვნდეს და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს. ხოლო სასწაული მორწმუნეთა მათ ესე შეუდგეს: სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ, ენათა ახალთა იტყოდიან, გუელთა შეიპყრობდნენ; დაღათუ სასიკუდინე რაიმე სუან, არარაი ავნოს მათ; სნეულთა ზედა ხელსა დასდებდენ და განცოცხლდებოდიან” (მარკ.16,15-18).

ეკლესიის გავრცელების შესახებ პირველ ცნობებს წმინდა მახარობელი ლუკა გვაძლევს „საქმე მოციქულთაში.“ ამიტომ პირველი ეკლესიისა და ღვთისმსახურების შესახებ პირველ ცნობებს წმინდა წერილის „საქმე მოციქულთა“ და მოციქულთა ეპისტოლეებიდან ვეცნობით, რომლებიც უტყუარ ცნობებს გვაწვდის ეკლესიის მოწყობის, ღვთისმსახურების წესების, სწავლებისა და მართვის შესახებ. ეს გადმოცემები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წმინდანთა ცხოვრების ისტორიებმა და თხზულებებმა შემოგვინახეს.

ქრისტეს ამალეების შემდეგ, მისი მოწაფეები ხშირად იკრიბებოდნენ სიონის მთაზე და განუწყვეტლივ ლოცულობდნენ ოთახში, რომელიც, სავარაუდოდ, ის ოთახი უნდა ყოფილიყო, სადაც ქრისტემ საიდუმლო სერობა გამართა, დაახლოებით, ოცი ადამიანი, რადგან თავდაპირველად ქრისტეს ეკლესია მცირერიცხოვანი იყო, რომელიც შემდგომ მთელს დედამიწაზე უნდა გავრცელებულიყო.

პასექის დღესასწაულზე, მოციქულებზე სულიწმინდის მაღლი გადმოვიდა. მისი ძალით მოციქულები სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ და იერუსალიმში ჩამოსულ მომლოცველებს თავიანთ ენაზე მიმართეს. ასე იწყებენ მოციქულები უფლის შესახებ ქადაგებებს.

იერუსალიმში ქრისტეს პირველი მიმდევრები ტაძრებში იკრიბებოდნენ სალოცავად, მაგრამ ევქარისტიას (ანუ პურის გატეხვის წესს), რომელიც საიდუმლო სერობის დროს თავად უფალმა დაადგინა, სახლში ასრულებდნენ.

პირველი ეკლესია ებრაელებისაგან შედგებოდა და ამიტომ იგი იუდაიზმის ერთ-ერთ განშტოებად ითვლებოდა. სახარებიდან ვეცნობით, რომ მრავალი რაბინი ისმენს ქრისტეს ქადაგებას და სწავლებას და გარკვეულწილად ისინი სიმჰათიებითაც იყვნენ

განწყობილნი ამ სწავლების მიმართ. ამიტომ გარკვეული დროის განმავლობაში, სანამ ქრისტიანობა იუდაიზმის განშტოებად ითვლებოდა, არ იღვენებოდა, რადგან იუდაიზმი რომაელთა მხრიდან ხელშეუხებელ რელიგიად მიიჩნეოდა და ამიტომაც ქრისტიანობაც არ იკრძალებოდა. მას შემდეგ, რაც თავად იუდეველმა რაბინებმა დაიწყეს ქრისტიანთა შევიწროვება, მორწმუნენი იძულებულნი გახდნენ გამოყოფოდნენ მათ, დაიწყო რეპრესიები ეკლესიის ისტორიაში.

2.2. პირველი ეკლესიის სტრუქტურა

ქრისტეს მოციქულთა დროს ეკლესიის განმტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა მისი ორგანიზება. ახალ აღთქმაში ჩამოთვლილნი არიან ეკლესიის სხვადასხვა მსახურნი: მოციქულები, უხუცესები, მახარობლები (ევანგელისტები) და დიაკვნები. ისინი გარკვეულ ფუნქციებს ასრულებდნენ პირველ მსახურებაში. თითოეულ მათგანს თავისი ადგილი ჰქონდათ მსახურებაში. ისინი სარგებლობდნენ ძალაუფლებითა და ავტორიტეტით, რომ მორწმუნეთათვის ექადაგათ და ეხელმძღვანელათ.

საეკლესიო თანამდებობების ანალიზისათვის მიზანშეწონილია დავყოთ ისინი ორ ჯგუფად: საერთოდ და ადგილობრივად.

საერთო მსახურებს მივაკუთვნებთ მოციქულებს, წინასწარმეტყველებს, მოძღვრებს (მასწავლებლებს) და მახარობლებს. სულ თორმეტი მოციქული იყო, სადაც შემდგომში იუდას ნაცვლად მატათა აირჩიეს (საქმე 1:26), ასევე ამას ემატება პავლე მოციქული. მოციქულებს ჰქონდათ მინიჭებული უფლება, რომლითაც ისინი იღებდნენ და გასცემდნენ სულიწმინდის ძალას, რაც მათ მსახურებას უნიკალურობას სძენდა (საქმე 8:14-17). მოციქულებს იესოსთან სიახლოვის გამო და იმის გამო, რომ იესო თავად იყო მოძღვარი (რაბინი), ეჭვგარეშეა, მთელი ცოდნა და უნარი უშუალოდ მისგან ჰქონდათ მიღებული. მოციქულების გარდაცვალების შემდეგ ეკლესიაში სხვა მოციქულები აღარ

არიან, ამიტომ შემდგომში ყველას მოციქულთა სწორი ეწოდება. მათი „უფლებამოსილებითი სიგელები“ იმდენად უდავო იყო, მათი ცხოვრება და მსახურება კი იმდენად ავტორიტეტული და მნიშვნელოვანი, რომ მთელი შემდგომი საეკლესიო ისტორია თავის თეორიებს, პრაქტიკულ მოძღვრებასა და საეკლესიო ღვთისმსახურებას უშუალოდ მოციქულთა მოძღვრებასა და საეკლესიო ცხოვრებაზე აფუძნებდა. მოციქულთა მოძღვარი (მასწავლებელი) საერთოა. მათი ძალაუფლება არ არის შემოსაზღვრული რომელიმე გეოგრაფიული ტერიტორიით, რადგან ის მთელს ეკლესიაზე ვრცელდებოდა. ყველა მოციქულს გააჩნდა თვისი სამოციქულო ძალაუფლება, იმისდა დამოუკიდებლად, თუ სად იმყოფებოდნენ ისინი მოცემულ მომენტში: იერუსალიმში, ანტიოქიაში, სამარიაში, გალატეაში და ა.შ. იმავეს თქმა შეგვიძლია წინასწარმეტყველებზეც. ყველა საერთო ჯგუფში შემაგალ მსახურებს ჰქონდათ ერთი საერთო ნიშანი: არც ერთი მათგანი არ იყო მიჯაჭვული რომელიმე კონკრეტულ საცხოვრებელი ადგილზე ან თემზე. ისინი მოგზაურობდნენ და მოძღვრავდნენ სამწყსოს.

დიაკვნების (διακονος - მსახური. იგი ემსახურება მღვდელს ლიტურგიის დროს და სხვა საიდუმლოების აღსრულებაში. მის ფუნქციებში შედის კვერექსის კითხვა, საკმევლის საცეცხლურის ხელში პყრობის, ანუ კმევის უფლება) წარმოშობა ეკლესიაში, მოციქულთა საქმეების მეექვსე თავს უკავშირდება, თუმცა თავად სიტყვა „დიაკონი“ წმინდა წერილის ამ თავში გამოყენებული არ არის. სიტყვა დიაკონის ბერძნული ანალოგიაა - მსახური. მათ მოვალეობაში შედიოდა, ყოფილიყვნენ ქრისტიანული თემის მსახურები და თავის თავზე აეღოთ ეკლესიის თითოეული წევრის ყველა ფიზიკური მოთხოვნილების მოგვარებაზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა.

საერთო თანამდებობის აღმასრულებელნი სარგებლობდნენ ძალაუფლებითა და ავტორიტეტით მსოფლიო მასშტაბით, ხოლო დიაკვნები და უხუცესები - მხოლოდ ადგილობრივ თემებში. ებრაულ სინაგოგებში ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე არსებობდნენ უხუცესები და როგორც ჩანს, ქრისტიანობაში ამ ტრადიციის გაგრძელებას ვხვდებით. ტერმინ უხუცესს ახალ აღთქმაში პირველად „მოციქულთა საქმეში“

ვხვდებით (11:30), სადაც ნახსენებია, რომ ბარნაბამ და პავლემ ანტიოქიის პრესვიტერებს გადასცეს შეგროვილი დახმარება. აქვე მივუთითებთ, რომ პავლესთან ჩასულ უხუცესებს პავლე „ეპისკოპოსებს“ უწოდებს (საქმე 20:28), ქართულ თარგმანში - „მწყემსი.“

თავის პირველ წერილში ტიმოთესა და ტიტეს მიმართ, მოციქული საუბრობს ყველა იმ თვისებაზე, რომელიც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს უხუცესს. ტიტეს მიმართ წერილში პავლე მოციქული იყენებს ტერმინს „ეპისკოპოსი“, ანუ „მწყემსი“ (ტიტ. 1:1) ამ სიტყვას ვხვდებით ტიმოთეს მიმართ მიწერილ წერილშიც. ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ ეს ორი სიტყვა „უხუცესი“ და „ეპისკოპოსი“ ერთსა და იმავეს აღნიშნავს პავლესთან.

პეტრე თავის პირველ წერილში საუბრობს უხუცესებზე, ანუ პრესვიტერებზე (I პეტრე, 5:1-4), რომლებსაც მეორე მუხლში უწოდებს ეპისკოპოსებს (ἐπίσκοποι - მეთვალყურე, ზედამხედველი), ქართულად გადმოტანილია როგორც „მწყემსები“. ორთავე ტერმინი უძველეს ქრისტიანულ ტექსტებშიც გვხვდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეკლესიის არსებობის პირველივე დღეებიდან ორთავე ეს ტერმინი - წოდება თანაბრად (პარალელურად) გამოიყენებოდა ერთი და იმავე ჯგუფის აღსანიშნავად. სულიერი ზედამხედველობა სწორედ უხუცესებს ევალებოდათ და საკუთარ თავზეც იღებდნენ ამას. რას უნდა ნიშნავდეს „უხუცესი“, ეს მხოლოდ ასაკობრივი სხვაობა უნდა ყოფილიყო, თუ მხოლოდ წოდება იყო, რომელიც იმაზე მიანიშნებდა, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში მისდევდა ქრისტიანულ მოძღვრებას? როგორც ჩანს, ეს ტერმინი ასაკით უფროსი და სულიერად მომწიფებული ადამიანის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, რომელიც გარკვეული დამსახურებითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ამა თუ იმ ქრისტიანულ თემში. სიტყვა ეპისკოპოსის ზუსტი თარგმანი „ზედამხედველს“ ნიშნავს, ანუ ადამიანი, რომელიც ზედამხედველია გარკვეული სიტუაციისა, ხოლო მწყემსი მეცხვარეს ნიშნავს. ამგვარად, შეგვიძლია განვმარტოთ, რომ სიტყვა უხუცესი მიემართება ადამიანურ ურთიერთობას, პატივისცემას, იმ დროს როცა უხუცესი და ეპისკოპოსი- ეს ტერმინები ქრისტიანული ეკლესიის ტერმინოლოგიაში მიემართება ადამიანს რომელიც მისი მოვალეობის კუთხით ხასიათდება და ეს სულიერება მისი სამწყსოს მიმართ მოღვაწეობა იყო, რომელიც გარკვეული თემის ზედამხედველი იყო.

ეკლესიის ჩამოყალიბებიდან იწყება უკვე გარკვეული წესების დადგენა ღვთისმსახურებაში, ანუ იწყება ლიტურგიკის შემუშავება, რომელსაც თავისთავად დაემორჩილებოდა ყველა ეკლესია განურჩევლად თემისა თუ ადგილმდებარეობისა.

2.3. ღვთისმსახურების (ლიტურგიკის) დაწესების შესახებ.

სანამ ღვთისმსახურების წესებსა და სხვადასხვა დროს დამკვიდრებული პრაქტიკის მიმოხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მივიჩნიეთ ჯერ თავად ტერმინი ლიტურგიკა განვიხილოთ.

ლიტურგია (λειτον εργον) ქრისტიანული სარწმუნოების მნიშვნელოვანი ნაწილია, იმდენად რამდენადაც იგი თავის თავში მოიცავს ქრისტეს სარწმუნოებას, მისადმი პატივისცემასა და ღვთისმსახურებას.

ლიტურგია - საეკლესიო ღვთისმსახურებაა. ტერმინი ბერძნული წარმოშობისაა და ორი ნაწილისაგან შედგება, ანუ კომპოზიტია: პირველი ნაწილი ლეიტ (λειτον) - უკავშირდება ხალხს (ანუ λαოს -ხალხი), ხოლო მეორე ნაწილი „ურგია“ (εργια) - ითარგმნება, როგორც საქმე, ქმედება, ქმნა, მომდინარეობს το εργον (საქმე). ურგია შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც მოქმედება, როგორც ნაზმნარი სახელი და, შეიძლება, ვთარგმნოთ როგორც მსახურება, მომსახურება. ამ მნიშვნელობით თუკი განვიხილავთ, მაშინ მისი განმარტება ქართულად შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ხალხის მსახურება, რომელიც, სავარაუდოდ, ქრისტიანობამდე ჰქონდა მინიჭებული ამ ტერმინს. მოგვიანებით, ქრისტიანობის გავრცელებამ და შემდგომში ქრისტიანული ეკლესიის წესების შემუშავების აუცილებლობამ, სავარაუდოდ, ტერმინთა აუცილებლობაც მოიტანა და ამიტომ სხვადასხვა ტერმინი, რომელიც წარმართულ ან წინაქრისტიანულ პერიოდში სხვადასხვა ღვთისმსახურების დროს იყო ჩამოყალიბებული, ქრისტიანობამაც მემკვიდრეობით მიიღო. ვფიქრობ, გამონაკლისი არც ტერმინი ლიტურგია იქნებოდა, მით უფრო, როცა ქრისტიანობის მქადაგებლები, თუ საეკლესიო პირები იყვნენ შუამდგომელნი ხალხსა და უფალს შორის და, შესაბამისად, ხალხისთვის

აღვლენდნენ ღვთისმსახურებას, რომელიც ისევ მრევლის სულიერი განმტკიცებისთვისაა საჭირო.

საზოგადოების მსახურების აღმნიშვნელი ტერმინები ხშირად ღვთისმსახურებისთვის საჭირო ტერმინად იქცევა, რაც გასაგებია, რამდენადაც ეკლესიურ სწავლებაში საზოგადოებისთვის მსახურება თავისთავად აღიქმება ღვთისადმი აღვლენილ ლოცვა-კურთხევად.

რა მოიაზრება ღვთისმსახურებაში? ის, რომ ღმერთისათვის ვლოცულობთ თუ ადამიანისათვის ლოცვა-ვედრება? ერთი მეორეს არ გამოორიცხავს, რადგან წმინდა მამათა სწავლებაში იკითხება ის აზრი, რომ ადამიანთაგან, თუ ანგელოზთაგან აღვლენილი ღვთისმსახურება პირველ რიგში ადამიანებისათვის და ანგელოზთათვისაა საჭირო და მნიშვნელოვანი, რადგან უფალს არ სჭირდება არავისგან მსახურება, არამედ თავად ადამიანს სჭირდება, რომ ამით ღვთის შეწევნა მიიღოს. ეკლესიური სწავლებით, უფალს განდიდება არ სჭრდება, რადან ის ისედაც განდიდება და ყოვლისშემძლეა, არამედ იგი ადამიანისათვისაა საჭირო, რათა მან შეიგრძნოს უფლის დიდებულება და მაღლიერება ჰქონდეს მის მიმართ.

ამიტომაც ლიტურგია, რომელსაც სხვაგვარად ევქარისტიაც ეწოდება, პირდაპირ სამადლობელის შინაარსითაა გამოყენებული. ეს ორი ტერმინი - ლიტურგია, როგორც ღვთისმსახურება და ევქარისტია, ერთი სულიერი მოვლენის ორი სახელწოდებაა, არსით ერთი და იგივე, განუყოფელ მთლიანობაში ჩვენ გვიმხელს და განგვიმარტავს იმ აზრს, რაც ქმნილებისაგან უფლის მარადიულ დიდებაში ძევს (ე. ჭელიძე „ტერმინ „ლიტურგიის“ განმარტება; ღვთისმსახურების დანიშნულება,)

სახარების მიხედვით, მაცხოვარმა, ჯვარზე გაკვრამდე, სიონის ბორცვზე შეკრიბა თავისი მოსწავლეები და საიდუმლო სერობის საიდუმლო აზიარა. აიღო პური, ადიდა უფალი, მაღლი შესწირა და დაანაწილა. თითოეული ნაწილი დაურიგა თავის მოწაფეებს და თან უთხრა: „მიიღეთ და სჭამეთ, რამეთუ ესე არს ხორცი ჩემი“ (მარკ. 14,22). მოციქულები იღებენ პურს და შემდგომ ქრისტემ ბარძიმი მოიღო, გააზავა ღვინო წყლით, ისევ მაღლი შესწირა უფალს. აწვდის ღვინოს თავის მოწაფეებს, რომელიც

სისხლის სიმბოლური სახეა და სთხოვს მათ, რომ მიიღონ, რაც ზიარებას ნიშნავს ადამიანისა უფალთან: „სუთ ამისაგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა თქვენთვის და ყოველთა დათხეული მისატევებლად ცოდვათა“ (მარკ. 14:24).

ეს იყო პირველი ღვთისმსახურება, რომელიც თავად უფალმა ასწავლა მოციქულებს და თან დაუბარა, რომ მათ შეესრულებინათ იგი მის მოსახსენიებლად. მოციქულები იღებენ ამ ანდერძს და საბოლოოდ ალილუიას გალობით ასრულებენ სერობას.

აქედან ჩანს, რომ წმინდა ზიარების, ანუ ევქარისტის, ანუ პურის გატეხვის საიდუმლო სამი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს: 1) მომზადება წმინდა საიდუმლოს შესრულებისათვის, 2) შესრულება, და ბოლოს, 3) სამადლობელი წმინდა ზიარების მიღებისათვის.

ეკლესიის ისტორიიდან ირკვევა, რომ მოციქულთა ეპოქაში მოციქულები ქრისტეს აღდგომისა და ამალეების შემდგომ ამ წესს ისე ასრულებდნენ, როგორც იგი უფალმა დაუბარა. მაგრამ მოგვიანებით ისევ მოციქულები ამდიდრებენ ღვთისმსახურების წესს, რადგან უკვე ადამიანებს სჭირდებათ, ამა თუ იმ მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ღვთისმსახურების გამრავალფეროვნება. მოციქულები ღვთისმსახურებას უმატებენ წმინდა წერილის კითხვას, რაც საჭიროა ქრისტიანობის გავრცელებისა და შესწავლისათვის, ფსალმუნთა გალობა, რითაც ღვთისადმი მადლიერება და სადიდებელის გალობა, ერთგვარად, ადამიანთა მადლიერების გამოხატვა იქნებოდა და ღვთის სადიდებლად სხვა საგალობლების გალობა. დამოდღრა, რაც სწორად და მართებულად ცხოვრების წესის სწავლება იყო. დაბოლოს, ლოცვა, რაც ისევ მადლიერებისა და შეწევნის თხოვნის შინაარსს მოიცავს თავისთავში. თუმცა ეს ყოველივე მხოლოდ ღვთისმსახურებისათვის მოსამზადებელი ფაქტორები იყო, მაგრამ ღვთისმსახურება ზუსტად ისე სრულდებოდა, როგორც იგი უფალმა დაუბარა მოციქულებს, რადგან ზიარება არის ქრისტესთან და ქრისტეს ეკლესიასთან დაახლოება და თანაზიარება.

ეს წესი ვრცელდებოდა პირველ ეკლესიებში და მსოფლიოს უძველეს ეკლესიებში უცვლელად სრულდებოდა. ზეპირი გზით გადაეცემოდა თაობებს. როდის ასრულებდნენ მოციქულები ამ ღვთისმსახურებას? იგი ე.წ. ალაპებზე სრულდებოდა, მსგავსად საიდუმლო სერობისა, როცა მაცხოვარმა ევქარისტია შეასრულა პასეის შემდეგ იერუსალიმში. ვინ ესწრებოდა და ვინ იღებდა მონაწილეობას ალაპებში? მოციქულთა საქმეში ვეცნობით, რომ ალაპებზე დასწრება შეეძლო ყველას, „და ვინც სიხარულით შეიწყნარა მისი სიტყვა, ნათლ ილო...“ „და იყვნენ ერთთავად მოციქულთა სწავლასა და ზიარებაში, პურის გატეხასა და ლოცვაში. ხოლო ყველა მორწმუნე ერთად იყო და ყველაფერი საერთო ჰქონდათ. ყოველდღე ერთსულოვნად იყვნენ ტაძარში, ტეხდნენ სახლებში პურს, და სიხარულითა და გულით უბრალოებით იღებდნენ საზრდოს“(მოციქ. 2:41-46).

აქედან ჩანს, რომ საერთო ტრაპეზზე ყველას შესაბამისად და საშუალების მიხედვით მიჰქონდა ტრაპეზზე და ტრაპეზის ბოლოს ერთ-ერთ მათთაგანს ან სიტყვა უნდა ეთქვათ, რომელიც დამოდღვრავდა მათ, ან ფსალმუნი უნდა ეგალობა. ბოლოს კი, აუცილებლად ალაპებზედნენ ლოცვას და ასე სრულდებოდა ალაპები, რაც განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ყველა ქრისტიანისათვის, რადგან ამ დროს ხდებოდა ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის და თანადგომის გამოვლინება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ალაპებს დევნის პერიოდში მიენიჭა, რადგან ამ დროს საოცარი სიმტკიცე და ურთიერთმხარდაჭერა, რწმენაში გაძლიერება ხდებოდა. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში ალაპებმა უფრო ღრეობის სახე მიიღო და ნელ-ნელა მხოლოდ სიტყვიერად შემორჩა მისი მნიშვნელობა, თუმცა შინაარსი გასცდა თავდაპირველ დანიშნულებას. ამიტომ, მოგვიანებით, მოციქული პავლე კრძალავს ევქარისტის დროს ტრაპეზს და ამ აკრძალვას შემდგომში მსოფლიო საეკლესიო კრებებიც უერთდებიან. ადრეული ხანის ქრისტიანები, ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, როგორც ჩანს ღვთისმსახურებას სახლებში ატარებდნენ.

ეკლესიის ბერძენი და ლათინი მამები მნიშვნელოვან წესად მიიჩნევდნენ აგრეთვე ნათლობასაც, რაც თავისთავად ცოდვათაგან განწმენდას ნიშნავდა .

ქრისტიანობის არსებობის პირველივე დღეებიდან ნათლობა წყალში შთაფლვით სრულდებოდა და მხოლოდ მათზე, ვინც მოწიფული იყო ღვთის წინაშე შეგნებული მსახურებით. ანუ, ვისაც გააზრებულად შეეძლო გაეგო ქრისტიანული რწმენის არსი და ქრისტიანობა გულით შეეყვარებინა, რადგან ნათლობა სიმბოლოა სიკვდილისა ძველი ცხოვრებისათვის და აღორძინებისა ახალი ცხოვრებისათვის, ქრისტეს აღდგომასთან ერთად: „ან იქნებ, არ იცით, რომ ვინც მოვინათლეთ იესო ქრისტეს მიერ, მის სიკვდილში მოვინათლენით? და მასთან ერთადვე დავიმარხეთ სიკვდილში ნათლისღებით: რათა, როგორც ქრისტე აღდგა მკვდრებით, მამის დიდების მიერ, ასევე ჩვენც განახლებულ სიცოცხლეში ვიარებოდეთ“ (პავლე რომაელთა მიმართ, 6: 3,4).

მოციქული პეტრე ნათლობის მნიშვნელობას ასე ხსნის: „ეს იყო ხატება ნათლისღებისა, რაიც ამჟამად გვიხსნის ჩვენ (არა ჭუჭყის ჩამორეცხვა ხორცისგან, არამედ წრფელი სინდისით სიყვარული ღმრთის მიმართ) იესო ქრისტეს აღდგომით“ (პირველი პეტრესი 3:21).

ზიარების მიღებისთვის აუცილებელი იყო სინანულის საიდუმლოება. პავლე მოციქული ზიარების მიღების წინ აუცილებლად მოუწოდებს ყველა მორწმუნეს, რომ სინდისი შევამოწმოთ. მძიმე ცოდვის ჩამდენთ ზიარების მიღება გარკვეული დროით ეკრძალებოდა (ახლანდელი წესითაც, ეპიტიმის დადებით გარკვეული დროით ეკრძალებათ ზიარება).

2.4. ხელდასხმის წესი ადრეულ ქრისტიანულ ეკლესიაში და წმინდა იაკობისა და სხვათა ლიტურგიები

ლოცვის შემდგომ მოციქულები ხელთა დადებით ასრულებდნენ ხელდასხმის წესს. იგი განსაკუთრებული და საიდუმლო საქმე იყო, იმდენად, რამდენადაც მათ დიდი როლი ჰქონდათ შემდგომ საეკლესიო ცხოვრებაში. მოციქულებს ეს უფლება იესოსგან გადაეცათ. იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: „ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა

წარგავლინებ თქუენ...შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაი. ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიუტევება მათ; და ვისაც დაუტოვებთ, დარჩება მათ“ (იოან.20:21-23).

ხელდასხმის შემდეგ საეკლესიო ცხოვრებაში მოციქულები თავიანთ საქმიანობას მოწაფეებს უნაწილებდნენ და ამავე დროს დიდი სიფრთხილისკენ მიუთითებდნენ მათ, რადგან ყველა არ იყო მღვდლად კურთხევისთვის მზად. მოციქულთა საქმეში ვკითხულობთ: „მამ, გაუფრთხილდით თქვენსავე თავს და მთელ სამწყსოს, რომლის მცველებადაც დაგადგინათ თქვენ სულმა წმიდამან, რათა მწყემსავდეთ უფლისა და ღმრთის ეკლესია, რომელიც მან შეიძინა თავისი სახელით“ (საქმ. 20:28).

პავლე მოციქული განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვდა სწორედ ხელდასხმის დროს. იგი თავის მოწაფეს ტიმოთეს წერს კიდევ ამას ეპისტოლეში (I ტიმ. 3:1-13).

თავდაპირველად სამი ხარისხი უნდა განსაზღვრულიყო: ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები. თითოეულის ფუნქცია განსაზღვრული იყო. ეპისკოპოსად მოციქულები ადგენდნენ, მაგრამ მოციქულების შემდეგ მათ მოწაფეებს ჰქონდათ ამის უფლება. ეპისკოპოსი თავისთავად ხელდასხმას აკეთებდა მღვდლებსა და დიაკვნებზე.

ეპისკოპოსებს ევალებოდათ ღვთისმსახურების ჩატარება. მათ ამავე დროს ევალებოდათ ყველა იმ საქმის განხილვა (გარდა მღვდელმსახურებისა და საიდუმლოთა აღსრულებისა) რაც ქრისტიანულ თემში აღიძვრებოდა, ვინაიდან ქრისტიანები სამოქალაქო სასამართლოს არ მიმართავდნენ. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა:

1. წარმართული კანონი ვერ ესადაგებოდა ქრისტიანული სწავლების მორალს და
2. სამოქალაქო სასამართლოზე ქრისტიანებს ის ფიცი უნდა წარმოეთქვათ და ის წესი უნდა შეესრულებინათ, რომელიც ქრისტიანულ კანონებს ეწინააღმდეგებოდა.

სწორედ ამიტომ ეპისკოპოსი რჩებოდა ერთადერთი გზა, რომელიც წმინდა წერილისა და სინდისით განსჯიდა ყველაფერს.

ეპისკოპოსებს თავდაპირველად არ ეკრძალებოდათ ცოლის ყოლა. ამას ტიმოთესადმი მიწერილ წერილშიც ამბობს პავლე მოციქული, როცა წერს, რომ:

„სარწმუნოა სიტყვა: თუ ვინმეს ეპისკოპოსობა სურს, კეთილი საქმე სურს. მაგრამ ეპისკოპოსი უნდა იყოს უმწიკვლო, ერთი ცოლის ქმარი, არამსმელი, გონიერი, ღირსეული, სტუმართმოყვარე, განმსწავლელი, არამემთვრალე, არა ჩხუბისთავი, არა ანგარი, არამედ წყნარი, მშვიდობისმოყვარე, ვერცხლისმომძულე“ (I ტიმ. 3:1-3).

მოგვიანებით ეს წესი შეიცვალა და ეპისკოპოსებს უკვე აეკრძალათ ცოლის ყოლა, რადგან მიიჩნიეს, რომ ეპისკოპოსს თუკი თავისი ოჯახი არ ეყოლებოდა, მაშინ იგი მეტ დროს დაუთმობდა სამწყსოს.

დიაკვანი ქადაგებდა ღვთის სიტყვას, ზრუნავდა სწეულებზე, ღარიბ-ღატაკებზე. მონაწილეობდნენ ღვთისმსახურებაში, მაგრამ მას დამოუკიდებლად არ შეეძლოთ ლიტურგიის ჩატარება. მასაც ეპისკოპოსის მსგავსად შეეძლო ცოლის ყოლა. ტიმოთესადმი მიწერილ პირველ წერილში მოციქული პავლე დიაკვნის წესსაც განსაზღვრავს: “დიაკვნებიც ასევე წმინდანი უნდა იყვნენ, არა ორგულნი, არა ღვინოს მიძალებულნი, არა ანგარნი. რწმენის საიდუმლოს შემნახველნი წრფელი სინდისით. ... დიაკონი ერთი ცოლის ქმარი უნდა იყოს, კეთილად განაგებდეს შვილებს და თავის სახლს“(I ტიმ. 3:8-9; 12).

ლიტურგიას წინ მწუხრი, ცისკარი, შუადამიანი და 4 ჟამნი უსწრებს. ეს ყოველდღიური მსახურება-ლოცვა, ფსალმუნები, წმინდა წერილის კითხვა და ყველა წმინდა საქმიანობა არის მზაობა წმინდა საღვთო ლიტურგიისკენ, რასაც ჩვენ წირვას ვუწოდებთ.

ამაღლების შემდეგ მოციქულებმა ყოველდღიური ზიარების საიდუმლოს ჩატარება დაიწყეს. ამას ემატებოდა წმინდა წერილის კითხვა, ფსალმუნთა გალობა და ცალკეული ლოცვები. თუმცა მოგვიანებით საჭირო გახდა ჩამოყალიბებულიყო ერთიანი ლიტურგიკული წესი და, შესაბამისად, შეიცვალა მისი სტრუქტურა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, მთავარი წესი უცვლელი რჩებოდა. ეს იყო ზიარებისა და ნათლისცემის მიღების წესი.

ეკლესიის სტრუქტურის შეცვლას ისტორიის მსვლელობა განაპირობებდა. საღვთო წერილის მიხედვით, იესო აფრთხილებდა თავის მოწაფეებს, რომ მისი სახელის

გამო დევნილნი იქნებოდნენ. ქრისტიანთა დევნას სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა: საზოგადოებრივი იზოლაცია, სიძულვილი, გაუგებრობა, მორალური თუ ფიზიკური ტანჯვა და სიკვდილი. პირველად ქრისტიანები მოწაფეებს ანტიოქიაში ეწოდათ, რადგან ისინი ქადაგებდნენ ქრისტეს და ცდილობდნენ მას დამსგავსებოდნენ. ეს ერთგვარად გასდევს ქრისტიანულ მორალს: მოწაფენი ცდილობენ დაემგვანონ მოძღვარს, ხოლო მოძღვარი ქრისტეს, გავიხსენოთ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. „და ემსგავსებდეს მოძღუარსა კეთილსა, ვითარცა მოძღვარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა, რომელიცა იტყვის:“*კმა არს მოსაფისა მის, იყოს თუ ვითარცა მოძღვარი თვისი*“ (გიორგი მერჩულე 8:407)

ლიტურგიკის პირველი ხარისხი, ანუ პირველი საეკლესიო წესი შეადგინა წმინდა მოციქულმა იაკობმა, იერუსალიმის პირველმა პატრიარქმა. ეს ლიტურგია დღესაც ტარდება იერუსალიმის ტაძარში მოციქულთა ხსენების დღეს, რომელსაც იაკობის ჟამის წირვა ეწოდება. ეს ლიტურგია, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი იყო შემდგომი ლიტურგიების საფუძველი გახდა. მას მანამ იყენებდნენ ქრისტიანულ ეკლესიებში, სანამ არ შეიცვალა კონსტანტინეპოლური ლიტურგიით. შემდგომი თავში გადმოცემული ფრაგმენტები, რომელიც *„ეგერიას მოგზაურობიდან“* არის მოტანილი, კარგად გადმოსცემს სწორედ ამ პერიოდის ლიტურგიას, რომელიც იერუსალიმურით არის ცნობილი და რაც მთავარია, შემდგომში მასზე დაყრდნობით შეიქმნა ტაოკლარჯეთის მონასტრების ლიტურგია.

იაკობის ლიტურგიის მსგავსად მარკოზ მახარობლის ლიტურგიაც აღსანიშნავია. მას სხვაგვარად წმ. კირილე ალექსანდრიელის სახელით მოიხსენიებენ. იგი დღეს ძირითადად კოპტურ ეკლესიაში აღესრულება, თუმცა საერთო მართლმადიდებლურ სამყაროში მას რამდენჯერმე აღასრულებენ წელიწადში.

ევსევი კესარიელის ცნობით, პეტრე მოციქულს ხალხმა სთხოვა ქადაგების წერილობით გადმოცემა და ამიტომაც მისმა მოწაფემ მარკოზმა აღწერა რიგით მეორე სინოპტიკური სახარება (ასე ეწოდება მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებს, რადგანაც შესაძლებელია მათი გვერდიგვერდ სვეტებად მოთავსება და ამგვარად, ერთი

შეხედვით აღქმა. გამომდინარე ამ პარალელიზმიდან, მათი წარმოშობის, ურთიერთგავლენის, ურთიერთდამოკიდებულების და ა.შ., პრობლემა წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ სინოპტიკურ საკითხს) (ეკლესიის ისტორია, 3:39).

მოგვიანებით მარკოზი ეგვიპტეში მიდის საქადაგებლად და იგი წერილობით აღწერა კიდევ. აფრიკის კონტინენტზე უამრავი მოექცა ქრისტეს რჯულზე და სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება ზემოთ ხსენებული ლიტურგიკა, რომელიც ამავედროულად კირილე ალექსანრიელის წირვადაც იწოდება, იმდენად, რამდენადაც მოგვიანებით სწორედ ამ უკანასკნელმა შეასწორა და გამართა.

თუკი ამ ორ ლიტურგიკულ წესს გადავხედავთ და შევადარებთ ერთმანეთს, შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი მცირეოდენი განსხვავებით არსებითად მაინც მსგავსნი არიან და ეს არც იქნება გასაკვირი, იმდენად, რამდენადაც ერთ პერიოდშია ორთავე შეკრებილ-დაწესებული.

ღვთისმსახურების ტექსტებზე დაყრდნობით სავარაუდოა, რომ „მამაო ჩვენოსთან“ ერთად ითქმოდა „უფალო, შემინწყალენ“; ამასთანავე ანგელოსთა გალობანი: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ღმერთი საბაოთ...“; „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“; ამას აუცილებლად დაემატებოდა „ალილუია“ და „დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა...“; შესაძლებელია, ადრიდანვე შეეტანათ ღვთისმსახურებაში ღვთისმშობლის საგალობელი და სვიმეონ მიმრქმელისა.

ლოცვისათვის გარკვეული დრო იყო დადგენილი. პირველქრისტიანები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველდღიურად აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაიწყო ქრისტიანობის დევნა, მაშინ უფლის დღე, კვირა, დადგინდა ღვთისმსახურებისათვის. თავიდან, რადგან ყველა მოციქული იერუსალიმში იმყოფებოდა, ტაძრებში იკრიბებოდნენ ლოცვისთვის, თუმცა ევქარისტიას, ანუ პურის ტახვის საიდუმლოების აღსრულებას მხოლოდ სახლში ახერხებდნენ. მოგვიანებით დადგინდა ჟამიც. ლოცვისთვის განსაკუთრებით მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამი დაადგინეს. ამას თავისთავად ახსნა მოეპოვებოდა. მესამე ჟამის დროს სულიწმინდა

გადმოვიდა მოციქულებზე, მეექვსე ჟამი იყო უფლის ჯვარზე გაკვრის დრო, ხოლო მეცხრე ჟამის დროს უფალი აღესრულა ჯვარზე.

საქმე მოციქულთას მიხედვით, დადგენილი საათების გარდა, მორწმუნეები ღამის ლოცვაზეც იკრიბებოდნენ. ევქარისტიას ან ღამით ან კიდევ ცისკრისას აღასრულებდნენ.

2.5. იერუსალიმის ეკლესიის ლიტურგიკა, იერუსალიმური ტიპიკონი

სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ თავისი მოწყობა რომის იმპერიის ადმინისტრაციულ დაყოფას შეუსაბამა. რომის იმპერია დაახლოებით ასს პროვინციად იყოფოდა და ყოველი პროვინცია საქალაქო ოლქებად, სადაც ქრისტიანულმა თემმა სამრევლოები მოაწყო. მათ მღვდლები ედგა სათავეში, რომლებიც, თავის მხრივ, სამოქალაქო ოლქის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა, ხოლო ეპისკოპოსები, თავის მხრივ, სამოქალაქო არქიეპისკოპოსებს. ყველაზე მაღალი საფეხური იყო პატრიარქი. სულ ხუთი საპატრიარქო იყო: რომის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, კონსტანტინეპოლის და იერუსალიმისა. ამ ეკლესიის ერთიანობას მსოფლიო საეკლესიო კრებები განასახიერებდა.

იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესია, თავის მხრივ, ქრისტიანული ეკლესიის პირველსაწყისია. ეს კი იმითაა განპირობებული, რომ სწორედ იერუსალიმში, ბეთლემში, მოევლინა სამყაროს მესია, იერუსალიმში ცხოვრობს და ქადაგებს ქრისტე. იერუსალიმის ეკლესიის პირველი ორგანიზატორი და ეპისკოპოსი არის მოციქული იაკობი, ქრისტეს ხორციელი ძმა, რომელიც ხელმძღვანელობს იერუსალიმის სამოციქულო საბჭოს.

იერუსალიმის ეკლესიის დაბადება უკავშირდება იმ სამი ათასი და ხუთი ათასი კაცის დაპურებას, რომლებიც ქრისტეს ქადაგების მოსასმენად გროვდებოდნენ (საქმ. 2:41-42), როცა მოციქულები იწყებენ თავიანთ საქმიანობას.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იერუსალიმმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, რაც კონსტანტინე დიდმა ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაზე

შესთავაზა კრების მონაწილეებს, იერუსალიმი, როგორც წმინდა ქალაქი, ისე გამოეცხადებინათ. ამას ისიც ემატებოდა, რომ წმინდა ელენე დედოფალი მოგზაურობს იერუსალიმში და გოლგოთის მთაზე აღმოაჩენს მაცხოვრის ჯვარს. ამას შემდგომში მოჰყვება ყველა წმინდა ადგილზე ქრისტიანული ეკლესიების აგება და ნელ-ნელა ყალიბდება იერუსალიმის ეკლესიის სახეც.

ზემოთ აღნიშნა ისიც, რომ პირველი ღვთისმსახურების წესი ეკუთვნოდა იერუსალიმის პირველ ეპისკოპოს იაკობს, რომელმაც ჟამისწირვა დაადგინა და ეს ჟამისწირვა დღეს მართლმადიდებლურ ეკლესიაში წელიწადში ერთხელ აღესრულება. პირველ საუკუნეებში, მიუხედავად იმისა, რომ ერთნაირად აღესრულებოდა ღვთისმსახურება, მცირედი განსხვავებები მაინც იყო და ამიტომ საჭირო გახდა განსაზღვრულიყო ერთიანი და საერთო ლიტურგიკა ყველა ეკლესიისათვის. მეოთხე საუკუნეში აუცილებლად მიიჩნიეს ყველა ეკლესიის საუკეთესო ლიტურგიებიდან გამოეყოთ საუკეთესო რედაქციები და გაეგრცელებინათ ერთი საუკეთესო. პირველად ეს დიდი სამუშაო ჩაატარა დიდმა საეკლესიო მამამ ბასილი დიდმა, რომელმაც ქრისტიანულ ლიტურგიას მისცა ახალი სახე. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბასილი დიდი ერთიანად ცვლის მის სტრუქტურას. მან შეინარჩუნა არსებითი სახე, ამავედროულად იგი არ შეხებია მოციქულთა მიერ ევქარისტის დროს წარმოთქმულ იმ გამონათქვამებს, რომელიც მოციქულთა საქმეებში იკითხება. მაგრამ ვინაიდან ბასილი დიდის ლიტურგია, ისევე როგორც სხვა ლიტურგიები, ხანგრძლივობით გამოირჩეოდა, მრევლის თხოვნით, წმინდა იოანე ოქროპირმა შეამოკლა და მოკლე რედაქცია შეიმუშავა. ეს კი იმითაც აიხსნებოდა, რომ ჟამისწირვის მოკლე ვარიანტი უკეთესად ისმინებოდა და მრევლი არ იღლებოდა. ეს ლიტურგია დღემდე გამოიყენება მართლმადიდებლურ სამყაროში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში მცირე შესწორებები არ შედიოდა მასში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აგრეთვე მეექვსე საუკუნის რომის პაპის გრიგოლ დიოლოგოსის ლიტურგიას. მას „პირველშეწირულის ლიტურგია“ ეწოდება. იგი დიალოგების სახითაა გადმოცემული და სწორედ ამიტომაც გრიგოლს

დიოლოგოსი ეწოდა. შემდგომში მკვეთრი და არსებითი ცვლილება ლიტურგიის წესისა არ მომხდარა.

მოგვიანებით ჩამოყალიბდა და შეიქმნა ტიპიკონები, სადაც სისტემურად არის ჩამოყალიბებული ის წესები ღვთისმსახურებისა, რომლებიც თანმიმდევრულად უნდა შესრულდეს ღვთისმსახურების დროს. ტიპიკონის ჩამოყალიბებამდე იყო ლექციონარები, ანუ საკითხავები, სადაც მითითებული იყო წმინდა წერილიდან წასაკითხი ადგილები და რამდენიმე მოკლე საგალობელი, მაგ. იერუსალიმის ლექციონარი 417-439წწ. ტიპიკონები ძირითადად მონასტრებში იქმნებოდა, რომლის შედგენაშიც დიდ როლს ამავე მონასტრებში მოღვაწე ბერ-მონაზვნები იღებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპიკონებში მხოლოდ ღვთისმსახურება როდი იყო გადმოცემული, არამედ მათში ერთგვარად სამონასტრო ცხოვრების წესიც იყო ჩამოყალიბებული, ანუ დისციპლინური ხასიათიც ჰქონდა და გაწერილი იყო ყოველი სამუშაო, რომელიც არსებული მონასტრისათვის იყო შემუშავებული.

ტიპიკონი ითვლება ღვთისმსახურების რეგულატორად, სადაც საერთო სული და მიმართულებაა გამოხატული. ეს ერთგვარი წესდებაა საერთო სახელმძღვანელო ღვთისმსახურებისა. მისი არსებობა მაჩვენებელია იმისა, თუ რომელი მონასტრის პრაქტიკას უერთდება ესა თუ ის ეკლესია. საქართველოს ეკლესია მეათე საუკუნემდე უმთავრესად პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ამ დროს მას ღვთისმსახურებაში პალესტინის ტიპიკონი უნდა ჰქონოდა ხმარებაში.

ღვთისმსახურება, რომელსაც წესს უჩენს ტიპიკონი, სამი მთავარი ელემენტისაგან შედგება: საკითხავები საღმრთო წერილიდან, ლოცვები, რომელთაც წარმოსთქვამს მღვდელმსახური, მკითხველი ან მორწმუნე და საგალობელი ჰიმნები. საღმრთო წერილიდან ღვთისმსახურების შესრულებისას კითხულობენ ფრაგმენტებს ახალი აღთქმიდან - სახარებასა და სამოციქულოს, ხოლო ძველი აღთქმიდან - პროფიტოლოგიონს ან პრემიონს, რომელიც შეიცავს სხვადასხვა წიგნებიდან, ძირითადად, წინასწარმეტყველებიდან ამოკრებილ ადგილებს. აქვე იკითხება დავითნი, ან ფსალმუნთა კრებული (კ. კეკელიძე, ტ.1. თბ. 1980. გვ. 578).

თემის შინაარსიდან გამომდინარე, განსაკუთრებით, ყურადღება მინდა გავამახვილო იერუსალიმის ტიპიკონზე. ჩვენ არაერთხელ გავამახვილეთ ყურადღება ქართული და იერუსალიმის ეკლესიების განსაკუთრებულ სიახლოვეზე, რაც არსებითად არის კიდევ ჩვენი კვლევის საგანიც.

იერუსალიმის ტიპიკონის შედგენა წმინდა საბა განწმენდილს უკავშირდება. ამ ტიპიკონში აღწერილია ცხოვრების ის წესი, რომელიც პალესტინის მონასტრებში ყოფილა. გადმოცემა გვეუბნება, რომ საბას იგი თავისი მოძღვრის, ღირსი ეფრემ დიდისაგან მიუღია. სვიმონ თესალონიკელის ცნობით, წესდების სია დამწვარა მაშინ, როცა იერუსალიმი სპარსეთის მეფეს ხოსროს აუღია, კერძოდ, 614 წელს. იერუსალიმის პატრიარქი, სოფრომი, რომელიც საბაწმინდის ლავრაში დიდხანს მოღვაწეობდა, 640 წელს რედაქტირებას უკეთებს და ავრცელებს აღდგომის ტაძრის წესდებას. მოგვიანებით, მეშვიდე საუკუნეში წესდება უფრო მეტად მდიდრდება და მას ემატება კანონები და სტიქარონები. ამას იოანე დამასკელს მიაწერენ. თავისი წვლილი ამ ტიპიკონის რედაქტირებაში შეიტანა კოზმა მაიუმელმა და ანდრია კრეტელმაც. საბაწმინდის თავდაპირველი რედაქცია მოკლე უნდა ყოფილიყო და, სავარაუდოდ, მასში სადისციპლინო ნაწილი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე საღვთისმსახურო. ეს ტიპიკონი იერუსალიმის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეკლესიებში მოქმედებდა. მასთან დაკავშირებული იყო ქართული ეკლესიაც (ამაზე საუბარი გვექნება მომდევნო თავებში).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პილიგრიმები ხშირად გადმოსცემდნენ ამა თუ იმ ტაძარში ჩატარებულ ღვთისმსახურებას და ხშირად დეტალურადაც აღწერდნენ როგორი წესით მიმდინარეობდა ლიტურგიკა. აღდგომის ტაძრის დილის ლიტურგიკას პილიგრიმი ქალის, სილვია ეთერიას მოგზაურობის დღიურებშიც ამოვიკითხავთ:

„აისის დადგომისთანავე, იწყება დილის გალობა, შემდეგ შემოდის ეპისკოპოსი, და გალობენ დიდების ჰიმნებს, ან ფსალმუნებს. და აი, შემობრძანდა ეპისკოპოსი თავისი დასით და შევიდა გამოქვაბულში (საკურთხეველი) და იქ კი, საკურთხეველში თავდაპირველად ადავლენს საერთო ლოცვას და მოიხსენიებს მათ, ვინც უნდა

მოიხსენიოს... ლოცვის წაკითხვის შემდეგ, ეპისკოპოსი გამოდის წმინდა ადგილიდან და მასთან მიდის ყველა, ვისაც დალოცვა უნდა და ისიც ყოველ მათგანს ლოცავს (Письма паломницы IV века, 1994. გვ.156).“

როგორც პილიგრიმის ჩანაწერებიდან ირკვევა, ლოცვას არ იწყებს ეპისკოპოსი, არამედ რომელიმე მღვდელი ან დიაკვანი. ეპისკოპოსი ამის შემდეგ შემოდის, კერძოდ, როცა დიდების ჰიმნები იგალობება, ან უფრო კონკრეტულად, რომელიმე ფსალმუნი. სავარაუდოდ, ეს როგორც მოციქულთა საქმეებში იკითხება ან 62-ე დილის წირვაზე, ან კიდევ 140-ე ჟამის წირვაზეა (საქმე 2:59).

არაფერია ნათქვამი დილის ლიტურგიაზე ცალკე, არამედ მინიშნებულია, რომ დილის ლიტურგია მეორდება საღამოს წირვის მსგავსად, მხოლოდ ლოცვებია განსხვავებული.

თავი III

ეგერია და მისი მოგზაურობის დღიურები

3.1. პილიგრიმი ქალი ეგერია (ბიოგრაფიული ცნობები)

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ კონსტანტინეპოლში, ხოლო მანამდე კონსტანტინე დიდის მიერ ხელმოწერილმა მილანის ედიქტმა (Edictum Mediolanensium), ქრისტიანებს უფლება მისცა თავისუფლად ექადაგათ ქრისტეს სწავლანი. ამას თან მოჰყვა ქრისტიანთა დამპყრა პალესტინისაკენ და იერუსალიმში უამრავი ეკლესია - მონასტრის აღმშენებლობამ კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა იერუსალიმი. ზემოთ აღინიშნა, რომ მომლოცველები მთელი მსოფლიოდან მიემართებოდნენ წმინდა ადგილებისაკენ, პალესტინის თუ იერუსალიმისაკენ წმინდა წერილზე დაყრდნობით ადგენდნენ მარშრუტებს და მიდიოდნენ ყველა წმინდა ადგილზე მოსალოცად. ხშირად მომლოცველები თავიანთი მოგზაურობის შესახებ ჩანაწერებს აკეთებდნენ. ან მათი ისტორიები წერილებიდან გახდა ცნობილი, რომელსაც ან ოჯახის წევრებს, ან კიდევ მეგობრებს სწერდნენ. ეს ჩანაწერები, რა თქმა უნდა, საინტერესო და მნიშვნელოვან მასალად მიიჩნევა, რადგან ხშირად ისეთ ცნობებს ვაწყდებით, რაც ან დაკარგულია, ან არც კი არის ისტორიკოსების მიერ საყურადღებოდ მიჩნეული. ერთ-ერთი ასეთი მომლოცველი მოგზაურის, კერძოდ, კი ვინმე ეგერიას (სილვია ეთერია) მოგზაურის დღიურები მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის პალესტინისა თუ იერუსალიმის შესახებ. სამეცნიერო წრეებში იგი „ეგერიას მოგზაურობით“ (Itinerarium Egeriae), „ეთერიას პილიგრიმოზა“ (Peregrinatio Aetheriae), ან კიდევ „ეგერას მოგზაურობა წმინდა მიწაზე“ (Peregrinatio ad loca Sancta) სახელწოდებითაა ცნობილი (Кротов Я. Богочеловеческая история, გვ.3).

ვინ არის და საიდანაა წარმოშობით ეგერია? რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მისი მოგზაურობის ჩანაწერებს ქრისტიანული სამყაროს, კერძოდ IV საუკუნის ეკლესიის შესწავლაში?

650 წელს მონაზონი ვალერია წერს ვინმე ეთერიას შესახებ, რომელიც წარმოშობით გალიიდან იყო: „ იგი დიდი სიხარულით დათანხმდა ყოფილიყო მწირი მომლოცველი, რათა მიეღო მისი მემკვიდრეობა ზეციურ სამეფოში და ყოფილიყო წმინდა ქალწულთა დასში. მაშინ, როცა წმინდა ეკლესიის სხივი მოეფინა დასავლეთის ამ შორეულ ქვეყანას, ქალწული ეგერია (ეთერია, სილვია) აღივსო ღვთის სიყვარულითა და უფლის ნებითა და მოწყალებით გადაწყვიტა მოეწყო ის ადგილები და მოელოცა მაცხოვრის შობის, ჯვარცმისა და აღდგომის ადგილები...“ (Epistola beatissime Egerie laude conscripta fratrum Bergidensium monachorum a Valerio conlata დიდებული ეთერიასადმი წერილი ბერგინდელი ქრისტიანი ძმისა, ვალერიანისა).

წყაროზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ იგი პილიგრიმი, მოგზაური ქალია, რომელმაც არა მხოლოდ იმოგზაურა და პილიგრიმული გზა გაიარა წმინდა მიწაზე, არამედ აღწერა კიდევ თავისი მოგზაურობა, რომლის შესახებაც თავად წერს ეპისტოლეებში („ეგერიას მოგზაურობა“).

რაც შეეხება ვინაობას, არსად ჩანს ამის შესახებ ცნობები, თავად არ ჰყვება, მაგრამ, როცა თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში მდინარე ევფრატს სიდიდით მდინარე რონს (Rhône-Rhodanus) ადარებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი წარმოშობით გალიიდან უნდა იყოს, რასაც ადასტურებს ედესის ეპისკოპოსის სიტყვები, რომ იგი აქ მოვიდა de extremis porro terries (დედამიწის კიდიდან). მას ჰქონდა სურვილი ენახა აღმოსავლეთის წმინდა ადგილები დაწყებული ეგვიპტიდან, სადაც იყო თებეიდა, სინას მთა, პალესტინა , სირია და მცირე აზია. შეჩერებულიყო იმ პუნქტებში, რომელიც უკავშირდებოდა გარკვეულ წმინდა ამაღლებს, ან რომელიც მიიზიდავდა მომლოცველებს იქ შენახული წმინდა ნაწილებით. როგორც ხელნაწერიდან ჩანს, პალესტინაში მან 3 წელი დაჰყო. ცხოვრობდა იერუსალიმში, საიდანაც ხშირად მიემგზავრებოდა და მოინახულებდა ბიბლიურ ადგილებს. თავისი მდგომარეობით, როგორც პილიგრიმი, მას ყველგან დიდი ყურადღებით იღებდნენ და მოწიწებითაც ეპყრობოდნენ. აქედან ისიც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ცნობილი და მდიდარი ოჯახის შვილი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, მას თან ახლავს მრავალრიცხოვანი ამაღლა, ყველგან ხვდებიან

და აცილებენ ეპისკოპოსები, სახიფათო ადგილებში კი - სამხედრო მცველები დაჰყვებიან (Кротов Я. Богочеловеческая история, გვ.8).

მას კარგი განათლებაც აქვს მიღებული, იცნობს წმინდა წერილს, ასევე აპოკრიფულ ლიტერატურას. როცა დაუსრულებია მოგზაურობა, კონსტანტინეპოლში ჩასულა, სადაც გასჩენია სურვილი, რომ ამის შესახებ მოეყოლა თავისი დებისათვის, რომლებიც სამშობლოში დარჩნენ. ვინ უნდა ვიგულისხმოთ დებში, სისხლით ნათესავები, თუ ისინი, ვინც სულიერად იყვნენ მასთან დაკავშირებული? სავარაუდოდ, ესენი მონაზვნები უნდა ყოფილიყვნენ. შესაძლებელია, მომლოცველი თავადაც მონაზონი იყო, თუმცა წერილებში ამაზე მინიშნებული არაფერია.

ჯ. კოლბერგის აზრით, უცნობი მომლოცველი ქალი და პლაციდია გალელი ერთი და იგივე პირია, და სწორედ ისიც ამ პერიოდში უნდა ყოფილიყო იერუსალიმში, თუმცა XIV საუკუნის წყაროების მიხედვით, პლაციდია გალელი იერუსალიმში დაახლოებით 423 წელს უნდა ჩასულიყო მომლოცველის რანგში და ამიტომ ქრონოლოგიურად ეს არ არის შესაბამისი. გ.გ. გარუმნის ვარაუდი უფრო ახლოსაა სინამდვილესთან. იგი ფიქრობს, რომ პილიგრიმი ქალი შესაძლებელია იყოს პრეფექტ რუფინუსის და სილვია, რომლის შესახებ არსებული ცნობები უფრო ახლოს დგას ამ პილიგირმი ქალის ცხოვრების შესახებ არსებულ ინფორმაციასთან. პალადი ჰელინოპოლელი თავის „ლავსაიკონში“ (გვ. 143, გვ 1244) ამბობს, როცა წავიდა რამდენიმე თანმხლებით იერუსალიმიდან ეგვიპტეში თან ახლდა ნეტარ ქალწულს, პრეფექტ რუფინუს დას. ისინი მივიდნენ პელუსიუმში და იქ ვინმე დიაკონმა იუბინმა, შემდგომში ასკალონის ეპისკოპოსმა, სიციხისაგან გათანგულმა, ცივ წყალში განიბანა ხელ-ფეხი და შემდეგ დაიძინა. როცა ეს ნახა სილვიამ, უსაყვედურა ასეთი ადამიანური სისუსტის გამოვლენა, უთხრა, რომ როგორც ახალგაზრდას, შეეძლო ეს არ გაეკეთებინა და დაეთმინა, რადგან ბევრია საცდური, რომელიც ამას მოჰყვებოდა და არ უნდა დამორჩილდეს ადამიანურ ვნებებს: „დამიჯერე, მითხრა მან, მე უკვე სამოცი წლის ვარ და არაფერი განმიბანია გარდა ხელისა და თითებისა და ისიც მხოლოდ ზიარების მიღების დროს. თუმცა ბევრი ავადმყოფობით ვიტანჯები და ექიმებიც მაიძულებენ განბანვას, არ დავმორჩილდი

საცდურს, ფიზიკურ ძალას, არასოდეს მიძინია ლოგინზე...” (Письма паломницы IV века, 1994. გვ.156-160).

პალადი ჰელინოპოლეელი მას (სილვიას) განსწავლულს უწოდებდა, რადგან მან ძალიან შეიყვარა მეცნიერება, დღე და ღამეს ათენებდა, შეისწავლა ყველაფერი, რაც ადრე იყო დაწერილი: ორიგენეს, გრიგოლის და სხვა მამების ქადაგებები. ეს მოგზაურობა, რომლის შესახებაც საუბრობს პალადი თეოდოსის მეორე კონსულობის დროს მომხდარა, 388 წელს. იერუსალიმში მოსული სილვია შეხვედრია პრესვიტერ რუფინუსს, რომელსაც ქალთა საერთო საცხოვრებელს ედგა თავში, რომელიც წმინდა მელანიას დაუარსებია და დაუვალებია მისთვის გადაეთარგმნა ბერძნულიდან ლათინურად წმინდა კლიმენტის შემოქმედება, რომელიც უთარგმნია კიდევ, მაგრამ მას შემდეგ რაც სილვია გარდაიცვალა. როდესაც პილიგრიმი ქალი კონსტანტინეპოლში ჩავიდა, იგი მისმა ძმამ აღარ გაუშვა და ხელმძღვანელობდა პრეფექტის ცოლის ოლიმპიადას სულიერ აღზრდას.

რუფინუსი აკვიტანიიდან თავის სამშობლოში თეოდოსიმ გამოიძახა დაახლოებით 384 წელს, იგი დიდი გავლენით სარგებლობდა აღმოსავლეთში. 392 წელს იგი ჯერ კონსული, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთის პრეფექტი იყო. თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ იგი არკადიუსის აპეკუნის გახდა და ტახტზეც დაიწყო ოცნება, მაგრამ იგი ამ სურვილს შეეწირა კიდევ; ხოლო მისი ცოლ-შვილი იერუსალიმში გააძევეს 396 წელს. დაახლოებით 400 წელს სილვია იტალიაში ცხოვრობს. მას დიდი როლი მიუძღვის არაერთი ბაზილიკის მშენებლობაში, როგორც მოსაღების გამცემს (Кротов Я. Богочеловеческая история, გვ.10).

სილვია გარდაიცვალა ბრესჩიაში და დაკრძალურია წმინდა მოწამეთა ტაძარში (Concilium Sanctorum), იგი რომის ეკლესიამ წმინდანად აღიარა და მისი ხსენებაც 15 დეკემბერს დაწესდა (Кротов Я. Богочеловеческая история, გვ.10).

გ.ფ. გარუმნის ვარაუდი პილიგრიმი ქალის, სილვია ეგერიას ვინაობაზე საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს, თუმცა ბოლომდე მასზე დაყრდნობა მაინც არ შეიძლება, სხვა ცნობებიცაა გასათვალისწინებელი.

მის შესახებ ერთ-ერთი უტყუარი წყარო ეკუთვნის მონაზონ ვალერიას, VII საუკუნეში, რომელშიც მოხსენიებულია ეგერია და მასვე აქვს რამდენიმე ფრაგმენტი ციტირებული თავის წერილში.

3.2. „ეგერიას მოგზაურობა „- ტექსტის შესახებ

წმინდა ადგილების მომლოცველის ჩანაწერები მსოფლიო მეცნიერებამ მეცხრამეტე საუკუნეში გაიცნო. 1884 წელს, როდესაც იტალიელმა არქეოლოგმა და არქეოგრაფმა გ.ფ. გარუმნიმ განაცხადა მისი აღმოჩენის შესახებ იტალიურ ჟურნალში *Studi e documenti di storia e diritto* T.V. 1887 წელს გამოიცა მის მიერვე აღმოჩენილი edition princeps-ის მომლოცველობა, რომელიც მნიშვნელოვან აღმოჩენად აღიარეს, არა მხოლოდ პილიგრიმული, არამედ საერთოდ სამეცნიერო ლიტერატურაში. მოგვიანებით, როცა გ.ფ. გარუმნის მიერ ჩატარებული სამუშაო შეადარეს ძირითად ტექსტს, აღმოჩნდა, რომ გ.ფ. გარუმნის მიერ ჩატარებული სამუშაო არ იყო ბოლომდე სანდო, რადგან მსგავსი ტიპის სამუშაოებს სხვა მიდგომები და სხვა ხერხები სჭირდება.

პალესტინურმა მართლმადიდებლურმა საზოგადოებამ, რომელმაც სწორად შეაფასა ახალი აღმოჩენის მნიშვნელობა, გადაწყვიტა უფრო ზუსტი და დეტალური შეფასებისათვის ხელნაწერის გადაცემა პრივატ-დოცენტ ი.ი. ხოლოდნიაკისათვის, რომელიც 1887 წელს სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა იტალიაში. მეცნიერმა ზედმიწევნითი სიზუსტით შეადგინა ხელნაწერის ზუსტი დახასიათება.

ხელნაწერი, რომელიც გ.ფ. გარუმნიმ აღმოაჩინა, წმინდა მარიას პრევატოს სამძოს ბიბლიოთეკაში იყო დაცული და დაახლოებით XII საუკუნისა უნდა ყოფილიყო. ხელნაწერი სულ 87 ფურცლისგან შედგებოდა და როგორც კვლევადან ჩანდა, ერთი ადამიანის მიერ უნდა ყოფილიყო შესრულებული. იგი ე.წ. ლანგობარდიული

კალიგრაფიითაა შესრულებული და მსგავსი ხელნაწერი გვხდება მონტე-კასინოს ხელნაწერებში, რაც გვაფიქრებინებს, რომ გადამწერი მონტე-კასინოს მონასტრის წევრი უნდა ყოფილიყო. (Письма паломницы IV века, 1998. გვ.156-160)

პერგამენზე შესრულებული ხელნაწერის სიგრძე 207 მმ-ია, ხოლო სიგანე 138 მმ. ხელნაწერი სწორხაზოვანია. პირველი 31 გვერდზე პუატის ეპისკოპოსის წმინდა ჰილარიას ტრაქტატია დაწერილი, რომელიც სრულდება ასე: *Finit tractatus mysteriorum s.Hilarii episcopi ab Adam usque ad Noe, deinde Abraame, Isaac, Iacob, Moysis, et Osee prophetae et Heliae*. სრულდება საიდუმლო ტრაქტატი წმინდა ჰილარიის ეპისკოპოსისა ადამიდან ნოემდე, შემდეგ აბრაამ, ისაკი, მოსე და სხვა წინასწარმეტყველებისა და ელიამდე.

ტრაქტატი 2 წიგნისაგან შედგებოდა, რომლისგანაც პირველი დაკარგულია, ხოლო მეორეში 14-15 ფურცელი ორი ჰიმნის შემცველია, რომელიც წმ. ჰილარიოსს მიაკუთვნეს. *sequuntur hymni eiusdem*- შემდეგი ჰიმნებიდან. პირველი მართლაც შესაძლებელია, რომ მას ეკუთვნოდეს, მაგრამ მეორეში ავტორი მდედრობითი სქესის ფორმით მოიხსენიებს საკუთარ თავს. აგრეთვე განსხვავებაა სტილისტური და ლექსიკური თვალსაზრისითაც.

ხელნაწერის ბოლო 22 ფურცელი, დაახლოებით 44 გვერდი დათმობილი აქვს პილიგრიმობას და მის არსს. თუმცა ხელნაწერის დეტალურად გაცნობის დროს აღმოჩნდა, რომ მას არა აქვს დასაწყისი, არც დასასრული და შუა ნაწილიც არასრულადაა მოღწეული. ხელნაწერები გადახლართულია ე.წ. კვარტერონებით, ანუ რვეულებით: ოთხი ორმაგი ან რვა ჩვეულებრივი ფურცლით, ანუ სულ 16 გვერდად. ერთი ორმაგი ფურცელი მოგვიანებით უნდა დაკარგულიყო. ანუ დაახლოებით 46 და 49 გვერდებსა და 60 და 63 გვერდებს შორის. ტექსტის ის ნაწილი, რაც შემონახულა არ არის არც დასათაურებული, არც მისი დაწერის დრო და უცნობია მისი ავტორიც. ყველა ეს პასუხი ვარაუდებს ეყრდნობა, რომლის საფუძველსაც მოცემული ტექსტი პირდაპირ თუ ირიბად მიგვანიშნებს.

გ.ფ. გარუმნი ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე სათაურად *Peregrinatio ad loca Sancta* -მოგზაურობა წმინდა ადგილებში მიიჩნევს და ამის დასტურად მოჰყავს თავად ხელნაწერში დაცული შენიშვნა, როცა მიგვანიშნებს 2 გვერდზე- 38 და 69- რომლის მარჯვენა ზემო კუთხეში აღმოაჩენს ორ ასო-ნიშანს PE, რაც შესაძლებელია გვერდების დასაწყის მიუთითებდეს.

რაც შეეხება დაწერის თარიღს, იგი სავარაუდოდ უნდა ემთხვეოდეს მეოთხე საუკუნის ბოლო ათწლეულს. როგორ შეიძლება ეს დავადგინოთ?

ტექსტის შინაარსიდან თავისუფლად შეგვიძლია იმის თქმა, რომ პილიგრიმ ქალს მას შემდეგ უმოგზაურია, როცა კონსტანტინე დიდი აღარ არის იმპერატორი, ანუ მისი გარდაცვალების შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს იუსტინიანეს იმპერატორობამდე. მოგზაურის დღიურში ნახსენები ყველა შენობა-ნაგებობა დეტალურადაა აღწერილი, თუმცა არაფერია ნათქვამი იუსტინიანეს მოღვაწეობაზე კონსტანტინეპოლსა და სინას მთაზე. კიდევ უფრო მეტად შეიძლება შევამციროთ ეს დრო, რადგან თავის ჩანაწერებში ეგერია ახსენებს ედესის ლამაზ და დიდებულ ეკლესიას, რომლის შესახებ ცნობებს ვხვდებით იმპერატორ ვალერიანეს მეფობის დროს, როცა მას 372 წელს უბრძანებია ედესის ეკლესიის რესტავრირება.

სხვა, უფრო ახლო მინიშნება *terminus a quo* (საზღვარი, რომელიც) ჩანს ქალაქ ჰაარის ეპისკოპოსის სიტყვებში, რომელმაც პილიგრიმს აუწყა, რომ ნიზივინი და ტიგროსის მეორე მხარე სპარსელების ხელშია, რადგან 363 წელს იმპერატორი იულიანეს წინამორბედმა შეძლო და რომაული ლეგიონებს დაატოვებინა ტერიტორია. რაც შეეხება *terminus ad quem* (საზღვარი, რომლისგანაც), იგი უფრო ზუსტად შეიძლება განისაზღვროს, რადგან მომლოცველი ცალ-ცალკე ახსენებს ედესის წმინდა ეკლესიას და აქვე მოიხსენიებს წმინდა მოციქულ თომას საფლავს, რომელიც 394 წლამდე აქ არ იყო და რომელიც ედესის ეპისკოპოსმა კირამ გადაასვენებინა ედესის მონასტერში. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომლოცველი ედესაში 372-394 წლებში უნდა ყოფილიყო. ამას ემატება ისიც, რომ მომლოცველისათვის ჯერ კიდევ არ არის ცნობილი წმინდა წერილის თარგმანი, რომელიც უთარგმნია ღვთაებრივ იერონიმეს და

არც პაპ ჰელასიოსის დეკრეტი (494წ), რომელიც კრძალავდა ავგაროზის ეპისტოლეს ქრისტეს მიმართ და ქრისტეს პასუხს ავგაროზისადმი. ასევე წინასწარმეტყველ თომასა და პირველმოწამე თეკლას აქტებს. მისთვის, როგორც ჩანს, არც იმპერატორ თეოდოსიოსის 381-383 წლების ბრძანებაა ცნობილი, რომლის მიხედვითაც აპოტაქტიკები ერეტიკოსებადაა გამოცხადებული. მეორე მხრივ, იგი ახსენებს თებეიდას, როგორც ქრისტიანი პილიგრიმების მნიშვნელოვან პუნქტს. მისთვის ცნობილია წმინდა ანტონისა და სხვა განდევილების შესახებ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პილიგრიმის მიერ აღწერილი ფაქტები სავსებით მიესადაგება მეოთხე საუკუნის ბოლო ათწლეულს (Письма паломницы IV века, 1998. გვ.156-160).

პილიგრიმის მიერ დაწერილი ტექსტი ჩვენამდე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არის სრული სახით მოღწეული. გარუმნიმ აღმოაჩინა წყარო, საიდანაც, შესაძლებელია, ნაწილობრივ აღვადგინოთ იგი. ეს წყარო კი მონტე-კასინოს ბერს, დიაკონ პავლეს ეკუთვნის, რომელიც თავის „De locus sanctis“ („წმინდა მიწის შესახებ“) ნაწილად არის გადმოცემული. დიაკონი პეტრე მონტეკასინოს აბატის გვიბალდის თანამედროვე იყო, რომელიც ამ ხარისხში 1037 წლიდან არის აყვანილი ქალაქ ლოტარენში და რომელსაც დაევალა, რომ მოეგვარებინა მონასტრებს შორის დაძაბულობა. სწორედ მას მიემღვნა ეს ნაშრომიც. პეტრე საკმაოდ განათლებული იყო და მას არაერთი ნაწარმოები დაუტოვებია, როგორც პროზაული, ასევე პოეტური. ისინი ღრმა რელიგიური შინაარსისაა. როგორც მონტეკასინოს მონასტრის ბიბლიოთეკარმა, შეუგროვებია და აღუნუსხავს ყველა ის დოკუმენტი და ხელნაწერი, რაც ამ მონასტერში ინახებოდა. თავის ნაშრომში „De locus sanctis“ („წმინდა მიწის შესახებ“) პეტრემ 2 წყარო შეადგინა: წმინდანთა საქმე და გარუმნის მიერ აღმოჩენილი პილიგრიმული ტექსტი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პეტრეს საკმაოდ დიდი გულგრილობა გამოუჩენია ამ უკანასკნელის მიმართ, რადგან ტექსტი შემოკლებულია, გადაადგილებულია ფურცლები, ხშირია ტექსტიდან ამოგლეჯილი გარკვეული მონაკვეთები, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად პეტრეს ტექსტიც არ არის ჩვენამდე სრული სახით მოღწეული. ის იქ წყდება,

სადაც აღწერილია სინას მთა იმ ადგილამდე, საიდანაც იწყება პილიგრიმის ტექსტი (Письма паломницы IV века, 1998. გვ.156-160).

3.3. ცნობები პალესტინური ლიტურგიის შესახებ „ეგერიას მოგზაურობის „მიხედვით

„ეგერიას მოგზაურობის“ აღწერა სინას მთის აღწერით იწყება და გრძელდება იერუსალიმის წმინდა ტაძრებისა და შესრულებული ღვთისმსახურების აღწერით. პილიგრიმი ქალი თავის თანხლებ პირებთან ერთად იმ მარშრუტს გადის და აღწერს, რომელიც მას გაუვლია. მარშრუტი, როგორ აღწერილობიდან ჩანს ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის მიხედვითაა შედგენილი და შესაძლებელია იმეორებდეს ეგერიასათვის ცნობილ მარშრუტს, რადგან, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, პილიგრიმები თავისთავად ადგენდნენ ამ მარშრუტებს, რაც მათ მომდევნო პილიგრიმებს უადვილებდა პილიგრიმობას.

სპეციალისტები „ეგერიას მოგზაურობას“ აღიარებენ, როგორც პალესტინოგრაფიის მნიშვნელოვან აღმოჩენას, რადგან მიაჩნიათ, რომ იგი წერილობითი წყაროა პალესტინაში არსებული მონასტრების ლიტურგიკული პრაქტიკისა. მოყვანილი ტექსტიდან თავისუფლად შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სინას მთაზე მომლოცველთა მნიშვნელოვანი პუნქტია, სადაც მათ შეუძლიათ მოილოცონ წმინდა საფლავები.

„ნაწერებიდან ჩანდა... ამ დროს მიმავლები, მივედით იმ დანიშნულ ადგილამდე, სადაც ექვსი მთაა, რომელთა შორისაც მივდიოდით, იშლებოდა და იხატებოდა თვალუწვდენელი წმინდა, ღვთაებრივი სინას მთა იმ ადგილას, სადაც იშლება მთები, იმ ადგილებთან მოსაზღვრე, სადაც იყო მამების საფლავები ({deest}.... Ostendebantur iuxta scripturas. Interea ambulantes pervenimus ad quondam locum, ubi se tamen montes illi, inter quos ibamus, aperiebant et faciebant vallem infinitam, ingen, planissima et valde pulchram, et trans vallem apparebant mons sanctus Dei Sina. Hic autem locus, ubi se montes aperiebant, iunctus est cum eo loco, quo sunt memoriae concupiscentiae.) („ეგერიას მოგზაურობა“ 1:1) - გადმოგვცემს პილიგრიმი ქალი.

ამავე დროს თავად ბერები მიუთითებენ აქ მისულ მომლოცველებს, რომ ეს ჩვეულებრივ ტრადიციაა და აუცილებელია ამ საფლავების მოლოცვა, რადგან ეს მათი ცოდვებისაგან გამოხსნის ერთ-ერთი პირველი გზაა.

„როცა ამ მხარეს მოდიხარ, წმინდა მამები, რომლებიც ჩვენთან ერთად არიან, გვეუბნებიან: არის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც აქ პირველ ლოცვას აღავლენენ, რადგან აქედან მოჩანს ის მთა, რომელსაც ღვთაებრივ (ღმერთის მთას) უწოდებენ. ჩვენც ასე მოვიქცებით. ამ ადგილიდან უფლის მთამდე მხოლოდ ოთხი მილია. („ეგერიას მოგზაურობა“, 1:2)

ეს ის მთაა, რომელზეც მოსე ადის და სადაც ღმერთმა მას ათი მცნების დაფები მისცა, რომელიც მან ისრაელისკენ მიმავალ ხალხს ჩამოუტანა უდაბნოში დაბანაკებულ ებრაელებს. მოსემ, ძველი აღთმის მიხედვით, ამ მთაზე ორმოცი დღე და ორმოცი ღამე გაატარა და ბოლოს სულიერად განწმენდილი და ათი მცნებით დაბრუნდა ეგვიპტიდან გამოსულ იუდეველებთან, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყო, რომ მალე ისინი აღთქმულ ქვეყანას მიუახლოვდებოდნენ.

ეგერია დაწვრილებით აღწერს სინას უდაბნოს, მიუთითებს იმ ბუჩქზეც, რომელიც გადმოცემით მოსეს თვალწინ იწვოდა და იმ გზის შესახებაც, რომელიც ადიოდა წმინდა მთაზე. სინას მთის ბერები ამას შესახებ ახსენებენ პილიგრიმ ქალთან საუბარში. ეგერია იმასაც აღნიშნავს, რომ ბერები მოლოცველთან ერთად, რომლებიც მათ ეწვევათ, სადიდებელ ლოცვას აღავლენდნენ. ეგერია მიუთითებს იმაზეც, რომ სინას მთა რამდენიმე გორისაგან შედგება და ერთიანობაში თითქოს გვირგვინს წარმოადგენდა და საბოლოოდ წმინდა მთად იწოდება. ამავე დროს ხსნის, რომ წმინდა მთად იმიტომაც წოდებული, რომ ძველი აღთქმის მიხედვით სწორედ აქ მოხდა გამოცხადების საიდუმლო. ეს მთა კი აღმატებულია სხვა გორებს შორის და თითქოს ესეც მიუთითებს მის გამორჩეულობაზე - წერს პილიგრიმი ქალი.

„ეს ვაკე, რომელიც უფლის მთის ძირშია, ძალიან დიდია და იგი დაახლოებით (რამდენადაც შესაძლებელია მისი თვალთვლით გაზომვა, ან დავუჯერებთ გამცილებლის სიტყვებს) დაახლოებით თექვსმეტი ათასი ნაბიჯის ტოლია სიგრძეში და ოთხი ათასი

ნაბიჯისა სიგანეში. იმისათვის, რომ მთაზე ახვიდე უნდა გადაიარო ვაკე. ვაკე დიდი და სწორია, სადაც ისრაელის შვილები იყვნენ იმ დღეებში, როცა მოსე ავიდა მთაზე და იქ ორმოცი დღე და ორმოცი ღამე დაჰყო. ეს არის ვაკე, სადაც დევს დიდი ქვა, ადგილი, სადაც ღმერთი მეორედ გამოეცხადა ცეცხლოვანი ბუჩქით მოსეს, როცა იგი თავისი სიმამრის ცხვრებს მწყემსავდა. გზა ისე იყო, რომ ჯერ წმინდა მთაზე უნდა ასულიყავით და მერე როცა დავეშვიით, მოხვდით ამ ადგილას, გადავწყვიტეთ ამ გზით გვევლო და ყველაფერი გვენახა, შემდეგ დავბრუნებულებიყავით იმ წინამძღვრებთან, რომლებიც გზას გვიჩვენებდნენ ამ ვაკეზე, რომელიც წმინდა წერილშია მოხსენიებული. ასეც მოვიქეციით. იმ ადგილიდან, სადაც მივედით ფარანადან, ჩვენ აღვავლინეთ ლოცვა.

Vallis autem ipsa ingens estvalde, iacens subter latus montis Dei, quae habet forsitan, quantum potuimusvidentes aestimare aut ipsi decebant, in longo milia passps fortisan sedecim, in lato autem quattor milia esse appellabant ipsam ergo vallem nos traversare habebamus, ut possimus montes ingredi. Haec est autem vallis ingens et planissima, in qua filii Israel commorati sunt his diebus, quod sanctus Moysesascendit in montem Domini et fuit ibi quadraginta diebus et quadraginta noctibus. Haec est autem vallis, in qua factus est vitulus, qui locus usque in hodie ostenditur; nam lapis grandis ibi fixus stat is ipsa loco. Haec ergo vallisipsa est, in cuius capite ille locus ess..... („ეგერიას მოგზაურობა“, 2:1)

ჩვენი გზა ისე გადიოდა, რომ აუცილებლად უნდა გაგვევლო შუაში იმ ვაკისა და ასე გადავიდოდით წმინდა მთაზე. თავად მთა, გეჩვენება, რომ იმ არე-მარეში ერთადერთია, მაგრამ როგორც კი შეუდგები მას, ნახავ, რომ რამდენიმე გორისაგან შედგება, რომელიც ერთიანობაში წმინდა მთად იწოდება. ძირითადი კი ისაა, სადაც მოხდა უფლის გამოცხადება ძველი აღთქმის მიხედვით. იგი ყველასაგან შუაში არის. ეს გორები საკმაოდ დიდი და მაღალი მთებია, რომლის მსგავსებიც მე არასდროს მინახავს, მაგრამ ის მთა, სადაც ღმერთი გამოეცხადა მოსეს აღმატებულია ყველაზე. როცა ამ მთაზე ავედით, ირგვლივ არსებულ მთებს როცა გადმოვხედეთ, თითქოს ზემოდან დავყურებდით მას. გაოცებას იწვევ ჩვენში ისიც, რომ შუა მთა, რომელსაც ასევე სინას მთასაც უწოდებენ, მიუხედავად მისი სიდიდისა არ ჩანს მანამ, სანამ ახლოს არ მიხვალ,

ხოლო ასვლის შემდეგ უკან წამოსულებს პირიქით ვხედავთ. ამის შესახებ მე მითხრა სამძოს ერთმა წმინდა ძმამ, მაგრამ ჩემი თვალითაც დავრწმუნდი, როცა იქ მივედი. Mons autem ipse per giro quidem unus esse videtur; intus autem quod ingrederis, plures sunt, sed totum mons Dei appellatur, specialis autem ille, in cuius summitate est hic locus, ubi descendit maiestas Dei, sicut scriptum est, in medio illorum omnium est. Et cum hi omnes, qui per girum sunt, tam excelsi sint quam nunquam me puto vidisse, tamen ipse ille medianus, in quo descendit maiestas Dei, tanto altior est omnibus illis, ut, cum subissemus in illo, prorsus toti illi montes, quos excelsos videramus, ita infra nos essent, ac si colliculi permodici essent. Illud sane satis admirabile est et sine Dei gratia puto illud non esse, ut, cum omnibus altior sit ille medianus, qui specialis Sina dicitur, id est in quo descendit maiestas Domini, tamen videri non possit, nisi ad propriam radicem illius veneris, ante tamen quam eum subeas; nam posteaquam completo desiderio descenderis inde, et de contra illum vides, quod, antequam subeas, facere non potest. Hoc autem, antequam perveniremus ad montem Dei, iam referentibus fratribus cognoveram, et postquam ibi perveni, ita esse manifeste cognovi. („ეგერიას მოგზაურობა“, 2:2)

სინას მთაზე, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, სწორედ იმ ადგილას, სადაც მოსეს უფალი გამოეცხადა „ძველი აღთქმის“ მიხედვით, დაიწყო ქრისტიანული ეკლესიების შენება და ბერების დასახლება. ამის შესახებაც პილიგრიმი ქალი გვაწვდის ინფორმაციას, როცა ამბობს, რომ მთაზე ასვლის შემდეგ აღმოჩნდა რომ აქ რამდენიმე ეკლესია და ბერების კელიებია, ხოლო ეკლესიის პრესვიტერი სტუმართმოყვარე ადამიანია ძალიან, რომელიც ყველა მგზავრს თბილად იღებს და უმასპინძლდება. როგორც ჩანს ეგერია აქ შაბათ დღეს მისულა და კვირა დღის ლიტურგიას დასწრებია. იგი გაოცებული იყო იმ სირთულეებით, რაც ამ მთაზე ცხოვრებას მოსდევს და ამავე დროს აღნიშნავს, რომ ბერები თავად უვლიან და თავად ცდილობენ მიწის დამუშავებას, იმ ადგილებში, რომლებიც არ არის ადვილად გასავლელი, რადგან აქ ასვლა პირდაპირ შეუძლებელია, არამედ მთის ფერდობზე

გვერდულად უნდა ახვიდე. მაგრამ უფლის შემწეობით ამას ადვილად ახერხებდნენ როგორც ბერები, ასევე პილიგრიმი ქალი თავისი მხლებლებით.

„მაშ ასე, შაბათს საღამოს ჩვენ ავედით მთაზე, და როცა მივედით რამდენიმე კელიაში, ჩვენ ძალიან თბილად მიგვიღეს ბერებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ აქ და ყველანაირი დახმარება აღმოგვიჩინეს. იქ არის ეკლესია, რომელსაც პრესვიტერი უდგას თავში, სადაც ღამე გავათენეთ და მეორე დილით, კვირას, ალიონზე პრესვიტერთან და ბერებთან ერთად, რომლებიც მთაზე ცხოვრობენ მოვიარეთ დანარჩენი გორები, რომლებზე ასვლაც საკმაოდ რთულია. აქ ასვლა შეუძლებელია პირდაპირ, როგორც კედელზე, არამედ გვერდულად. ყველა მთა უნდა გადაიარო: ახვიდე და ჩამოხვიდე, სანამ არ მიხვალ ზუსტად შუა მთის ფერდობზე, რომელიც არის ზუსტად სინას მთა. უფლის, იესო ქრისტეს წყალობით და ჩვენი თანმხლები წმინდა მამების ლოცვითა და შემწეობით, თუმცა არ იყო ადვილი და არამედ საკმაოდ შრომატევადი, საჭირო იყო ავცოცებულიყავით ფეხით, (რადგან არ იყო არანაირი საშუალება ამხედრებული წავსულიყავით), მაგრამ ეს არც კი შეიმჩნეოდა. და იქედან გამომდინარე, რომ ვერ შევიგრძნობდი ჯაფას, მე დავინახე რასაც ვასრულებდი, უფლის ნებით ხდებოდა. მაშ, ასე, მეოთხე საათზე ჩვენ ავედით სინას წმინდა მთაზე, სადაც გადმოეცა კანონი, ანუ იმ ადგილზე სადაც გამოცხადდა დიდებულება უფლისა, როცა ააღდა მთა. ამ ადგილას არის ეკლესია, არც თუ ისე დიდი, რადგან ეს არის ის ადგილი, ანუ მთის ის ადგილი, რომელიც არც თუ ისე მაღალია. ეს ეკლესია თითქოს უდიდედ ღვთისმოსაობას აფრქვევს. და როცა უფლის ნებით ჩვენ ავედით მთაზე და მივუახლოვდით ეკლესიის კარს, იქედან ჩვენს შესახვედრად გამოვიდა პრესვიტერი და ამ ეკლესიის წარმომადგენელი, რომელიც თავისი კელიიდან მოვიდა. ეს იყო მხნე ჭარმაგი კაცი, რომელიც ახალგაზრდობიდანვე ბერი იყო, და როგორც აქ ამბობენ ასკეტი, ერთი სიტყვით, იგი ღირსეული იყო ასეთი წმინდა ადგილისა („ეგერიას მოგზაურობა“, 2:3).“

სინას მთის სხვა ეკლესიებსა და ბერებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ, რაც სავარაუდოდ იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამ პერიოდში სინას მთის ყველა ეკლესია ერთ ლიტურგიას აღასრულებენ და მათ შორის კავშირი მჭიდროა. ამავე დროს,

ზემოთ აღნიშნა, რომ ქრისტიანული თემი ერთმანეთთან არ იყო დაშორებულ, არამედ იგი ერთ მთლიანობაში მოიაზრებოდა.

წმინდა მთის ირგვლივ არსებულ მთებზე ქრისტიანული მონატრები მრავლადაა, თუმცა თავად იმ მთაზე, რომელზეც მოსეს უფალი გამოეცხადა და აღმატებულია სხვა მთებისაგან, აღმოჩნდა, რომ ერთი ეკლესია და გამოქვაბულია. აქ არ ცხოვრობდნენ ბერები, არამედ, მხოლოდ სალოცავად მიდიან წმინდა ბერები.

„ მთაზე ამოვიდა სხვა პრესვიტერები და ბერებიც, რომელიც მთასთან ახლოს ცხოვრობდნენ, იმათ გარდა, რომლებიც იყვნენ ან დაკავებულნი, ან უკვე სიბერისგან დაუძღურებულები. მაგრამ შუა მთაზე არავინ ცხოვრობს, რადგან იქ არ არის არაფერი, გარდა ერთი ეკლესიისა და ქვაბულისა, რომელშიც იყო წმინდა მოსე. წავიკითხეთ მოსეს წიგნიდან ყველა შესაბამისი ნაწილი და როცა დავასრულეთ დილის ლტურგია, ჩვენ მივიღეთ ზიარება. ეკლესიიდან გამოსულებს პრესვიტერებმა მოგვცეს წყალობა და კურთხევა იმ ნაყოფით, რომელიც იზრდებოდა მთებზე, თუმცა თავად სინას მთა კლდოვანია, მასზე არ არის არც ერთი წკნელი, რომელიც შეიძლება იზრდებოდეს მთაზე. მაგრამ ქვემოთ, მის ძირას და სხვა მთებზე არის პატარა მდინარეებიც. აქ წმინდა განდებილები მუდმივად რგავენ ხეებს, აშენებენ ბაღებს, ბოსტნებს, მათ მახლობლად აშენებენ კელიებს და ასე იღებენ მცირე საზრდოს კლდოვანი მიწისგან, რომელსაც საკუთარი ხელით ამუშავებ. მაშ, ასე, ზიარებისა და კურთხევის მიღების შემდეგ წმინდა მამებისაგან, გამოვედით ძველი ეკლესიიდან და ვთხოვე მათ, რომ ეჩვენებინათ ჩვენთვის ცალკეული ადგილები („ეგერიას მოგზაურობა“, 2:4).“

ეგერია სინას მთაზე აღწერს იმ გამოქვაბულსაც, სადაც გადმოცემით მოსე მეორედ ავიდა და სადაც მეორედ გადმოეცა ათი მცნების მეორე დაფა, რადგან პირველი მან გატეხა, როცა ნახა, რომ ებრაელები ცოდვაში იყვნენ.

საინტერესოა, ისიც, რომ ეგერია არა მხოლოდ აღწერს ამა თუ იმ ადგილს, არამედ ემოციურადაც ამაღლებული ყვება და აღტაცებულია ნანახით. „მინდა იცოდეთ, ჩემო ღირსეულო დებო, რომ იმ ადგილიდან სადაც ჩვენ ვიდექით, ანუ ეკლესიის კედლებში, ანუ შუა გორის სიმაღლეზე, იმ გორისა, რომელზეც ძნელად და დიდი ძალისხმევით

ავედით, იქედან ყველაფერი ისეთი არაფერი იყო, ისეთი დაბალი, თითქოს პატარა გორაკები იყვნენ. ამავე დროს ისინი ისეთი მაღალია, რომ გეგონება ამაზე მაღალი მთა არსად გინახავს, განსხვავებულია შუა მთა, რომელიც განსაკუთრებულად გამოიყოფა სხვებისაგან და რომელზეც ჩვენ ვიდექით. ჩვენს ფეხქვეშ გაშლილიყო ეგვიპტე, პალესტინა, მეწამულის ზღვა, საიდანაც მიცურავენ ალექსანდრიაში“ („ეგერიას მოგზაურობა“, 2:5).

ეგერია აღწერს, რომ ეს ის მთაა, რომელთანაც დაკავშირებულია ძველი აღთქმის ის მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როცა ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელების წინამძღოლს, მოსეს გადაეცა ათი მცნება, და ის მთაა, სადაც მან ორმოცი დღე და ორმოცი ღამე დაჰყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემდგომში ამ მთაზე აიგო ქრიტიანული მონასტერი.

აღმოჩნდა, რომ აქ იყო ბერთა კელიები და კელიები, სადაც სტუმარი- პილიგრიმები ბინავდებოდნენ. ეკლესიას პრესვიტერი წინამძღოლობდა, რომელიც უძღვებოდა ყველა ლიტურგიას, იღებდა და მასპინძლობას უწევდა სტუმრებს. აღსანიშნავია ისიც, თუ როგორ ცხოვრობენ ბერები ამ მონასტერში, როგორი იყო მათი ყოველდღიური საქმიანობა. როგორც ჩანს, აქ კითხულობენ ძველი აღთქმიდან იმ მონაკვეთებს, რომელიც უშუალოდ მოსეს ცხოვრებას, მის უდაბნოში განმარტობას, უფლისგან ათი მცნების მიცემას ეხებოდა. ამბობს კიდევ მომლოცველი ქალი: „წავიკითხეთ მოსეს წიგნიდან ყველა შესაბამისი ადგილი და როცა დავასრულეთ ლიტურგია, ჩვენ მივიღეთ ზიარება. ეკლესიიდან გამოსულებს პრესვიტერმა მოგვცა წყალობა და კურთხევა.“

მონასტერში და მის გარეთ მცხოვრები ბერები და განდევილები ჩვეულებრივ მისდევდნენ მიწათმოქმედებას და მეზაღეობა-მეზოსტნეობას.

სინას მთის შემდეგ ეგერია იერუსალიმში მიდის, რომლის შესახებაც „ეგერიას მოგზაურობის“ მეორე ნაწილში გადმოსცემს კიდევ. ჩვენთვის სწორედ ეს ნაწილია საინტერესო, რადგან აქ აღწერილი ლიტურგიის გაცნობით პარალელი ვნახოთ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ აღწერილ ლიტურგიასთან და საერთოდ, ქართულ საეკლესიო ღვთისმსახურებასთან.

გასწავლავთ რაღაცეებს, რომლებიც ადგილობრივი ტაძრის ლიტურგია, რადგან გრიგოლ ხანცთელს თავის მონასტრებში სწორედ ამ ტაძრის ლიტურგიული წესგანჩინება აუღია საფუძვლად.

„იმისთვის, რომ ვიცი თქვენი სიყვარული, რომელი ღვთისმსახურება აღესრულება წმინდა მიწაზე ყოველდღიურად, მე აუცილებლად გეტყვით ამას, ვინაიდან ვიცი, რომ ამ ყველაფრის ცნობა თქვენ ბედნიერებას მოგვცემს. ყოველდღიურად, მანამ სანამ მამალი იყივლებს იღება აღსავლის კარი და მონასტერში შემოდის მთელი გუნდი ბერებისა და უბიწოებისა, როგორც ამათ აქ უწოდებენ. არა მარტო ისინი, არამედ ყველა აქ მცხოვრები: დედები და მამები, ვისც სურს აქ ყოფნა. და ამ ჟამიდან ცისკრის ჟამამდე მღერაინ საგალობლებს და ფსალმუნებს. აგრეთვე ანტიფონებს. ყოველ საგალობელს მოსდევს ლოცვა. „

Ut autem sciret affection vestra, quae operatio singulis diebus cottidie in locis sanctiss habebatur, certas vosfacere debui, sciens, quia libenter habebitis haec cognosvere. Nam singulis diebus ante pullorum cantum aperiuntur omnia [h]ostia Anastasis et descendunt omnes monazontes et parthene, ut hic dicunt, et non solum hii, sed et laici praeter, viri aut mulieres, qui tamen volunt maturius vigilare. Et ex ea hora usque in luce dicuntur <h>ygnos et psalma responduntur, similiter et antiphonae: et cata singulos <h>ygnos fit oratio. Nam presbyteri bini vel terni, similiter et diacones, singulis diebus vices habent simul cum monazontes, qui cata singulos <h>ygnos ver antifonas orations dicunt („ეგერიას მოგზაურობა“, 24:1).

ღვთისმსახურებაში ერთმანეთს ენაცვლებიან პრესვიტერები და დიაკვნები, რომლებიც იწყებენ ლოცვებს და ამის შემდეგ მოდის ტაძარში ეპისკოპოსი, რომელიც სავარაუდოდ შემდგომში ქადაგებისათვის უნდა მოემზადოს. შემოსვლის ჟამს იგი შედის საკურთხეველში და იქ აღასრულებს საღვთო მსახურებასა და კურთხევას (სავარაუდოდ ევქარისტიას) და ბოლოს გამოდის გარეთ, სადაც მას ეგებება გალობით მრევლი.

„ორი ან სამი პრესვიტერი და დიაკონი ყოველდღიურად მონაცვლებენ ღვთისმსახურებაში და კითხულობენ ლოცვებს. როცა ცისკარი დგება, მაშინ დილის საგალობლები იმღერება. ამის შემდეგ მოდის ეპისკოპოსი სამღვდელოებით და შედის გამოქვაბულში, იქ კი საკურთხევლის შიგნით, ჯერ კითხულობს ლოცვას, შემდეგ კი იწყებს კურთხევას. შემდეგ ლოცვას აღავლენს და დალოცავს მორწმუნეთ ამის შემდეგ, როცა ეპისკოპოსი გამოდის საკურთხეველიდან და მასთან მიდიან, რომ ემთხვიონ ხელზე და ყოველ მათგანს ლოცავს.

Iam autem ubi coeperit lucescere, tunc incipiunt matutinos <h>ymnos dicere. Ecce et supervenit episcopus cum clero et statim ingreditur intro spelunca et de intro cancellos primum dicet orationem pro omnibus: commemorate ipse omnia, quorum vult, sic benedict cathecuminos. Item dicet orationem et benedict fideles. Et post hoc exeunte episcopo de intro cancellos omnes ad manum ei accedunt, et ille eos uno et uno benedict exiens iam, ac sic fit missa iam luce („ეგერიას მოგზაურობა“, 24. 3).

მეექვსე ჟამს, ანუ მეექვსე საათზე ისევ იღება აღდგომის ტაძრის კარი, ისევ იწყება ლოცვა და ისევ აღსრულება საღვთო ლიტურგია. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ღვთისმსახურებაზე დასწრება არ არის სავალდებულო მომლოცველებისათვის, რასაც ვერ ვიტყვით, რა თქმა უნდა, ბერ-მონაზვნებისათვის.

მონასტერი აუცილებლად ნათდება კანდელებით, რომ უფრო საზეიმო სახე მიეცეს აღსრულებულ ღვთისმსახურებას, ვინაიდან იგი ღვთის სადიდებელია. საღამოს ფსალმუნების გალობა და საღამოს წასაკითხო ანტიფონების, სავარაუდოდ უფრო ხანგრძლივად მიმდინარეობს, ვიდრე დილის ლიტურგიაშია საჭირო. თუმცა არც აქ იწყებს ეპისკოპოსი ღვთისმსახურებას, არამედ იგი გარკვეული დროის შემდეგ შემოდის ტაძარში და ისევ საკურთხეველში შედის პირველად, სადაც ისევ აღასრულებს საიდუმლო ღვთისმსახურებას და შემდეგ გამოდის საკურთხეველიდან, რომ აღასრულოს საყოველთაო ღვთისმსახურება

„მეექვსე ჟამს ისევ შემოდიან აღდგომის ტაძარში, გალობენ ფსალმუნებს და ანტიფონებს, სანამ არ აცნობენ ეპისკოპოსს. ისიც შემოდის და კი არ ჯდება ტახტზე,

არამედ შედის საკურთხეველში, ანუ გამოქვაბულში, სადაც დილით იყო და სადაც პირველ რიგში ლოცვას აღავლენს. ამის შემდეგ აკურთხებს მორწმუნეთ და როცა ბოლოს ისევ უკან გამოდის, ისევ ემთხვევიან ხელთ, როგორც დილით. იგივე ხდება მეცხრე ჟამსაც, როგორც მეექვსე ჟამს. მეათე ჟამს (აქ მას licinicon-ს , ხოლო ჩვენ მწუხრს ვუწოდებთ) იმავე წესით იკრიბებიან აღდგომის ტაძარში, ანთებენ კანდელებსა და სანთლებს, რაც უფრო მეტად ანათებს ტაძარს. სინათლე გარეთ არ გამოდის, მაგრამ გამოქვაბულს კარგად ანათებს და სადაც ზეთი მარად ანთია. აღავლენენ საღამოს ფსალმუნებს და უფრო ხანგრძლივ ანტიფონებს. ამის შემდეგ ეგებებიან ეპისკოპოსს, რომელიც მოდის და ტახტზე ჯდება, ისევე როგორც პრესვიტერები სხდებიან თავიანთ ადგილზე. გალობენ სადიდებლებს და როცა ბოლომდე იგალობებენ, ეპისკოპოსი დგება და საკურთხეველის წინ გამოდის. ერთი დიაკვანთაგანი თითოეულს ასახელებს, ტრადიციულად. დიაკვანი ყოველი მათგანის სახელს წარმოთქვამს და ყოველი ამის შემდეგ მგალობელი ბიჭები მიულოცავენ მას: „კირიე ელეისონ“, რაც ითარგმნება: „უფალო შემიწყალენ“. შემდეგ დიაკვანი კითხულობს ყველა იმ საკითხავს, რაც უნდა წაიკითხოს, ეპისკოპოსი აღავლენს ლოცვას და ამის შემდეგ ლოცულობს ყველა. დიაკვანი ყველას აცხადებს და ისინი თავდახრილი ელოდებიან ეპისკოპოსის კურთხევას. ამის შემდეგ კი სრულდება წირვა. წირვის ბოლოს მიდიან ეპისკოპოსთან და შემდეგ ერთად გალობენ და ტაძრიდან მიემართებიან ჯვრისკენ და როცა ჯვართან შეჩერდებიან, იქ თავდაპირველად ისევ კითხულობენ ლოცვას და შემდეგ იღებენ კურთხევას. ისევ ლოცვას იღებენ და მერე ყველანი ბრუნდებიან ჯვრიდან, სადაც ისევ აღავლენენ ლოცვას და იღებენ ეპისკოპოსისაგან კურთხევას.

hora sexta denuo descendunt omnes similiter ad Anastasim et dicuntur psalmi et antiphonedone c commonetur episcopus; similiter descendet et nos sedet, sed statim interar intrat intra concellos intra Anastasim, id est intra speluncam, ubi et mature, et inde similiter primum facit orationem sic benedicet fideles, et sic exiens de <intro> cancellos similiter ei ad manum acceditur. Ita ergo et hora nona fit sicuti et ad sexta.

Hora autem decima, quod appellant hic lycinicon, nam nos dicimus lucernare, similiter se omnis multitudocolliget ad Anastasim, incenduntur omnes candelae et cerei et fit lumen infinitum. Lumen autem de foris non affertur, sed de spelunca interiori eicitur, ubi noctu ac die semper lucerna lucet, id est de intro cancellos. Dicunturetiam psalmi lucernares, sed et antiphonae diutius. Ecce et commonetur episcopus et descendet et sedet susum, nec non etiam et presbyteri sedent locis suis, dicuntur <h>ygni vel antiphonae (“ეგერიას მოგზაურობა“, 24:4-6).

ეგერია მხოლოდ ერთი დღის ლიტურგიას არ აღწერს, არამედ იგი გადმოგვცემს მთელი კვირის მანძილზე როგორ აღესრულება აქ მღვდელმსახურება. იგი თითქმის ერნაირად მიმდინარეობს, ანუ ყოველი დღის ღვთისმსახურება მსგავსია, მხოლოდ მეშვიდე დღის, ანუ კვირის ლიტურგია განსხვავებულია, იმდენად, რამდენადაც დილით ადრე, მამლის ყვილამდე იწყება მზადება კვირის ლიტურგიისათვის. სანამ ბაზილიკის კარი გაიღება, მანამ იკრიბებიან აქ და საგალობლების ღიღინით ელოდებიან ლიტურგიის დაწყებას. მათ ეგებებიან პრესვიტერები და დიაკვნები, რომლებიც ფაქტობრივად მასპინძლობენ მლოცველებს და ისინი ანთებენ სანთლებს, რომ საზეიმო ელფერი შესძინონ ტაძარს, რადგან ლიტურგია საზეიმოა, ვინაიდან ყოველი კვირა თანასწორია აღდგომისა. ამ დღეს ტაძარში ხალხს ეპისკოპოსი მიუძღვება, განსხვავებით კვირის სხვა დღეებისაგან. ტაძარში შესულებს პრესვიტერი ეგებება ფსალმუნის გალობით და მას როგორც ჩანს სხვა დიაკვნები აყვებიან. ამის შემდეგ ეპისკოპოსი თავისთავად მიემართება საკურთხევლისაკენ, სადაც იგივე ღვთისმსახურებას ადავლენს, რაც კვირის ლიტურგიისათვისაა განკუთვნილი. ეს იმდენაც ამაღელვებელია, რომ როგორც ჩანს მრევლი მთლიანად ერთვება ამ „მისტერიაში“. კვირა დღეს ეპოსკოპოსი სახარებიდან კითხულობს იმ ადგილს, სადაც გადმოცემულია უფლის ჯვარზე გაკვრა.

ყველგან ბევრი კანდელი და ბევრი სანთელია ანთებული: როგორც ტაძარში, ასევე ჯვართან. ასეთი ლოცვა აღევლინება ყოველ დღე ექვსი დღის მანძილზე და შემდეგ მეშვიდე დღეს კვირას, მამლის ყვილამდე, ისევ იკრიბება ბევრი მორწმუნე, ვინც კი არის ამ ადგილზე, აღდგომას. იკრიბებიან ბაზილიკაში, იქ, სადაც ამ დღისათვის

ანთებენ კანდელები. ისინი ღელავენ, რომ ვერ მივიდნენ იქ საჭირო დრომდე, ამიტომ მორწმუნეები ძალიან ადრე მიემართებიან ბაზილიკისაკენ. გალობენ სადიდებლებს, ანტიფონებს და ყოველი გალობისა და ანტიფონის შემდეგ წარმოთქვამენ ლოცვებს. პრესვიტერები და დიაკვნები მუდმივად მზად არიან აქ ცისკრიდან, რათა უმასპინძლონ ხალხს. აქ ასეთი ტრადიციაა.

„მანამ, სანამ პირველი მამალი არ იყივლებს, ტაძრის კარი არ იღება, მაგრამ პირველივე ყივილის დროს აღებენ ტაძრის აღსავლის კარს და ხალხი ეპისკოპოსთან ერთად შედის ტაძარში, სადაც უამრავი კანდელითაა განათებული მთელი ქვაბული. როგორც კი ხალხი შევა ტაძარში, ერთ-ერთი პრესვიტერთაგანი იწყებს ფსალმუნის გალობას და ყველა აჰყვება მას. ამის შემდეგ ფსალმუნს დიაკვანი იგალობებს. ასევე ხდება ფსალმუნის შემდეგ ლოცვის აღვლენაც. ფსალმუნს მღერის შემდეგ ერთ-ერთი დიაკონთაგანი და წარმოითქმება მესამე ლოცვა და ამას მოსდევს გამოცხადება. სამი ფსალმუნის გალობისა და ლოცვის აღვლენის შემდეგ, ქვაბულში შემოაქვთ საკმეველი და ტაძარი ივსება ტკბილსურნელებით. ამის შემდეგ ეპისკოპოსი ჩერდება საკურთხეველთან, ხელში იღებს სახარებას, მიდის საკურთხეველის კართან და კითხულობს უფლის აღდგომის შესახებ. როცა იწყება სახარების კითხვა, ყოველი მხრიდან ისმის შეძახილი, ოხვრა და კვნესა. იღვრებიან ცრემლად, რადგან თავის თავზე იღებენ ყველა იმ ვნებას, რაც უფალს შეემთხვა ჯვარზე გაკვრამდე, გაკვრის შემდეგ აღდგომამდე და რაც იტვირთა ჩვენი ცოდვებისაგან გასათავისუფლებლად. ყველაზე გულქვა ადამიანსაც კი არ შეუძლია შეიკავოს ცრემლი ამ ყველაფრის განცდის შემდეგ. სახარების კითხვის შემდეგ ეპისკოპოსი და მისი თანმხლები ეახლებიან ჯვარს გალობის ღალადებით და მრევლიც მას მიჰყვება. ჯვართან კიდევ ერთხელ იგალობებენ ფსალმუნსა და აღავლენენ ლოცვას“

Et incipient episcopo ad manum accedere singuli. Et postmodum de Anastasim usque ad Crucem cum hymnis ducitur episcopus, simul et omnis populus vadet. Ubi cum perventum fuerit, primum facit orationem, item benedicet cathecuminos; item fit alia oratio, item benedicat fideles.

Et post hoc denuo tam episcopus quam omnis turba vadent denuo post Crucem et ibi denuo similiter fit sicuti et ante Crucem. et similiter ad manum episcopo acceditur sicut ad Anastasim, ita et ante Crucem, ita et post Crucem. Candelae autem vitreae ingentesubique plurimae pendent et cereofala plurina suntam ante Anastasim quam etiam ante Crucem, sed et post Crucem. Finiuntur ergo haec omnia cum crebris. Haec operatio cottidie per dies sex ita habitur ad Crucem et ad Anastasim.

8. Septima autem die, id est dominica die, ante pullorum cantum colliget se omnis multitudo, quaecumque esse potest in eo loco, ac si per pascha in basilica, quae est loco iuxta Anastasim, fora stamen, ubi liminaria pro hoc ispu d pendent. Dum enim verentur, ne ad pullorum cantum non occurrant, antecessus veniunt et ibi sedent. Et dicuntur hymni nec non et antiphonae, et fuit orations cata singulos <h>ygnos vel antiphonas („ეგერიას მოგზაურობა“ 24:7-9).

ლიტურგიის ბოლოს ეპისკოპოსი აკურთხებს და ლოცავს მრევლს და სრულდება ლიტურგია. ბოლოს ეპისკოპოსთან მიდიან, რათა ემთხვიონ მას და მიიღონ დალოცვას ეპისკოპოსი ბრუნდება თავის სადგომში, ხოლო მღვდელთმსახურები ბრუნდებიან აღდგომის ტაძარში სადაც გალობენ ფსალმუნებს და ანტიფონებს გათენებამდე. ყოველ ფსალმუნსა და ანტიფონს თან ერთვის ლოცვის წარმოთქმა. ამას ყოველდღე მონაცვლეობით აკეთებენ დიაკვნები და პრესვიტერები. როგორც „ეგერიას ჩანაწერებიდან“ ვიგებთ, ცისკრის ლოცვის შემდეგ, ვისაც უნდა ბრუნდება სახლში, ხოლო ვისაც სურს რჩებიან ტაძრებში

ცალკე ყურადღების გასამახვილებელია აღდგომის ლიტურგია აღდგომის ტაძარში, რომელიც იერუსალიმში, გოლგოთას მთაზე ააშენა კონსტანტინე დიდის დედამ, დედოფალმა ელენემ. იგი წმინდა ჯვრის ტაძართან არის აგებული და აქ ქადაგება შეუძლია ყველას: ეპისკოპოსს, პრესვიტერსა და დიაკვანს. როგორც ჩანს ეს ამ ტაძრისთვის დამახასიათებელი ტრადიციაა. ამავე დროს კვირა დღეს აუცილებელია სახარების კითხვაც, რომლითაც მრევლს შეახსენებენ ქრისტეს ცხოვრებასა და იმ ცოდვებს, რომელიც ქრისტემ თავის თავზე აიღო და შემდეგ ჯვარს აცვეს. აქედან

გამომდინარე, კვირის ლიტურგია შედარებით დიდხანს გრძელდება ამ ტაძარში, ვიდრე სხვაგან. აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მართალია ერთიანი ლიტურგია იყო შემუშავებული ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, თუმცა მეტ-ნაკლები განსხვავება, რა თქმა უნდა, იქნებოდა სხვადასხვა ტაძარში.

ლიტურგიის დაწყების წინ ეპისკოპოსს მიჰყვება ყველა იქ, სადაც აღდგომის სასწაული მოხდა და აქედან იწყებს ეპისკოპოსი დღის ლიტურგიას. განსხვავება ის არის, რომ დილის და საღამოს წირვაზე ერთი და იგივე ფსალმუნები და ანტიფონები არ იკითხება.

„აღდგომის ლოცვა სრულდება ყველა დიდ ტაძარში, რომელიც კონსტანტინემ ააგო. ეს არის გოლგოთაზე, წმინდა ჯვრის ტაძართან. და ისე, როგორც ყველგანაა მიღებული სააღდგომო წირვა. აქ იმის ტრადიციაა, რომ ყველას შეუძლია იქადაგოს სურვილისამებრ ისე, როგორც ეპისკოპოსს და ეს ქადაგებები სულ აღესრულება, ყველა კვირას, რომ ხალხს მუდმივად შეახსენონ ახალი აღთქმა და ამით ღვთის სიყვარული გაუღვიძონ. და სანამ ეს ქადაგებები მიდის, რა თქმა უნდა, საღვთო ლიტურგია უფრო დიდხანს გრძელდება, ამიტომ ხშირად იგი ოთხ ან ხუთ საათს მოიცავს.

Cum luce autem, quia dominica dies est, et proceditur in ecclesia maiore, quamfecit Constantinus, quae ecclesia in Golgotha est post Crucem, et fiut omnia secundum consuetudinem, qua et ubique fit die dominica. Sane quia hic consuetudo sic est, ut de omnibus presbyteris, qui sedent, quanti uolunt, praedicent, et post illos omnes episcopus praedicat, quae praeditur populus in scripturis et in Dea delectione: quae praedicationes dum dicuntur, grandis mora fit, ut fiat missae ecclesiae, et ideo ante quartum horam aut forte quintam missa fit

(„ეგერიას მოგზაურობა“ 25:1-3).

„ და როცა ტაძრებში სრულდება ლიტურგია, ტრადიციისამებრ, რომელსაც ყველგან მიჰყვებიან, მღვდელმსახურები, ბერ-მონაზვნები საგალობლების გალობით მიაცილებენ ეპისკოპოსს ტაძრიდან აღდგომის ადგილამდე და ეპისკოპოსის მიახლოებისთანავე აღებენ ბაზილიკის კარს და აქ შედის ყველა მომლოცველი, ვისაც სწამს ქრისტე. როცა შედის ხალხი, ეპისკოპოსი გამოდის მათ წინაშე და შედის ქრისტეს საფლავზე.

პირველად აღავლენს სამადლობელს უფლის მიმართ, შემდეგ კი ლოცულობს ყველასათვის, ხოლო დიაკვანი აახელებს თითოეულ მლოცველს, ხოლო მსმენელნი თავმოდრეკილი უსმენენ მას. შემდეგ ეპისკოპოსი აკურთხებს მათ და გასვლისთანავე ხელმთხვევა იწყება. ამას დაახლოებით ხუთი-ექვსი საათი სჭირდება. ასეთივე ყოველდღიური ლოცვა აღესრულება საღამოს. ეს წესი სრულება ყოველ დღე მთელი წლის მანძილზე, გამონაკლისია მხოლოდ დღესასწაულები, რომელთა შესახებ მოგვიანებით მოგიყვებით. ერთი უნდა აღინიშნოს, რომ ფსალმუნებსა და ანტიფონებს ზუსტად იმას გალობენ, რაც საჭიროა. ის რაც დილით იკითხება არ იკითხება საღამოს და პირიქით. და მთელი დღის მანძილზე მეექვსე, მეცხრე ჟამს და მწუხრზე, ყოველთვის იმის შესაფერისია და ისე შეეფარდება, რაც არის საჭირო.

„და მიუხედავად იმისა, რომ საკვირაო ღვთისმსახურება აღესრულება დიდ ტაძარში, იმაში, რომელიც გოლგოთაზეა, და რომელიც აღმართა კონსტანტინემ, მაგრამ ერთი საკვირაო წირვა აღესრულება სიონის მთაზე, რომელიც მესამე საათზე მიმდინარეობს.... („ეგერიას მოგზაურობა“, 25:9)

დილის ლოცვის, ანუ ცისკრის ლოცვას აღდგომის ტაძარში სილვია-ეთერიას აღწერით, როცა ის ამბობს, რომ „ცისკრის დადგომასთან ერთად, იწყება დილის საგალობლები, და აი, შემოდის ეპისკოპოსი.“ აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ცისკრის ლოცვა ეპისკოპოსის გარეშე იწყება, რომელსაც მღვდლები, დიაკვნები, ან ბერები იწყებენ. ეს დასაწყისი შედგება რომელიღაც დილის საგალობლებით. თუმცა იოან-კასიანე „ქების საგალობლებში“ ასახელებს 62, 118 და 148 ფსალმუნს. ხოლო მოციქულთა განჩინებაში მიუთითებენ, რომ „ყოველ დღე, როცა დილით და საღამოს შეიკრიბებით, იგალობდეთ და ილოცეთ ეკლესიებში, დილით წარმოთქვი 62 ფსალმუნი, ხოლო საღამოს კი 140. (საქმე 2:59). ანუ, დილის ფსალმუნად განჩინებულია 62 -ე ფსალმუნი, რომელიც ექვსეულ ფსალმუნთა რიგში შედის (3,37,62,87,102,142) და ყველა ეს ნაწილი იგალობება ეპისკოპოსის მოსვლამდე.

„ და, აი, მოდის ეპისკოპოსი სასულიერო პირებთან ერთად და შედის გამოქვაბულში და იქ, შიგნით (შემდგომში საკურთხეველში) წარმოთქვამს ლოცვას ყველასათვის და

მოიხსენიებს ყველას, ვინც უნდა მოიხსენიოს...“ მსგავსია საღამოს, მწუხრის ლიტანიის დროს.

„ლოცვის წარმოთქმის შემდეგ (როგორც ამას მოციქულთა საქმე მოითხოვს, ლოცვა „უფალო სულისა და ყოველი არსისა,...“ სადაც უფალს სთხოვს მიიღოს ჩვენი დილის სამადლობელი და მოგვეს საუკუნო სიცოცხლე) ეპისკოპოსი გამოდის საკურთხეველიდან და ყველა, ვინც ტაძარშია მიდის მასთან კურთხევისა და დალოცვისათვის და ისიც აკურთებს და ლოცავს ყველა მათაგანს თანმიმდევრობით. შემდეგ, უკვე განთიადისას ტოვებს მათ.“ სიტყვა სიტყვით: “lit missa” და ა.შ. სახელწოდება მესა მომდინარეობს აღმატებითი ფორმისაგან გათავისუფლება (ite missa est”), ბევრი დასავლელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს არის დილის ლოცვის აღვლენა, მაგრამ რადგანაც აქ არ არის უშუალოდ ამაზე ნათქვამი და თხრობაში პირდაპირ VII ჟამს გადმოსცემს, ეს საეჭვოდაც შეიძლება მივიჩნიოთ. ასეა, თუ ისე, დილის ლიტანიობის სტრუქტურა თითქმის იმეორებს საღამოს, მწუხრის ლიტანიობის სტრუქტურას (მსგავსი მესამე საუკუნისას), მხოლოდ განსხვავებულია ლოცვათა სახეობები:

1. დილის ფსალმუნის გალობისას, იგალობება 62-ე ფსალმუნი;
2. სხვა ფსალმუნები;
3. ეპისკოპოსის შემოსვლა;
4. დიდი ლიტანიობა;
5. ეპისკოპოსის დილის ლოცვა: „უფალო სულთაო....“
6. ლოცვისას მუხლმოყრა;
7. კურთხევა და გათავისუფლება;

აქ არ არის მხოლოდ ორი ელემენტი გამოკვეთილად: ფსალმუნთა კითხვა და მცირე ლიტანიობა. მაგრამ იგი ჩანს კვირის დილის ლოცვის ლიტურგიკაში: „მეშვიდე დღეს, კვირას, მანამ, სანამ მამალი იყივლებს....ბევრი მლოცველი..... იკრიბება აღდგომის ტაძრის ეზოში, მღერიან სადიდებლებსა და ფსალმუნებს და ყოველი სადიდებლისა და

ფსალმუნების შემდეგ წარმოსთქვამენ ლოცვებს..... აქ ყოველთვის გამოდიან პრესვიტერები და დიაკონები, რომლებიც მზად არიან შეასრულონ ღვთისმსახურება...”

„ როგორც კი პირველად იყივლებს მამალი, მოდის ეპისკოპოსი ტაძრად და შედის ადღგომის ტაძრის გამოქვაბულში. იხსნება ტაძრის ყველა კარი და შემოდის მომლოცველები ანასტასისში, რომელიც ნათდება უამრავი სანთლის შუქით.“ ესე იგი, ეპისკოპოსის მოსვლაზე იღება ტაძრის კარი და შიგნით, ტაძარში თავიდან იწყება ცისკრის ლოცვის აღვლენა (ხოლო სხვა დღეებში ეპისკოპოსი მხოლოდ ასრულებს ღვთისმსახურებას: იმღერება სამი ფსალმუნი, ხოლო მათ მოსდევს ლოცვები.

შევჩერდეთ ამ მომენტზე:

„ და როცა ყველა შემოდის (შემოსვლის პროცესია, ანალოგიურია შემოსვლის ლოცვისა) პრესვიტერებიდან ერთ-ერთი იწყებს ფსალმუნის გალობას და შემდეგ ყველა პასუხობს ამ ლოცვებს. შემდეგ ფსალმუნის კითხვას აგრძელებს დიაკვანი და ისევ აღევლინება ლოცვა და ისევ სრულდება ეს ლოცვით, ხოლო მესამე ლოცვის შემდეგ მას შემდეგ, რაც შესრულდება სამი ფსალმუნი, თავისი მისამღერებით და აღევლინება სამი ლოცვა, გამოქვთ სახეხცლური ადღგომის ტაძრის გამოქვაბულში..... მაშინ ეპისკოპოს,რომელიც დგება საკურთხეველის შიგნით, იღებს სახარებას და კითხულობს უფლის ადღგომას.... (მომლოცველის წერილები, IV საუკუნე,მოსკოვი, 1994 წელი, გვერდი 196-198).

ასეთი დილის, ცისკრის ღვთისმსახურების სტრუქტურა მესამე საუკუნიდან მოდის, სადაც მწუხრის ლოცვაც ასე აღევლინებოდა. იგი ეყრდნობა წინაქრისტიანულ ღვთისმსახურებას, სადაც ლოცვებსა და საგალობლებს მოსდევდა ბიბლიის კითხვა.

ბ. ლურემ, რომელმაც დეტალურად შეისწავლა ეს სტრუქტურა, აღმოაჩინა, როგორი იყო ცვლილებები საუკუნეების განმავლობაში დილის, საღამოს და წინაქრისტიანულ პერიოდში ლიტურგიკული პრაქტიკა.

ეს შესაძლებელია შემდეგი სქემით გადმოვცეთ:

1. დიდი ლიტანია+ I ანტიფონი
2. მცირე ლიტანია + II ანტიფონი
3. მცირე ლიტანია + III ანტიფონი (რასაც ემატება შემოსვლის ლოცვა და სრულდება ტროპარით)

ბ. ლურე თავის გამოკვლევაში „ჰიმნოგრაფიული ელემენტების სტრუქტურა იერუსალიმის ღვთისმსახურებაში“ ასეთ თანმიმდევრობას გვთავაზობს:

IV საუკუნის შუა პერიოდში- საგალობლი ხდება ე.წ. ტროპარი-ირმოსი;

IV-V საუკუნეების მიჯნაზე- დაემატა 2 ტროპარი დიდება;

V საუკუნის შუა პერიოდში მთელი სტრუქტურა სრულდებოდა ე.წ. კანონით, მხოლოდ VIII საუკუნეში გახდა კანონი ჰიმნოგრაფიული ჟანრი, რომელიც 9 საგალობლისაგან შედგებოდა, რომელიც შემდგომში ძალიან შეიცვალა და ასე გამოიყურება ახლა:

1. საგალობელი I + დიდება+ მცირე ლიტანია
2. საგალობელი IV-VI + კონდაკი + მცირე ლიტანია
3. საგალობელი VII-IX + ექსაპოსტილარია + მცირე ლიტანია;

ანუ, სტრუქტურა წინანდელია, მხოლოდ ბიბლიური ხასიათის საგალობლები შეიცვალა ირმოსებითა და ტროპარებით.

სილვია-ეთერია აღგვიწერს საწყისი სტადიის ლიტურგიკას, სადაც საგალობლები უკვე შეცვლილია ფსალმუნებით, მაგრამ ლიტანიის ნაცვლად ჯერ კიდევ ეპისკოპოსის ლოცვები აღევლინება. ეს ლიტურგია შეიცავს წინაქრისტიანულ ფორმებს და სრულდება კვირის ევანგელის წაკითხვით.

„სახარების წაკითხვის შემდეგ ეპისკოპოსი მიდის და ემთხვევა ჯვარს, თან საგალობელს გალობს და კითხულობს ლოცვებს, შემდეგ იგი ლოცავს მორწმუნეებს და იშლება ლიტურგია.“

საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს მომლოცველი ქალი სადამოს, მწუხრის ლოცვის ლიტურგიის შესახებ იმავე აღდგომის ტაძრის მაგალითზე:

„მეათე საათზე, რომელსაც აქ lucinicon-ს უწოდებენ, ხოლო ჩვენ lucernare-ს (მწუხრისას) აღდგომის ტაძარში იკრიბება დიდი ნაკადი მომლოცველებისა. ინთება ყველა კანდელი და სანთელი, რითაც ნათდება მთელი ტაძარი. მაგრამ ცეცხლი, რომლითაც ინთება კანდელი და სანთლები არა გარედან, არამედ გამოქვაბულიდან გამოაქვთ, სადაც მუდმივად არის ეს ცეცხლი“ („ეგერიას მოგზაურობა“ 25:4-5).

ამ მონაკვეთიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მწუხრის ლოცვა მეოთხე საუკუნეში იდენტურად იმეორებს ადრექრისტიანული მსახურების სახეს:

„შემდეგ იმღერება მწუხრისას აღავლენენ ფსალმუნებს და ანტიფონებს, შემდეგ შემოდის ეპისკოპოსი, რომელიც ჯდება ამაღლებულ ადგილას (კათედრაზე)“ („ეგერიას მოგზაურობა“ 25:6).

ანტიფონები ეს არის რჩეული ნაწილი ფსალმუნებიდან. აქვე უნდა განიმარტოს, რომ იმ დროს იერუსალიმის პატრიარქი ესწრებოდა ყველა ლოცვას, რაც კი აღევლინებოდა ტაძრად, რომელიც მუდმივად, გადამბულად სრულდებოდა, მაგრამ რა თქმა უნდა გარკვეულ ნაწილზე ლოცვებისას იგვიანებდა, რათა დაესვენა. ამიტომ იგი არ შემოდის ღვთისმსახურების დასაწყისში, არამედ ლიტურგიის მეორე ნაწილში:

„როცა ეპისკოპოსი ადის კათედრაზე, თავიანთ ადგილებზე სხდებიან ყველა პრესვიტერი“ (რათა მოემზადნონ ძველი აღთქმის წასაკითხად. ეს არ არის აქ ნახსენები, თუმცა უნდა იგულისხმებოდეს)“.... და ისევ იმღერება ფსალმუნები და ანტიფონები. მათი აღსრულების შემდეგ ეპისკოპოსი დგება და გამოქვაბულის შესასვლელთან დგება, ამ დროს კი ერთ-ერთი დიაკონთაგანი ყველას ახსენებს ტრადიციისამებრ და როცა წარმოთქვამს სახელს ტაძარში მყოფნი პასუხად აძლევენ:

კირიელისონ, ან კიდევ: „Miserere, Domine“ (უფალო შეიწყალენ)“ („ეგერიას მოგზაურობა“ 25:7-8).

„ეპისკოპოსი ჯერ კითხულობს ლოცვებს, იგი ყველასთვის ლოცულობს..... შემდეგ დიაკვანი აცხადებს, რათა ყველა განცხადებულმა თაყვანისცეს, რის შემდეგაც ეპისკოპოსი აკურთხებს და ლოცავს მათ“ („ეგერიას მოგზაურობა“, 25:9).

აღსანიშნავია ის, რომ გამოცხადება როგორც მწუხრის, ასევე ცისკრის ლოცვის დროს უკვე შედარებით ახალი ფორმაა ღვთისმსახურებისა.

კურთხევის შემდეგ ღვთისმსახურება საინტერესოდ მიმდინარეობს: „სადიდებელი გალობის შემდეგ მთელი ხალხი გამოდის ადგომის ტაძრიდან და მიემართება ჯვრისაკენ...“ სადაც ეპისკოპოსი იმეორებს ყველა ლოცვასა და ღვთისმსახურებას („ეგერიას მოგზაურობა“ 25:9).

ახლა ვცადოთ და ავადგინოთ სადამოს ლიტურგიის სტრუქტურა: ამისთვის აუცილებელია მოვიშველიოთ „მოციქულთა საქმე“, რომელიც ჩამოყალიბდა იმ დროსა და იგივე ადგილას, რომელსაც აღწერს სილვია -ეგერია.

„მოციქულთა საქმე“-ს მერვე წიგნში არ წერია ზუსტი ფორმა, მაგრამ მსგავსია ეგერიას აღწერისა: „როცა დადგება მწუხრი, შენ, ეპისკოპოსმა, შეკრიბე ეკლესია და როცა წარმოთქვამ ფსალმუნს, დიაკვნებმა დაასახელონ ყველა.... შემდეგ როცა დიაკონი გაუშვებს, დაე, თქვან: უფალმა შეგიწყალოს“ („ეგერიას მოგზაურობა“ 25:9).

ამ ლიტურგიაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა კავშირი ადრექრისტიანულ ფორმასთან III საუკუნეში, თუმცა არ არის ჯერ კიდევ დაშვებული განცხადება .

შემდეგ ეპისკოპოსი კითხულობს ლოცვებს, სადაც უფალს შესთხოვს მშვიდობას. ეს ფორმა მსგავსია ახლანდელი მწუხრის ლოცვისას.

ბოლოს კი ეპისკოპოსი წარმოთქვამს ლოცვას თაყვანსაცემად. მწუხრი სრულდება დიაკონის კურთხევით: „მშვიდობით გველოთ“ (საქმე მოციქულთა, წიგნ.8, 36-37)

სტრუქტურულად ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ მწუხრი:

1. 140-ე ფსალმუნის წარმოთქმა;
2. სხვა ფსალმუნები და ანტიფონები;
3. ეპისკოპოსის შემოსვლა;
4. დიდი ლიტანია;
5. ეპისკოპოსის ლოცვის აღვლენა;
6. საბოლოო ლოცვა;

საბოლოოდ ლიტურგია სრულდება ლიტანიით.

ნაწარმოები ერთგვარი წერილია, რომელსაც ავტორი წერს მონაზვნებს და იგი შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ცნობარი წმინდა მიწაზე წამსვლელთათვის და ამავდროულად არის ანგარიში მკითხველთათვის. შემონახული ფრაგმენტი შეგვიძლია დავყოთ 2 მნიშვნელოვან ნაწილად. პირველ ნაწილში აღწერილია მოგზაურობა ეგვიპტიდან სინას მთამდე. ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს მოგზაურობას იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლამდე. ეგერია თავის ნაწარმოებში აღწერს ქრისტიანულ ღვთისმსახურებას, რომელიც იერუსალიმში სრულდებოდა. ძირითადი ნაწილი ამ ნაწარმოებისა დაწერილია არაოფიციალური ენით. ამიტომ იგი საინტერესო მასალაა მათთვის, ვინც იკვლევს ხალხური ლათინურის ლექსიკასა და გრამატიკას. ამასთანავე იგი სწორედ იმ პერიოდს მოიცავს, როცა ლიტერატურული ლათინური გადადის ვუგარულ, ე.წ. ხალხურ ლათინურში, რაც დასაბამს უდებს კიდევ რომანულ ენებს. ამიტომ ტექსტის თარგმანის დროს საჭიროა ზუსტად და სიტყვასიტყვით იყოს კვლევა, მით უფრო, რომ ტექსტის მხოლოდ ერთი ვარიანტია ჩვენამდე მოღწეული და ამიტომ მისი სტრუქტურაც სწორედ ამ ტექსტზე დაყრდნობით უნდა გავითვალისწინოთ.

აქვე გასათვალისწინებელია შემდეგიც, ეგერიას მოგზაურობა საინტერესოა იმიტაც, რომ აღწერილი აღდგომის ტაძრის ლიტურგიკა მსგავსია ქართული ლიტურგიკისა, განსაკუთრებით V-X საუკუნის ლიტურგიკული წესის კვლევისას დამატებითი შესადარებელი მასალად გვექნება წარმოდგენილი.

IV თავი

ქართული ქრისტიანული ეკლესია V-X საუკუნეებში და ლიტურგიკული პრაქტიკა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით

4.1. ქრისტიანობის დასაწყისი საქართველოში

სანამ უშუალოდ ქართული ლიტურგიკის კვლევას შევუდგებით გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, საჭიროდ მიგვაჩნია, მცირე მიმოხილვით შევეხოთ ქართლში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას.

საქართველოში ქრისტიანობა იმთავითვე ვრცელდება, როცა ქრისტეს ეკლესიის შესახებ გაჩნდა პირველი ცნობები მსოფლიოში და ამას ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა ნამდვილად იძლევა.

ქრისტიანობა საქართველოში პირველივე საუკუნეში გავრცეებულა და გადმოცემის მიხედვით იგიანდრია პირველწოდებულსა და მათატას უქადაგიათ, თუმცა ამ პერიოდში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად არც რომის იმპერიაში იყო და, შესაბამისად, იგი ვერც საქართველოში გახდებოდა სახელმწიფო რელიგია. მაგრამ, ის რომ ქრისტიანული მრევლი არსებობდა საქართველოში, ამას ნიკეის პირველი საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის ბიჭვინთს ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობაც ადასტურებს.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის გამოცხადება მირიან მეფეს უკავშირდება. მისი გამავრცელებელი ტრადიციულად წმინდა ნინოა. კაბადოკიელმა ქალწულმა იქადაგა ქართლში ქრისტიანობა და ამის შესახებ ცნობებს ლეონტი მროველის „მოქცევაი ქართლისაისაში“ ვხვდებით. მროველი გადმოგვცემს, რომ წმინდა ნინო მცხეთაში მაშინ მოსულა, როცა მირიანი და დედოფალი ნანა არმაზის კერპის დღესასწაულს დღესასწაულობდნენ. „მოქცევაი ქართლისაისა“ მიხედვით ნინო შემრწუნებულა ამ უღმერთოების ხილვით და უფლისათვის დახმარება უთხოვია. მართლაც,

ამოვარდნილა ქარი და ამტყდარა ჭექა, რასაც საბოლოოდ კერპების მსხვრევა მოჰყოლია კიდეც. გადმოცემის მიხედვით მცხეთის მცხოვრებთ უკვე ჰქონიათ ქრისტეს შესახებ ინფორმაცია და შესაბამისად ქრისტეს ძალასაც მიაწერდნენ კერპების მსხვრევას („მოქცევაი ქართლისაი“ 1987:75-78).

მოგვიანებით, როცა წმინდა ნინოს დედოფალი ნანა მძიმე სენისგან უხსნია ქრისტეს სახელით, დედოფალი გაქრისტიანებულა. თუმცა მეფე არ ქრისტიანდებოდა, არამედ სურვილიც კი ჰქონია მკაცრად დაესაჯა ყველა, ვინც ქრისტეს აღიარებდა და მათ შორის დედოფალიც, რომ არა კიდეც ერთი სასწაული, რომელიც მეფეს ნადირობის დროს გადახდენია თავს. ნადირობის დროს ჩამოხველებულა, მეფეს მხლებლები დაფანტვია, ხოლო მეფეს ჯერ თავისი კერპებისათვის მიუმართავს თხოვნით, მაგრამ ვერაფერს დახმარებიან კერპები, საბოლოოდ მირიანი ნინოს ღმერთს ევედრა და მართლაც გაბრწყინდა დღე („მოქცევაი ქართლისაი“ 1987:86-93).

მას შემდეგ, რაც მირიანმა ქრისტიანობის არსი შეიმეცნა და იგი, როგორც უპირატესი აღიარა, საჭირო გახდა მღვდელმსახურების მოწვევა. ვინაიდან ქართლში არ იყვნენ მღვდელმსახურები, რომლებმაც იცოდნენ ეკლესიის სტრუქტურა და არც ქართლის ეკლესია არსებობდა, მირიანმა მიავლინა ელჩები კონსტანტინე დიდთან და სთხოვა მას დახმარება („მოქცევაი ქართლისაი“ 1987:93-100).

კონსტანტინე დიდი და დედოფალი ელენე სიხარულით შეხვდნენ ქართლის მეფის სურვილს და ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი და სამი დიაკონი წარმოგზავნა. ანუ სამივე ის მსახური, რომელიც თავდაპირველი ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა. ეპისკოპოსი, რომელსაც ევალეობოდა მღვდელმსახურების აღვლენა, რომელსაც დაეხმარებოდა მღვდლები და დიაკვნები. ისინი ლიტურგიის დროს შეასრულებდნენ ფსალმუნთა გალობას და სახარებას წაიკითხავდნენ. წარმოგზავნილებმა მეფეს იმპერატორისაგან ჯვარი და ხატები მიართვეს. სწორედ აქედან იწყება ქართლში ქრისტიანული რელიგიის ისტორია („მოქცევაი ქართლისაი“ 1987:97-100).

ქართული ისტორიოგრაფია და ქართული ეკლესია ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად 326 წელს მიიჩნევენ და ქართული ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის დასაწყისადაც მეოთხე საუკუნე უნდა მივიჩნიოთ.

ქართული ეკლესიის ისტორიაში არსად ჩანს სარწმუნოებრივ ნიადაგზე არსებული დაპირისპირება და არც მწვალებლური მიმდინარეობის არსებობაა ცნობილი, რაც იმაზე არ მიუთითებს, რომ მათი მიმდევრები არ იყვნენ და შესაბამისად, ვერც ეკლესიას დაუპირისპირდებოდნენ ისინი, არამედ იმდენად მცირერიცხოვანი და უმნიშვნელო იყო, რომ მასზე ყურადღებას არ ამახვილებდნენ. მოგვიანებით სწორედ ეს გახლდა ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის გამართულ დისკუსიაში, სადაც გიორგი მთაწმინდელი ასე პასუხობს პატრიარქს: „ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარ-გვიყოფიეს და არცა მწვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავნი ჩუენნი და ყოველთა უვარის-მყოფელთ და მწვალებელთა შევაჩუენებთ და დავსწყევნი ამასა საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მოციქულთასა მტკიცე ვართ“(ქ.პ.ძ.ტ.II.8:478).

იგივე განაცხადა მან ბიზანტიის კეისართანა: „რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ, გინა მარჯულ და არცა მივედრიკებით, თუ ღმერთსა უნდეს“ (ქ.პ.ძ.ტ.II.8:478).

ეფრემ მცირეც ამავე აზრს აგრძელებს, როცა ამბობს: „არს-მცა და ჰგიეს მარადის საფარველისა ზედა მართლმადიდებლობისა მისისა (ქრისტესი) ვიდრე მოაქამომდე უცვალებელად დაცვული ნათესავი ჩუენი“(ეფრემ მცირე 1959:10).

ვერ ვიტყვით, რომ ფარული მტერი არ ჰყავდა ქართულ ეკლესიას, ან მწვალებელთა მიმდევრები არ იყვნენ, უბრალოდ მათ არ ჰყავდათ ისეთი ძლიერი მხარდამჭერები, თუ მიმდევრები, როგორც ეს შეიძლება ჰყოლოდათ ბიზანტიაში, ან წინა აზიაში.... იყო ცალკეული შემთხვევები, როცა ქართული ეკლესიის სათავეში ისეთი კათალიკოსებიც იყვნენ, რომლებიც მალავდნენ თავიანთ ნამდვილ სახეს და ცხვრის ტყავში გახვეული მგლები აღმოჩნდებოდნენ ამის ნათელ მაგალითს

გადმოგვცემს ჯუანშერი, როცა გვამცნობს, რომ არჩილ მეფემ ეპისკოპოსად მოზიდანი, ეროვნებით სპარსი, დასვა, რომელიც თავს მართლმადიდებლად აჩვენებდა, სინამდვილეში კი მოგვი იყო და ქრისტიანულ „წესთა შემშლელი“... „და ვერ უგრძნეს არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მოზიდანის“- წერდა მემატიაზე (ჯუანშერი, 2012:126). მემატიაზე იმასაც გვამცნობს, რომ მოზიდანი წიგნებსაც წერდა „ყოვლისა საცდურებისასა“, რომელიც მოგვიანებით ეპისკოპოსმა მიქაელმა დაწვა. მოზიდანი, როგორც აღვნიშნეთ, არჩილ მეფეს დაუნიშნავს, ანუ დაახლოებით 429-437 წლებში მეფობს, ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ იგი ნესტორის ერესის მიმდევარი უნდა ყოფილიყო, ანუ იგი მანქველია. ეს კი ნათელი მაგალითია, იმისა, რომ ქართული ეკლესია სულაც არ იყო დაცული მსგავსი ტიპის „ამბებისაგან“. ამავდროულად, ეს იმასაც მიუთითებს, რომ ქართული ეკლესია არ არის ცალკე მდგომი, არამედ იგი მსოფლიო ეკლესიის ორგანული ნაწილია, სადაც ყველა ის პროცესი ხდება, რაც შეიძლება მომხდარიყო სხვა ეკლესიებში.

მეხუთე საუკუნის სასულიერო მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი პეტრე იბერს უჭირავს, რომელსაც ბერძნულ-სირიულ-ქართული წყაროები „მეორე პავლეს“ უწოდებს, დიდ პეტრესა და მოციქულთა სწორად მიიჩნევს. ვინ იყო პეტრე იბერი და რა დამსახურება აქვს მას ქრისტიანობის ისტორიაში. ერობაში მურვანოსი, იბერიის მეფის ვარაზ-ბაქარის ვაჟი ყოფილა, რომელიც დაახლოებით 420 წელს ბიზანტიის იმპერატორს თეოდოსი მეორეს საპატიო მძევლად წაუყვანია, რომ ქართველები სპარსელებთან ომის წინააღმდეგ არ გამოსულიყვნენ. ამ დროს მურვანოსი 12 წლის უნდა ყოფილიყო. მას თან გაატანეს აღმზრდელი მითრიდატე ლაზი. მურვანოსი იმთავითვე გამორჩეული ნიჭის ყოფილა. იგი, როგორც მძევალი არ ჰყოლიათ, არამედ საპატიო ტყვე იყო. მისი აღზრდა თავისთავზე თეოდოსის დამ, პულხერიამ და იმპერატორის მეუღლემ, ევდოკიამ აიღეს. ორივე მათგანი გამორჩეულად მართლმორწმუნეები ყოფილან და მურვანოსიც სარწმუნოებაში განმტკიცებულა. მას ამქვეყნიური დიდება და პატივი ნაკლებად აინტერესებდა და ხორციელ სურვილებს ლოცვითა და მარხვით ითრგუნავდა. მურვანოსს მტკიცედ ჰქონია განზრახული

ღვთისმსახური გამხდარიყო და მიუხედავად იმპერატორის დიდი წინააღმდეგობისა, ქართველი საპატიო ტყვე თავის აღმზრდელთან ერთად სასახლიდან გაპარულა, იერუსალიმში ჩასულა, სადაც მაცხოვრის საფლავზე მონაზვნად აღკვეცილან, მურვანოსს პეტრე, ხოლო მის აღმზრდელს კი იოვანე ეწოდათ. ამ მონასტერში მათ 25 წელი გაუტარებია და ხშირად სამოღვაწეოდ ისინი უდაბნოშიც გადიოდნენ. მათი მოღვაწეობის ერთ-ერთი საზრუნავი სამშობლო ყოფილა და ამაზე მეტყველებს მათ მიერ აგებული ქართველთა და ბერძენთა სასტუმრო სახლი. რაც მთავარია ლაზთა მონასტრის სახელით ცნობილი ქართული ტაძარი, რომელიც იერუსალიმის მახლობლად, ბეთლემის უდაბნოში აუგიათ. პეტრეს ცხოვრებაში მოცემული ეს ცნობა არქეოლოგიურადაც მტკიცდება. 1953 წელს იტალიელმა არქეოლოგმა, ვირჯინიო კორბომ გათხრების შედეგად ლაზთა ეს მონასტერი აღმოაჩინა, რომელსაც არა მხოლოდ განსხვავებული არქეოლოგიური სახის გამო მიაქცია ყურადღება, არამედ ქართული წარწერების სილამაზემაც მიიქცია მეცნიერის ყურადღება. უძველესი ასომთავრულით შესრულებული ულამაზესი მოზაიკურ წარწერებში პეტრეს წინაპრები და მათ შორის მეოთხე საუკუნის ცნობილი მჭერმეტყველი ბაკურიც იხსენიება. ამაზე გიორგი წერეთელი შენიშნავს: „ის, რომ პეტრემ იორდანეს უდაბნოში მის მიერ აგებული მონასტერი ქართული წარწერებით შეამკო, იმაზე მოწმობს, რომ წმინდა ადგილებში მოღვაწეობით იმ ეპოქაში მან ქართული ენა და ქართული კულტურა საერთაშორისო არენაზე გაიტანა“ (გ.წერეთელი, 1960:35).

უცხოეთში მოღვაწე იბერიელ უფლისწულს, რომელსაც სამშობლოდან წასვლა მისი სურვილით არ გადაუწყვეტია, არასდროს გაუწყვეტია სულიერი კავშირი მასთან. ამის უპირველესი დასტურია მისი ზედწოდება იბერი, რითაც ხაზი გაუსვა თავის ეთნიკურობას უცხო გარემოში, ამით კი თავისი ქვეყნის კულტურას გაუწია დიდი სამსახური. მხედველობაში უნდა გვქონდეს ლაზთა მონასტერი და ქართული წარწერები ამ მონატრეში, რითაც კიდევ ერთხელ აჩვენა სხვას, რომ იგი იმ ხალხის შვილია, რომელსაც აქვს უფლება უფალი საკუთარ ენაზე ადიდოს.

მეხუთე საუკუნეში ქართული ეკლესიის ისტორიაში ერთი მეტად საინტერესო მოვლენა მოხდა. შეიცვალა მისი უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც ვახტანგ გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული. სპარსეთიდან დაბრუნებულ მეფეს უთანხმოება მოსვლია ქართლის მაშინდელ მთავარეპისკოპოსთან მიქაელთან. ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ უთანხმოების მიზეზი ვახტანგის გადაწყვეტილება ყოფილა, რომლის მიხედვითაც ვახტანგს ქართლის უმთავრეს მღვდელმთავრად პეტრე დაუყენებია. მიქაელს თავისი გაბრაზება პირდაპირ არ გამოუხატავს და მეფისთვის რჯულის უარყოფა და მაზდეანობის მიღება დაუბრალებია. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგს მსგავსი რამ არ გაუკეთებია, როგორც მეფეს სიმდაბლედ გამოუხატავს და მთავარეპისკოპოსს ეახლა, რომ წესისამებრ ფეხზე მთხვეოდა, მაგრამ მიქაელმა „განძრა ფერხი და მიამთხვია პირსა მეფისასა და შემუსრა კბილი“ (ჯუანშერი, 2012:132).

მიუხედავად მღვდელთავრის ასეთი უღირსი საქციელისა, მეფეს მიქაელი არ დაუსჯია, არამედ კონსტანტინეპოლის პატრიარქთან გაგზავნა გასასამართლებლად, ამასთან ერთად მეფემ პეტრე, მონაზონი სამოელი და 12 სხვა სამღვდელო პირი წარგზავნა კათალიკოსად და ეპისკოპოსებად საკურთხევლად. კონსტანტინეპოლის პატრიარქს მიქაელი შეურისხავს და მღვიძარეთა მონასტერში გაუმწყესებია, ხოლო პეტრე კათალიკოსად, ხოლო 12 მღვდელმსახური ეპისკოპოსებად უკურთხებია. ანუ პეტრე პირველი კათალიკოსია ქართლში. 12 ეპისკოპოსის გამოთხოვა კი 12 საეპისკოპოსოს დაარსებას ნიშნავდა. საეკლესიო სამართლის ძეგლებიდან ცნობილია, რომ ეპისკოპოსთა გასამართლებისა თუ ახალ ეპისკოპოსად ხელდასმისათვის, ასევე ეკლესიის შიგნით სხვა პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელი იყო საეკლესიო კრება, რომელიც სულ ცოტა 12 ეპისკოპოსისგან უნდა შემდგარიყო. მაშასადამე, ამიერიდან ქართლის ეკლესიას შეეძლო მოეწვია საკუთარი საეკლესიო კრება, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა თავისი შინაური საქმეები თავად განეგო, რაც თავისთავად ეკლესიის დამოუკიდებლობას, ანუ ავტოკეფალობას მოასწავებდა (იქვე, 2012:133).

მეშვიდე საუკუნეში ქართული ეკლესიის ისტორიაში კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა, როცა ქართველებსა და სომხებს შორის იწყება დაპირისპირება და

ქართული და სომხური ეკლესია გაიყო. ქართველები დიოფიზიტურ მიმდინარეობისა იყვნენ, ხოლო სომხები მონოფიზიტურ ფრთას მიემხრენ. ეს თავისთავად იწვევდა მათ შორის დიდ დაპირისპირებას და ხშირ შემთხვევაში ეს პოლემიკა დაშინების პოლიტიკით იცვლებოდა, კერძოდ, სომხები ხშირად ქართველებს სპარსელებთან სიახლოვით აშინებდნენ. მალე ეს მოვლენა დადასტურდა კიდევ, როცა ხოსრო მეორემ იერუსალიმი აიღო, 614 წელს, მოიწვია საეკლესიო კრება და შაჰის მორჩილ ქრისტიანებს სომეხთა სარწმუნოების, მონოფიზიტობის მიღებას აიძულებდა. ამ დადგენილებით სარწმუნოებრივ დაპირისპირებაში გამარჯვების სასწორი სომეხებისაკენ გადაიხარა, მაგრამ მალევე ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ სპარსეთის ძლიერებას ბოლო მოუღო და შესაბამისად მონოფიზიტობა ქართლში არ გავრცელებულა (ი.ჯავახიშვილი, ტ.1.2012:120).

4.2 ქართული ლიტურგიკა

ქრისტიანთა ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ლოცვით წარდგომა უფლის წინაშე. მოციქული პავლე თავის ეპისტოლეებში არაერთხელ მოგვიწოდებს, რომ ვილოცოთ. წმინდა მამები თავიანთ თხზულებებში არაერთ მაგალითს გვაძლევენ ლოცვის სიდიადისა და აუცილებლობის შესახებ. როდესაც ქრისტიანი ტაძრად შედის და ლოცვად დგება, იწყება ზეციურისა და მიწიერის თანაზიარი. ადამიანი ხდება მიწიერისა და ზეციერის თავის თავში გამტარი. ამიტომ ღვთისმსახურება მხოლოდ ღვთისთვის არ არის, არამედ იგი უფრო ადამიანისთვისაა მნიშვნელოვანი. რაც უფრო ხშირად არის ადამიანი ტაძარში, მით მეტად ხდება მისი სულიერი განწმენდა და თანაზიარება ღვთის საიდუმლოებასთან. ღვთისმსახურების ძირითად თვისება ისაა, რომ ადამიანი სულიერ თავისუფლებას მოიპოვებს და იგი ერთიანდება ზეციერ და მიწიერ ეკლესიასთან. ამიტომ შესაბამისად ყოველი ეკლესია ცდილობს სულიერი თავისუფლება მოუპოვოს თავის მრევლს.

ქართლში ქრისტიანობის გავრცელებამ და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ იმთავითვე გააჩინა აუცილებლობა ლიტურგიის შესრულებისა. რა თქმა უნდა, ღვთისმსახურება სწორედ ადამიანისთვისაა მნიშვნელოვანი და საჭიროა იგი ხვდებოდეს, თუ რას ასრულებს და როგორ ხდება მისი ზიარება ჭეშმარიტებასთან. ამიტომ ქართულ ენაზე ღვთისმსახურების აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში. კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, რომ ქრისტიანობის შემოღებისთანავე ვერ აღესრულებოდა ღვთისმსახურება, რადგან ამისათვის საჭირო იყო ისეთ პირები, ვინც სათანადოდ იქნებოდნენ მომზადებულები და ლიტურგიკას გადმოაქართულებდნენ. ეს კი არ იყო ადვილი საქმე. ყოველ შემთხვევაში, დაახლოებით ნახევარი საუკუნე მაინც იქნებოდა საჭირო. მოგვიანებით, დაახლოებით მეხუთე საუკუნის ბოლოს და მეექვსე საუკუნის დასაწყისში უკვე სრულდებოდა ქართულად ღვთისმსახურება. საბა განმწმენდელი თავის ანდერძში პირდაპირ ამბობს: „ივერიელებსა და ასურელებს ნება არა აქვთ ჟამისწირვა შეასრულონ თავიანთ ეკლესიაში; იქ მათ შეუძლიათ წართქუან ჟამნობა, შეასრულონ სამხრობა და წარიკითხონ თავიანთ ენაზე სამოციქულო და სახარება“ (კ.კეკელიძე, 1980:583). ამ ანდერძიდან გამომდინარე კარგად შეგვიძლია გავიგოთ, რომ ქართველებს თავიანთ ენაზე ჰქონიათ არა მხოლოდ სამოციქულო და სახარება, არამედ ჟამნობა, სამხრობა და ჟამისწირვაც. მეექვსე საუკუნეში საქართველოს 35 ეპარქიაში, როგორც ჩანს, ქართულად მიდიოდა ღვთისმსახურება, გარდა ცურტავისა. მოგვიანებით სწორედ პროვინციებში ქართულად გამართული წირვა-ლოცვა ქვეყნის ერთიანობის დასაწყისი აღმოჩნდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ გვაძლევს იმ ცნობას, რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულებს, ხოლო კვირიელისონ ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად „უფალო წყალობა ყავ“, გინათუ „უფალო შეგვიწყალენ“ (გიორგი მერჩულე, 2007, 43:519).

ეკლესია თავისთავად წესრიგს ითხოვს და ეს წესრიგი ღვთისმსახურებაშიც აუცილებლად უნდა იყოს დაცული, ამიტომ იმთავითვე განსაზღვრავს ყოველგვარ წესს

და ამ წესის ტერმინად ტიპიკონი გამოიყენა, რაც ბერძნული სიტყვაა და ქართულად სახეს, ხატს, მაგალითს ნიშნავს. ტიპიკონი ერთგვარი რეგულატორია ღვთისმსახურებაში, იგი ერთგვარი წესდებაა ყველა მღვდელმსახურისათვის. ღვთისმსახურებაში ამა თუ იმ ტიპიკონის არსებობა მიაჩნებოდა იმას, თუ რომელი ეკლესიისა თუ მონასტრის პრაქტიკას უერთდება ესა თუ ის ეკლესია. საქართველოს ეკლესია მეათე საუკუნემდე პალესტინის ლიტურგიკული პრაქტიკის მიმდევარი იყო, ხოლო მოგვიანებით მას ათონის მთის ლიტურგიკა ცვლის.

ქართული ლიტურგიკული მწერლობა პალესტინაში უნდა ჩასახულიყო, რადგან აქ მოღვაწეობენ ქართველი ბერები, რომლებიც სავარაუდოდ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდნენ და ისინი ქართულად თარგმნიდნენ საღვთო წიგნებს როგორც ბერძნული, ასევე სირიული ორიგინალიდან. ამ ცნობის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეათე საუკუნეში ქართულად უკვე მთლიანად იყო ნათარგმნი ყველა ის წიგნი, რაც საჭირო იყო ღვთისმსახურების დროს (კ. კეკელიძე, 1980:579).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტიპიკონის არსებობა განაპირობებდა წესის არსებობას ღვთისმსახურებაში. განარჩევენ 2 ტიპის ტიპიკონს: სამონასტროს და საეროს. სამონასტრო 3 ტიპიკონის არსებობაა ცნობილი: პალესტინის-საბაწმინდისა, კონსტანტინეპოლის-სტუდიელთა მონასტრის და ათონის-მთაწმინდის ტიპიკონები. საქართველოს ეკლესია მეათე საუკუნემდე უმთავრესად პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკასთან იყო დაკავშირებული. ცნობილია „განჩინებაი და განწესებაი მოძღვართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელისა ჰყოფენ იერუსალიმს.“ იგი შეიცავს ქრისტეს საფლავზე შემუშავებულ იერუსალიმური რედაქციის ტიპიკონს, რომელსაც აგრეთვე „დიდკანონსაც“ უწოდებენ, იგი მონასტრული ტიპიკონია, რომელიც მეათე საუკუნემდე გამოიყენებოდა. ამ ტიპიკონში შედის შობის, ნათლისღების, ბზობის, ვნების შვიდეულის, აღდგომის მსახურება (კ.კეკელიძე,1980:578).

მას შემდეგ, რაც ქართველები ათონზე იკიდებენ ფეხს, შესაბამისად ახალი რედაქციის ტიპიკონი ითარგმნა, რომელიც ე.წ. აია სოფიისა, ანუ კონსტანტინეპოლისაა.

შესაბამისად იგი ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა ქართულ ლიტურგიკაში და მალევე განდევნა კიდეც იერუსალიმის ტიპიკონი ქართული ეკლესიიდან.

მოგვიანებით, როცა გრიგოლ ხანცთელი აგებს თავის ეკლესია მონასტრებს, იგი თავის წესს განუჩენს მათ. ამის შესახებ მის ბიოგრაფიაშიცაა მოხსენიებული. არც თუ იშვიათად სახარებათა არშიებზე მინიშნებულია როდის იკითხება ესა თუ ის ადგილი. ასეთი მინიშნებებია შატბერდისა და ადიშის სახარების არშიებზე, რომელიც სავარაუდოდ გადამწერებს მიუწერიათ. უფრო ხშირად კი ბოლოში გაიტანდნენ ამ საძიებლებს, რომლებშიც ხშირად მითითებული იყო ყოველი კვირიაკის, დღისა, თუ დღესასწაულის დასაწყისი ამა თუ იმ საკითხავისა. ამ ჩანიშვნებით ნათელი ხდება რომელ პრაქტიკასა და ტრადიციას იცავდნენ ამა თუ იმ შემთხვევაში საქართველოში. დიდ და მნიშვნელოვან ეკლესიებს და ადგილებს თავიანთი საკითხავებისა. ცნობილია საბაწმინდის, იერუსალიმის, სინას მთისა და საბერძნეთის სისტემა. იმ საძიებლებისაგან, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, ირკვევა, რომ პირველ პერიოდში გვქონია საბაწმინდის და სინას მთის სისტემა.

მეთერთმეტე საუკუნეში ეს სისტემა ხმარებიდან გამოსულა და დავიწყებული ყოფილა ქართველების მიერ. ან იმდენად შეთვისებულა ქართველებისთვის, რომ დავიწყებული ყოფილა, რომ იგი იერუსალიმურია. 1048 წელს გადაწერილი სახარების საძიებელს თან აქვს დართული შენიშვნა, სადაც გადამწერი ამბობს, რომ: „ესე წესი და განგებაი საბაწმინდისაი არს ბერძნული, ვის ქართული უნდეს, კანონსა მიუდგეს და მისგან ისწავე: რომელ დედასა ეწერა, მე იგი დამიწერია, წმიდაი და ჭეშმარიტი წესი საბაწმინდისაი“ (კ.კეკელიძე, 1980:579).

საკითხავების განსაკუთრებული სისტემა ყოფილა მიღებული დავითნის, ანუ ფსალმუნთა კითხვისას. დავითნი 150 ფსალმუნისაგან შედგება, რომელიც 20 ნაწილად, ანუ 20 კანონად იყოფა, ხოლო თითოეული კანონი 3 ნაწილად, ანუ დიდებად იყოფა. ეს კარგად ჩანს 904 წლის დავითნიდან, სადაც იკითხება: „ხოლო განყოფაი კანონთაი სამად გალობასა შინა, სადა დიდებაი ითქუმის. ესრეთ ცან, ვითარ ქართველნი განყოფენ; სადა წერილ იყო ესე ვითარმედ თაყუანისცემაი, ცანლა მუნ დიდებაი ითქუმის და მუნვე

წითლითა წილქანი ზის და ესე ფსალმუნთაი. ხოლო კანონთ თავი თვით საცნაურ არს და თანავე ჩამოწერილ არს. ხოლო ვითარ ბერძნულნი და იერუსალიმელნი განჰყოფენ, ესრეთ იხილე და ცან: სადა ჰყოფენ თავსა კანონთასა, წითლითა ზის თავი და სადა ფსალმუნთა დიდებასა ჰყოფენ. და არიან რომელნიმე ერთფერად და სწორად იერუსალიმელთაი და ქართველთაი კანონიცა და ფსალმუნიცა“ (კ.კეკელიძე, 1980:579).

ექვგარეშეა ის, რომ აქ ნახსენები „ქართველთა“ში იერუსალიმური იგულისხმება, რადგან იერუსალიმის ტიპიკონი იმდენად „გაქართველებულია“, რომ ერთი მეორესაგან აღარ ირჩევა.

მეთორმეტე საუკუნეში, დავით აღმაშენებლის დროს, საქართველოში ახალი რედაქციის ტიპიკონი შემოსულა, რომელიც პალესტინიდან მოუტანიათ და ე.წ. საბაწმინდურის სახელითაა ცნობილი. ეს წესი გადმოთარგმნა გიორგი ოლთისელმა. ეს ტიპიკონი შიომღვიმის ლავრაშიც მიუღიათ და იგი მეფის კარის ეკლესიაშიც კი აღესრულებოდა. ამგვარი სამონასტრო წესი მეცხრე საუკუნეში უკვე ცნობილი იყო საქართველოში, რადგან გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ გრიგოლმა ნახა იერუსალიმში მიმავალი მისი მეგობარი და უთხოვია მისთვის სწორედ საბაწმინდის ტიპიკონის გადმოწერა და როცა გრიგლი საბერძნეთიდან დაბრუნდა, ბრუნდება იერუსალიმს მყოფი გრიგოლის მეგობარი და ჩამოაქვს კიდევ საბაწმინდური ტიპიკონი. სწორედ საბაწმინდის ლავრის ტიპიკონი დასდებია საფუძვლად გრიგოლის მიერ დაარსებულ ეკლესია მონასტრებს (კ.კეკელიძე, 1980:577).

4.3. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“

გრიგოლ ხანძთელი მერვე საუკუნის ბოლოსა და მეცხრე საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა, რომლის ღვაწლი ერთდროულად შეიძლება ორი მიმართულებით განვიხილოთ: პირველი, როგორც საეკლესიო მოღვაწე, რომლის სახელსაც უკავშირდება სამონასტრო ცხოვრების განმტკიცება ტაო-კლარჯეთში (მას უდაბნოთა მამულებელს სწორედ ამ ღვაწლის გამო უწოდებენ) და მეორე, მისი ღვაწლი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში მართლაც რომ შეუფასებელია.

შესაბამისად, ასეთი ადამიანის ღვაწლი დაუფასებელი არ დარჩებოდა და მის შესახებ აუცილებლად დაიწერებოდა, რომ შემდგომში მისი სახელი კიდევ უფრო განდიდებულიყო.

გრიგოლი, ნერსე ერისთავის კარზე აღზრდილი, დიდებულთა შთამომავალია და იგი ნერსეს ცოლის ძმისწული იყო. მის სწავლა-აღზრდას თავად ნერსეს მეუღლე ხელმძღვანელობდა და როგორც ჩანს გრიგოლს განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოუჩენია სწავლისადმი: მან „სწრაფლ დაისწავლა დავითნი და ხმითა სასწავლენი სწავლაი საეკლესიოი სამოდღუროი ქართულსა ენასა შინა.... და საღმრთო წიგნნი ზეპირით მოიწუართნა.“(გრიგოლ ხანცთელი“,2007:379) ამავე დროს, როგორც ჩანს, წმინდა მამას იმ პერიოდში გავრცელებული ენებიც შეუსწავლია, რასაც გრიგოლის ცხოვრების აღმწერი გიორგი მერჩულე აღნიშნავს კიდევ. სწორედ მრავალ ენათა ცოდნა უადვილებს მას მოგზაურობას კონსტანტინეპოლში, როცა იგი წმინდა ადგილების მოსალოცად მიდის. თუმცა ამაზე ოდნავ ქვევით ვისაუბრებთ.

გრიგოლს, როგორც ჩანს ბავშვობიდანვე გამოუველნია განსაკუთრებული ნიჭი და მისწრაფება საღვთო წიგნებისა და ცხოვრების მიმართ, ამიტომ, მას ადრეული ასაკიდან გადაუწყვეტია საერო ცხოვრების დატოვება. როცა გარკვეული ასკისათვის მიუღწევია, როგორც მისი ცხოვრების აღმწერი, გიორგი მერჩულე აღნიშნავს, იგი მღვდლად უკურთხებიან, ხოლო მოგვიანებით მისი გაეპისკოპოსებაც მოუნდომებიათ, მაგრამ გრიგოლს სხვა გზა ჰქონდა არჩეული. მას თავის სამ თანამოაზრესთან ერთად ქართლი დაუტოვებია და ტაო-კლარჯეთისაკენ აუღია გეზი. ამ მოგზაურობას გიორგი მერჩულე აბრაამის გამოსვლას ადარებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აბრაამი სხვა ქვეყანაში მიდის, ხოლო გრიგოლი ისევ საქართველოს ერთ განაპირა მხარისაკენ გაემართება, სადაც მოგვიანებით მეუდაბნოე მამათა უდიდეს ქალაქებს დააარსებს კიდევ.

გიორგი მერჩულეს დახასიათებით წმინდა მამა იყო „მადლითა სავსე, განსრულებული სიბრძნითა, დიდი ღვდელი და კეთილად განმგებელი მოღუაწე და უდაბნოთა ქალაქთა მყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ, სულიერად მამაი და წინამძღუარი და მაშენებელი ხანძთისა და შატბერდისაი,

ორთა მათ დიდებულთა მონასტერთაი, რომელიც ექმნა სახე კეთილის ყოველთა მის ჟამისა მეუდაბნოეთა მამათა ახლად შენებასა მათსა“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007,2:379).

ის ფაქტი, რომ გრიგოლს „ზეცისა კაცსა და ქუეყანისა ანგელოზს“ უწოდებენ იმთავითვე განსაზღვრავს მის მომავალ დიდებულებას, რომელისაც მომავალში გარკვეული მისია ეკისრება, ვინაიდან ეს გამონათქვამი საეკლესიო მწერლობაში დიდი მეუდაბნოეების დასახასიათებლად გამოიყენება. გრიგოლს ნამდვილად აქვს მისიონერული როლი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე.

გიორგი მერჩულე გრიგოლს ფართო მამტაბით ახასიათებს როგორც ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის ორგანიზატორის ღვაწლს. ავტორი ზეპირი, მისი მოწაფეების მონაყოლითა (თავი I) და წერილობითი გადმოცემების მიხედვით კრებდა გრიგოლის ბიოგრაფიას, ისეთიდან, როგორიცაა: დიმიტრიოსის ეპისტოლე მამა გრიგოლისა და დედა ფებრონიას მიმართ (თავი 41), დედა ფებრონიას ეპისტოლე მამა გრიგოლისადმი (თავი 58), თავად გრიგოლის ეპისტოლე შესვენებული დედების მიმართ (თავი 59) არსენი და მაკარი საბაწმინდელების ეპისტოლე მამა გრიგოლისადმი (თავი 63) და სხვა.

გრიგოლ ხანძთელის ისტორიული მნიშვნელობა თავად ნაწარმოებში გაწერილი: „სულიერად მამაი და წინამძღუარი და მამუნებელი ხანძთისა და შატბერდისაი, ორთა მათ დიდებულთა მონასტერთაი, რომელ ექმნა სახე კეთილთა ყოველთა მის ჟამისა მის ჟამისა მეუდაბნოეთა მამათა ახლად შენებასა მათსა“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 2:379).

გრიგოლის ცხოვრებიდან ვიგებთ, რომ შატბერდისა და ხანძთის მნიშვნელობა უფრო მეტად გადიდდა, რადგან ეს მონასტრები თავისი ფუნქციითა და მნიშვნელობით არა მარტო უსწორდებოდნენ, არამედ აღემატებოდნენ სხვა ქრისტიანულ ისტორიაში მნიშვნელოვან მონასტრებს. აქ მყოფნი განსაკუთრებული ქრისტესმიერი თავმდაბლობითა და მაღლმოსილებით იყვნენ აღჭურვილნი და ამას თავად გრიგოლიც აღიარებდა. ეს არ იყო ამპარტავნება, არამედ ეს იყო იმ ღვაწლისა და სათნოების დანახვა

რაც მოუვლინა მათ ყოვლადსახიერმა. „ვითარცა მონასტრისა ჩემისა მამანი სათნოებითა უზეშთაესი არიან ჟამისა ამის მონაზონთა“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 12:423).

ასეთივე ამაღლებით განიხილება მცხეთის საკათალიკოსო კათედრაც. გიორგი მერჩულე მას „ქრისტეს კუართისა სამკვიდრებლად“ მოიხსენიებს და ამით თითქოს უნდა კიდევ ქართული საეკლესიო სიწმინდე მსოფლიო ეკლესიის თანაფარდად აქციოს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კლარჯეთის საეპისკოპოსო ცენტრი ზოგადქრისტიანული თვალთახედვითაა შეფასებული. კერძოდ, ანჩის ეკლესიის ისტორია და ავტორიტეტი წინ არის წამოწეული, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: 1) ანჩის კათედრა დაარსებულია მაცხოვრის ხატის საფუძველზე; 2) მან ხატმებრძოლობის ერესის მძვინვარების პერიოდში უბიწოდ დაიცვა თავი მრუდე მოძღვრებისაგან: „პატივ სცა ქრისტემან წმიდათა მათ უდაბნოთა, რაითა იყოს წუნამძღუარად მათდა ეპისკოპოსი უმიზეზოი, წმიდაი და ღირსი ვითარცა შეჰგავს წმიდასა მას საყდარსა ქალწულებით დამარხულსა გახრწნისა განწვალებისა გულარძნილისა მოძღუარებისა სახელსა ზედა წმიდისა ქრისტეს ღმრთისა ხატისასა აღშენებულსა“ (თავი 63) (რ.ხალვაში,2016:98).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც სწორედ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დასტურდება, ეს არის ბაგრატოვანთა გვარის კავშირი მირონცხეხეული მეფე დავით წინასწარმეტყველთან. გრიგოლ ხანძთელი ასე უწოდებს აშოტ კურაპალატს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხეხული შვილი“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 11:420).

გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გვაწვდის ინფორმაციას ქართლის, როგორც ქრისტიანული სამყაროს, ერთ მნიშვნელოვან ქვეყანაზე, სადაც კარგად ჩანს ავტორისეული ეროვნული გრძნობების გამოვლინება. კერძოდ, როცა ამბობს, რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების რომელსა შინა ქართულითა ენისთა ჟამი შეიწირვის და ლოცვალი ყოველი აღესრულების. ხოლო კირიელისონ

ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად:“უფალო წყალობა ჰყავ“, გინა თუ „უფალო შეგვიწყალებ“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 43:519).

გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა დაემთხვა იმ ფაქტს, როცა საქართველოს დედაქალაქი არაბებს ეპყრათ, ქართლში კულტურული ცხოვრება ფაქტობრივად არ არსებობდა, ქვეყანა კარგავდა მნიშვნელოვან კულტურულ და ისტორიულ სახეს ამ რეგიონში და თუკი ქართველების სურვილი იქნებოდა, უნდა დაარსებულიყო ისეთი ცენტრი, რომელიც თავის თავზე აიღებდა იმავე როლს,რაც ქართლს ჰქონდა ქვეყნის განვითარებაში საუკუნეების მანძილზე. სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი და რთული მისია იტვირთა თავის თავზე გრიგოლ ხანძთელმა, რომლის თავდაუზოგავმა და შეუდრეკელმა შრომამ ტაო-კლარჯეთი გადააქცია მეორე ქართლად და მეორე მნიშვნელოვან კულტურის ცენტრად.

გრიგოლს ტაო-კლარჯეთში თან გაჰყვნენ საბა, დედის დისწული, რომელიც შემდეგ იშხნის მეორედ მაშენებელი და მისი ეპისკოპოსი გახდა, თოდორე ნემცელი და ქრისტეფორე კვირიკელი. ისინი, „ვითარცა სული ერთი ოთხ გვამთა შინა განმტკიცებულნი“(ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 4:387), ოპიზაში დაემკვდრნენ, სადაც სწავლობენ ლოცვას, მარხვას, სიმდაბლეს, სიყვარულს, სიმშვიდეს, რისხვის დაოკებას, უპოვრობას, მღვიმარებას, დუმილს და მსგავს სათნოებებს. თუმცა გრიგოლს „დაყუდება“სურდა და ფიქრობდა უდაბნოში გასვლას. მალევე იხილავს რა ჩვენებას სიზმარში, იგი ხანძთის მიდამოებს მოინახულებს და აქ გადაწყვეტს კიდევ დაყუდებას. აქ იგი დიდ სამონასტრო ცხოვრების აღმშენებლობას იწყებს და ას ორი წლის ასაკში აღესრულება კიდევ.

პირველი სენაკები და ეკლესია გრიგოლმა ოპიზელი ბერების დახმარებით ძელისგან ააგო და იგი წმინდა გიორგის სახელზე იკურთხა. ხანძთის სავანეს იმთავითვე დაეკისრა დიდი სულიერი მისია. მას უნდა შეეფარებინა არაბებისგან შევიწროებული ქართველები და სწორედ ამ მისიამ აქ გაამრავლა ძმები და არა მხოლოდ სასულიერო პირები, არამედ საერო პირებიც ერთგვარად თანაზიარნი გახდნენ ამ დიდი საქმისა. ასეთი ღირსეული წარმომადგენელი იყო აშოტ კურაპალატის დიდაზნაური, ვინმე გაბრიელ დაფანჩული,

რომელიც გრიგოლის სამშოს გვერდით ედგა და მათ მატერიალურადაც უზრუნველყოფდა. მისი გვერდით დგომით ააგეს ხანძთის ქვიტკირის ეკლესია და, მალე, იმავე გაბრიელის სურვილით, მოიძებნა ადგილი, სადაც დედათა მონასტერი ააგეს და რომელსაც გუნათლეს ვანი უწოდეს. ხანძთასა და გუნათლეში გაბრიელის გვარს მიენიჭა მოწესეობის პატივი და ამავდროულად მამაკაცთა განსასვენებლად ხანძთა, ხოლო დედაკაცთათვის გუნათლე დაწესებულა.

ხანძთის მშენებლობამ თითქოს ბიძგი მისცა ტაო-კლარჯეთში სამონასტრო მშენებლობის დაწყებას და მომრავლდნენ აქ „ქრისტესმიერი ძმები.“ ახალ სავანეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მერეს დედათა მონასტერს, რომლის წინამძღვრად იკურთხა დედა ფებრონია და რომელიც გრიგოლის სულიერი მეგობარი იყო.

სამონასტრო მშენებლობაში აშოტ კურაპალატისა და მისი შვილების წვლილი დიდი იყო. ისინი ეხმარებიან გრიგოლს სამონასტრო კომპლექსების მშენებლობაში, რადგან კარგად ჰქონდათ გააზრებული სასულიერო ხელისუფლების მნიშვნელობა ქვეყნის მართვაში.

აშოტ კურაპალატის გარდაცვალებამდე გრიგოლი თავის დეიდაშვილთან, საბა იშხნელთან ერთად მოივლის კონსტანტინეპოლს და უკან დაბრუნებულები იხილავენ დაქვრივებულ იშხნის მონასტერს, რომლის აღდგენაც საბა იშხნელის სახელს უკავშირდება და თანაშემწედ კი ბაგრატ პირველი გვევლინება: „ნებითა ღმრთისაითა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანთა ზედა, ნეტარისა ნერსე კათალიკოზით აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქვრივებულ იყო. აწ კუალად იქმნა სულიერი ქორწილი და მეორედ აღენიშნა ამის ნატარისა მიერ და ხოლო ხორციელად მოლუაწებითა მათ მეფეთაითა. (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 26:463)

ამავე პერიოდში კონსტანტინეპოლის მოვლის პარალელურად გრიგოლი თვის მოწაფეებს სთხოვს ჩამოიტანონ იერუსალიმიდან „საბაწმიდისა განგებაი“ - საბა

განწმენდელის ლავრის (პალესტინა) ტიპიკონი, რომელიც სახელმძღვანელოდ დაადგინა ხანძთის მონასტერში.

თავად გრიგოლი აძლევდა თავის სამშოს მაგალითს, ამიტომ ხანძთის ბერები განსაკუთრებული თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ. ზომიერება და ქრისტესმიერი მაღლმოსილება იყო მათთან: „თავადნი დიდნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმბგვრითა. ხოლო მხრჩობლად საზრდელად მისა იყო ყოველთა დღეთა მისთა, პური ნაკლულევანებით დღესა შინა ერთ ჭამის და წყალი წონითვე მცირედი. ღვინოი კულა სიყრმიტგანვე და არა ესუა და უმრავლესნი სათნოებანი მისნი. და მოწაფეთა მისთანი ღმერთმან მხოლომან უწყის“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 18:435-437).

გრიგოლის სახელი არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთში, არამედ მთელ საქართველოში გაითქვა. იგი აფხაზთა მეფესთან, დემეტრე მეორესთან ერთად აგებს უბის მონასტერს, სადაც წინამძღვრად ილარიონს იერუსალიმელი დაადგინა და ეს მონასტერი მწიგნობროის კერად აქცია: „აქუნდა მას კეთილნი წიგნნი. და მამამანცა გრიგოლ თვისნი წიგნნი, რომელ აქუნდეს, და-ვე-უტევნა მონასტერსა მას“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 21:441).

გრიგოლის აღზრდილებმა დიდი როლი შეასრულეს ქართული ეკლესიის არა მხოლოდ გაძლიერების, არამედ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის წიაღში ქართული ქრისტიანული ეკლესიის დამკვიდრებაში. აღსანიშნავია გრიგოლის მოწაფე არსები, მირიან აზნაურის ძე, რომელიც შემდგომში ქართლის კათალიკოსი ხდება და ეფრემ მაწყვერელი, რომელმაც იერუსალიმის პატრიარქის განჩინებით ქართლში მირონის კურთხევა დააწესა. რევაზ სირაძე შენიშნავს, რომ მირონის ქართლში კურთხევამ საქართველოს საეკლესიო მთლიანობის სიმბოლური საფუძველი შეუქმნა. ამიტომ ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ფაქტის კონტანტაციას მოსდევს გიორგი მერჩულეს სიტყვები, რომლითაც გამოხატულია საქართველოს ეროვნული მთლიანობა. (სირაძე 1987:141): „ეფრემ ქრისტესმიერთა ბრძანებითა მიჰონისა კურთხევაი ქართლს განაწესა იერუსალიმისა პატრიარქისა განწესებითა წამებითა სიხარულით. არამედ „ქართლად

ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების რომელსა შინა ქართულითა ენისთა ჟამი შეიწირვის და ლოცვალი ყოველი აღესრულების. ხოლო კირიელისონ ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო წყალობა ჰყავ“, გინა თუ „უფალო შეგვიწყალებ“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 43:519).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გამოვყოფთ კიდევ ორ ეპიზოდს,- ცქირის ეპიზოდი და ჯავახეთის კრება, - რომელიც ძალიან საინტერესო ცნობებს გვაწვდის საეკლესიო წესების შესახებ.

კლარჯეთის სავანეები ანჩის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა და ანჩელის ხელდასხმით ხდებოდა კლარჯელი მღვდლებისა და დიაკვნების შემოსვა და აგრეთვე ღვთისმსახურთა პატივის აყრაც. როგორც ნაწარმოები გვამცნობს ეს წესი დარღვეულა, როცა ანჩის საყდარი მძლავრობით დაიპყრო ამირა საჰაკის მიერ აღზრდილმა დიაკონმა ცქირმა, რომელიც უკეთური საქმეებით გამოირჩეოდა. ამის გამო გრიგოლიმა იგი არაერთხელ ამხილა. ამ მხილებას ცქირის მონაწიეების სინანული კი არ გამოუწვევია, არამედ გაბოროტება მოჰყვა და უამრავი „ძვირი“ შესძინა გრიგოლს და არქიმანდრიტის თავიდან მოცილება გადაწყვიტა. თუმცა გრიგოლი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ცქირს უკან არ დაუხევია, პირიქით, ბოროტებით აივსო. მღვდელმსახურის უსაქციელობამ არა მხოლოდ გრიგოლის, არამედ სხვა სასულიერო პირებიც აღუშფოთებია, ამიტომ პრობლემის გადასაჭრელად კათალიკოსმა გაბრიელმა (გაბრიელ მეორე) მოიწვია ანჩის კრება, სადაც ქართლის ეპისკოპოსებმა და კლარჯეთის მეუდაბნოებმა ცქირი განკვეთეს. მის განმოსვაში გრიგოლი და დედა ფებრონია მონაწილეობდნენ: „მამამან გრიგოლ და დედამან ფებრონია შემოსილი საკურთხევლით შემოიყვანეს და წინაშე საკურთხეველსა განძარცუეს და ყოველთა ერთობით განხადეს კათოლიკე ეკლესიით, ვითარცა ასოი დამპალი.“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007,70:571).

ცქირმა მაინც მოახერხა არაბთა ამირას დახმარებით ანჩის ხელში ჩაგდება და ხანძთის დანგრევაც გადაუწყვეტია, ხალხიც დაურაზმავს და ხანძთაში მისულ მრევლს

ხანძთელმა ბერებმა ლოცვისთის დრო სთხოვეს. მაგრამ ცქირს სიკვდილმა მოუსწრო და ხანძთა დანგრევას გადაურჩა. (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 71:577)

რაც შეეხება ჯავახეთის კრების შესახებ ცნობას, აქ კარგად ჩანს გრიგოლის შეუვალი და დიდი ავტორიტეტი. კრება ჯავახეთში გაიმართა, რომელიც გუარამ მამფალმა მოიწვია და სადაც არსენ კათალიკოს კათალიკოსად არჩევის საკითხი განიხილებოდა. ქართლის ეპისკოპოსთა დიდი ნაწილი წინააღმდეგი იყო არსენის გაკათალიკოსებისა და მათ მხარს გუარამ მამფალიც უჭერდა, რადგან არსენი მირიანის (მამის) სურვილითა და ქართლის ეპისკოპოსთა მცირე ნაწილის მიერ იყო არჩეული კათალიკოსად. გუარამი მირიანზე იყო განაწყენებული, ამიტომაც არსენის გაკათალიკოსება კარგი მიზეზი იყო მისთვის სამაგიეროს გადასახდელად. მით უფრო, რომ ამით დარღვეული იყო კათალიკოსად არჩევის წესი. კრება, მიუხედავად იმისა, რომ ერთიან პირობაზე მყოფი ეპისკოპოსებისაგან შედგებოდა, მაგრამ მაინც ვერაფერს წყვეტდა. სწორედ ამ კრებაზე თქვა ერუშელმა ეპისკოპოსმა, რომ „ოდეს მოვიდეს ვარსკვლავი უდაბნოითაი, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვაი ყოველთაი.“(ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 42:511). მართლაც, გრიგოლის გამოჩენისთანავე არსენის მოწინააღმდეგეები უკან იხევნ და მისი სიტყვებით არსენის კათალიკოსობა განმტკიცდა. (არსენი ნებითა ღმრთისაითა კათალიკოზ არს) კრების შემდეგ ახარეს კოდეც არსენს: „შემდგომად ღმრთისა მოძღუარმან შენმან გრიგომ მამამან დაამტკიცა კათალიკოზობაი შენიო.“(გიორგი მერჩულე „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ 2007, 43:519).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მის სახელს მხოლოდ სამონასტრო კომპლექსების მშენებლობა როდი უკავშირდება, არამედ იგი კარგი მწერალიც იყო. მის ხელს დაახლოებით სამასამდე ხელნაწერი მიეკუთვნება და ამის შესახებ მიქაელ მოდრეკილი გვაწვდის ცნობებს. თუმცა ჩვენამდე, სამწუხაროდ, ძალიან ცოტას მოუღწევია. ხოლო ის, რაც ჩვენამდეა მოღწეული მიქაელ მოდრეკილის ცნობაზე დაყრდნობით, მივიჩნევთ გრიგოლ ხანძთელის ხელწერად. ეს აღმჩენა პავლე ინგოროყვას ეკუთვნის, რომელსაც ასეთი ხერხისთვის მიუმართავს: მიქაელ მოდრეკილის იადგარიდან გამოუყვია მიქაელის, გიორგი მერჩულეს, იოვანე მტბევარის, იოვანე მინჩხისა და სხვათა ჰიმნები,

ხოლო რაც დარჩენილა იგი გრიგოლის სახელისათვის მიუკუთვნებია, რადგან არც ერთ საგალობელს გრიგოლის სახელი არ აწერია, ამიტომ მეცნიერს ეს ხერხი სწორად და მართებულად მიუჩნევია. (პ.ინგოროყვა, 1954:118)

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტი მეათე საუკუნეს ეკუთვნის, თუმცა ფართო საზოგადოებისათვის ნაწარმოები უფრო გვიანი ხელნაწერით გახდა ცნობილი. უნდა აღინიშნოს რომ გიორგი მერჩულეს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები გრიგოლ ხანძთელსა და სხვა ნეტარ მამებს მიეძღვნება, რადგან ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ იგი მზადაა გვაუწყოს „ღირსად ცხოვრება... ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისა და მოყვასთა და მოწაფეთა მისთასა მადლითა და შეწევნითა ღმრთისათა“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007,1:376)

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების პირველი აკადემიური გამოცემა მოამზადა ნიკო მარმა, რომელსაც ტექსტი 1902 წელს იერუსალიმის ნუსხიდან გადმოიღო. მას 1904 წელს უმოგზაურია გრიგოლის ნაკვალევზე, რომელიც 1911 წელს დაასრულა. შეუსწორებია გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომები, კომენტარი დაურთავს და გამოსცა კიდეც.

შემდეგ პავლე ინგოროყვასაც გადაუმუშავებია ტექსტი. შეუსწორებია და დაურთავს კომენტარები და იგი „აღდგენილი დედნის“ სახელით გამოუცია კიდეც. მეცნიერს შეუსწორებია ცქირის ეპიზოდი. ამ ეპიზოდს ასწორებს ივანე ჯავახიშვილიც, ვინაიდან ისტორიკოსის ცნობით ცქირის ეპიზოდში შეცდომა უნდა იყოს მეფეთა ქრონოლოგიაში, რადგან როცა ამირა ჰასაკი ელჩად ცქირს აგზავნის სამეფო კარზე, მეფე არა აშოტ კურაპალატი, არამედ ბაგრატ კურაპალატი უნდა ყოფილიყო.

4.4. ლიტურგიკული პრაქტიკა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის მიხედვით“

იქ, სადაც არ არის ლიტურგიკა, არ არის ეკლესიაც. ეკლესიამ ზიარება უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ახალი აღქმის კითხვა. ჩვენ ვეზიარებით არა იმიტომ, რომ ასე წერია წმინდა წერილში: პირველმა ქრისტიანებმაც იმიტომ მიიღეს ახალი აღქმა, რომ აქ დაინახეს ის ღვთაებრივი სული, რომელსაც ისინი თავიანთ სერობაზე იღებდნენ.

ყოველი ლიტურგია არა მხოლოდ გახსენებაა საიდუმლო სერობისა, არამედ იგი თავად გამოხატავს ამას აღნიშნავს დიაკონი ა. კურაევი თავის ქადაგებებში.

ლიტურგია ღვთისმეტყველებაში ასეა განმარტებული: 1) პურის ტეხვა, ექქარისტია ზიარების წმინდა საიდუმლო; 2) წირვა (ჟამის წირვა), როდესაც სრულდება საიდუმლო ზიარება უსისხლო მსხვერპლშეწირვისა. ტიპიკონის მიხედვით ლიტურგია შედგება საკითხავისა და საგალობლებისაგან.

ლიტურგია ერთ-ერთ ძირითადი ნაწილია ქრისტიანულ ეკლესიაში. მასში შედის არა მარტო ლოცვები და საგალობლები, არამედ აქ ცოდვათა გამოსასყიდად შეიწირება უსისხლო მსხვერპლი, რომელიც მაცხოვრის ვნებებისა და ჯვარზე სიკვდილის მოსაგონებლად აღესრულება. ამიტომ სიტყვა ლიტურგია საზოგადო მსახურებას აღნიშნავს (ლუკა1, 23; საქმე13,2; 2 კორ.9,12). ლიტურგიის დროს სრულდება ზიარების წმინდა საიდუმლო, რომლის ძალითაც ადამიანი უერთდება ქრისტეს. მისი სისხლსა და ხორცის მიღებით ხდება სულიერი შეერთება მიწიერი და ზეციერ ეკლესიებისა, სულის უმაღლესი აღმასვლა და თავისუფლება.

საქართველოს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიტურგიკული წესების დაცვა აუცილებელი გახადა. ქართული ღვთისმსახურება დაახლოებით მეცხუთე საუკუნის ბოლოდან მეექვსე საუკუნის პირველ ნახევრამდე ყალიბდება და მოგვიანებით საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ქართული ეკლესიის ლიტურგია.

ქართული ეკლესია ისტორიულად მეათე საუკუნემდე პალესტინურს, ანუ საბაწმინდური ლიტურგიის წესებით მიდიოდა, ხოლო მეათე საუკუნიდან ნელ-ნელა მას ენაცვლება ათონის მთის ლიტურგიკა. ამის შესახებ წინა თავში უკვე გვქონდა საუბარი, ამიტომ ამ თემას ასე გაშლილად აქ არ შევეხებით, მხოლოდ ლიტურგიკული პრაქტიკის განხილვა საინტერესო ყოველთვის კონკრეტული მაგალითების განხილვითაა საინტერესო. ჩვენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკვლევ მასალად გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ავიღეთ და შევეცადეთ წინ წამოგვეწია არა

მთლიანი ტექსტი, არამედ ცალკეული მონაკვეთები, სადაც უშუალოდ ქართული საეკლესიო ლიტურგიის შესახებაა საუბარი.

ყურადღებას შევაჩერებთ უშუალოდ იმ ეპიზოდზე, რომელშიც აღწერილია ქართული ლიტურგია

გიორგი მერჩულე გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, რომ გრიგოლს უზრუნია თავისი მონასტრებისათვის შეემუშავენა სამონასტრო წეს-განგებანი - ტიპიკონი.

ტიპიკონი საეკლესიო წიგნია, რომელიც შეიცავს ყველა მღვდელმსახურისათვის სახელმძღვანელო მითითებებს საწელიწდო კალენდრის დღეებში, შვიდეულის კვირებში და ყოველდღიურ ღვთისმსახურების ჩატარების წესისა და თანმიმდევრობის შესახებ. ქრისტიანული ღვთისმსახურების ისტორიაში საეკლესიო ტიპიკონი ერთგვარად განსაზღვრავდა თუ რომელი ეკლესიისა თუ მონასტრის პრაქტიკას უერთდებოდა ესა თუ ის ეკლესია. რადგან არსებობს სამრევლო და სამონასტრო ღვთისმსახურების წესი. სამრევლო ტიპიკონებიდან აღსანიშნავია იერუსალიმის, ანუ ქრისტეს საფლავის ეკლესიისა და კონსტანტინეპოლის, ანუ აია-სოფიას დიდი ეკლესიის ტიპიკონები. ხოლო სამონასტრო ტიპიკონებიდან კი პალესტინაში საბაწმინდის ლავრის, კონსტანტინეპოლის სტოდიელთ მონასტრისა და ათონის მთაზე-მთაწმინდის ათანასეს ლავრისა. ქართული ეკლესია, როგორც უკვე აღინიშნა, მეათე საუკუნემდე უმთავრესად პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ღვთისმსახურებაში ჰქონდათ იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის ტიპიკონი „განჩინება იერუსალიმისა,“ რომელიც როგორც ჩანს მოგვიანებით ისე შეუთვისებია და შეუსისხლხორცებია ქართულ ეკლესიას, რომ ძნელად გასარჩევად ყოფილა იგი უშუალოდ ქართული იყო, თუ საბაწმინდის ლავრის ტიპიკონის მიხედვით შედგენილი საწელიწდო კალენდარ-წეს-განგება იყო. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ეკლესია მსოფლიო ეკლესიის წიაღში იყო ყოველთვის და არასდროს განმდგარა საეკლესიო საერთო საქმისგან.

ქართული სამონასტრო ღვთისმსახურების პრაქტიკაში, ისტორიული და ლიტერატურული ცნობებით დასტურდება, რომ მეცხრე საუკუნეში, გრიგოლ

ხანცეთლმა ტაო-კლარჯეთის მონასტრებში ღვთისმსახურება წმინდა საბა განმწმენდელის ლავრის ტიპიკონის ქართული თარგმანის საფუძველზე დაადგინა და ამ ლიტურგიით ასრულებდა ღვთისმსახურებას.

გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ყოველ მხრივ სჭირდებოდა განახლება, როგორც სახელმწიფოებრივ, სოციალურ-ეკონომიურ, ასევე საეკლესიო ცხოვრების მხრივაც. გრიგოლის ღვაწლი მეტ-ნაკლებად ყველა სფეროს შეეხო, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში. თავისუფლად შეგვიძლია მისი მოღვაწეობა მოსეს მოღვაწეობას შევადაროთ, რომელმაც უდაბნოში ააღორძინა სულიერი ცხოვრება: „რამეთუ ვიდრე მოსვლამდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა მხეცთაგან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტეისნი განზნეულ იყვნეს თითოი, ანუ თუ ორ-ორი სივრცესა მას უდაბნოთასა, ხოლო მოსვლასა წმიდისა გრიგოლისა მცხოვარნი იგი განმხდეს და მხეცნი იგი ეშმაკნი განიოტნეს და ყოველი წესი საღმრთოი განემართა.“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007,12:425)

გრიგოლ ხანძთელის სახელს უკავშირდება მთელი წლის საეკლესიო ღვთისმსახურების ტიპიკონის „ეკლესიის განგების“ შექმნა, რომელიც სავარაუდოდ გრიგოლის ტიპიკონამდეც არსებობდა ქართულ ეკლესიაში. პავლე ინგოროყვას მიხედვით, ეს ხანძთის ქტიტორული ტიპიკონი უნდა იყოს - „წესი და განგებაი ხანძთის სავანესი“, რომლის ტექსტი დაკარგულია. ე. ჭელიძე მიიჩნევს, რომიგი სხვა არაფერია, თუ არა ცნობილი იერუსალიმური ლექციონარი, ანუ იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის ტიპიკონის წეს-განგებიდან მომდინარე საეკლესიო ცხოვრების წესი.

როგორც ჩანს, ადრინდელი ტიპიკონი, რომელიც მეცხრე საუკუნამდე არსებობდა, გრიგოლს არ აკმაყოფილებდა და არც წმინდა მამის მიზნებს შეეფერებოდა. მისი აზრით, კლარჯეთის მამები უფრო მეტად აღემატებოდნენ სულიერად, ამიტომ გადაწყვიტა, რომ შეექმნა ისეთი წეს-განგება, რომელიც მათთვის შესაფერისი იქნებოდა.

გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ აღნიშნავს: „ხოლო მამაი გრიგოლ გულს ეტყოდა, ვითარმედ:“ვითარცა მონასტრისა ჩემისა მამანი სათნობათა უზემთაეს არიან ჟამისა ამის მონაზონთა, ეგრეცა წეს არს წესი საღმრთო ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან განუკითხველი“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007,13:426). აქედან გამომდინარე ნათელია, რომ გრიგოლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საეკლესიო და სამონასტრო წესებს და იცის, რომ შეუძლებელია წესების გარეშე მოღვაწეობა მონასტერში. რადგან წესის გარეშე არ იქნება წესიერება, ანუ ზუსტი და განსაზღვრული ქმედება, რაც მონასტრის სიმტკიცისათვის და ჰარმონიულობისათვისაა საჭირო. ამავე დროს, ქრისტიანობა და ქრისტიანული მდდელმსახურება სწორედ ქმედების თანმიმდევრობაში ქმნის სულიერ ჰარმონიას. მიწიერი ეკლესია ზეციერის სიმბოლური გამოსახულება და ხატია ადამინისათვის. და თუ კი აქ არ იქნება წესრიგი, მაშინ არც საერო ცხოვრებაში იქნებოდა წესრიგი. გრიგოლისათვის, რომლისთვისაც ეკლესია მხოლოდ მისი სულის გადასარჩენი ადგილი არ იყო, ხანძთა და შატბერდი მომავალი საქართველოს განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი ნიშანი იყო, რომელიც გააძლიერებდა ქვეყანაში ეკლესიის ძალას. მას სურვილი აქვს, სამონასტრო განგებულება გარკვეულ წესს ემორჩილებოდეს, რაც ერთგვარად მონასტრის სიძლიერისა და დამოუკიდებლობის გარანტადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამ მიზნით, გრიგოლი თავად გაემგზავრება ბიზანტიაში, „ქრისტეს საჭურჭლედ, მეორე იერუსალიმად“ წოდებულ ქალაქში, კონსტანტინეპოლში, ერთ მოსწავლესა და თავის დეიდაშვილთნ, საბა იშხნელთან ერთად. განიზრახა, მოევლო კონსტანტინეპოლისა და ბიზანტიის სხვადასხვა წმინდა ადგილი, გასცნობოდა აქ არსებული მონასტრების წეს-განგებებს. იმავე პერიოდში გრიგოლმა სთხოვა თვის მეგობარს, სულიერ ძმას, რომელიც იერუსალიმში გაემგზავრა, „საბაწმინდის წესისა დაწერაი და წარმოცემაი“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 13:426). ამისთვის განიზრახა წარსვლიაი ქრისტეს საჭურჭლედ, მეორედ იერუსალიმედ, რომელ არს კონსტანტინეპოლისი, და ყოველთა საჩინოთა საბერძნეთისა წმიდათ ადგილთა მოხილვად და ლოცვად. მას ჟამსა იერუსალიმს წარმავალი ვინმე პოვა მეგობარი თვისი

და მას დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა დაწერაი და წარმოცემაი და ძმათ თვისთა კაცნი მოძღვარნი უჩინნა და მშვიდობაი დაუტევა მათ და აღუთქვა კუალად ადრე მოსვლაი.

და თანაწარიყვანნა საბა, დედის დისწული თვისი, და ერთ ვინმე სხუაი მოწაფე, და წარემართა საბერძნეთად და მოიწია კონსტანტინეპოლის, და თაყვანის-სცა ძელსა ცხოვრებისასა და წმიდათ ყოველთა ნაწილსა“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007,13:426).

გრიგოლი ბიზანტიაში მოივლის და მოილოცავს საბერძნეთის წმინდა ადგილებს, ეცნობა სხვადასხვა მონასტრის ტიპიკონებსა თუ განგებულებებს: „და სიხარულით მოვლნა ყოველნი წმიდანი ადგილნი სალოცველნი, რამეთუ მრავალთა ენათა წურთილ იყო იგი და მრავალმოსწავლე -ყოფილ ხელითა კეთილად მსახურებისაით. და რომელიმე განსაკრძალვევ ბოროტისათვის. და ესრეთ აღმოვისო გული მისი სიმდიდრისაგან დაუბეჭვდელისა ახლისა შჯულისა, და სულითა მადლისაითა განმხიარულებულნი წარმოემართნენ საყოფელად თვისთა“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007,13:426).

გარდა საბერძნეთის მონასტრების ტიპიკონებისა, გრიგოლს სურვილი ჰქონდა გაცნობოდა იერუსალიმის, კერძოდ, საბაწმინდის ლავრის ტიპიკონს და მართლაც, იერუსალიმიდან დაბრუნებულმა გრიგოლის სულიერმა მეგობარმა, ჩამოიტანა კიდევ მისი ასლი. ერთად შეჯერებული ტიპიკონებიდან გრიგოლმა ტაო-კლარჯეთის მონასტრებს საკუთარი განგებულება შეუდგინა, რომელიც სიბრძნით იყო განსაზღვრული და მეცნიერებით განბრწყინებული: „მამინ იერუსალიმით მოიწია კაცი, რომელმან მოართუა საბაწმინდის განგებაი დაწერილი. ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ჟამსა განაწესა წესი თვისისა ეკლესიისაი და მინასრისაი, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით გაბრწინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებილი, ვითარცა საფასი დაუღვენელთა კეთილთაი.“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები,2007, 17: 430)

ეს ტიპიკონი არსებითად არ განსხვავდებოდა საბაწმინდისა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იერუსალიმის აღდგომის ტაძრის ლიტურგიისაგან და ტიპიკონისაგან,

რადგან საბაწმინდის ტიპიკონით მღვდელმსახურება მსგავსი იყო იერუსალიმის აღდგომის ტაძრის ლიტურგიისა და შესაბამისად, გრიგოლის მიერ დაარსებულ ტაძრებში მსგავსი ლიტურგიკა იქნებოდა. არც ტიპიკონით დადგენილი წეს-განგება იქნებოდა უცხო და მიუღებელი გრიგოლისათვის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არც კი აიღებდა მას დედნად თავისი მონასტრებისათვის. ხოლო ის მცირედი განსხვავება არ იქნებოდა ისეთი თვალში საცემი, მით უფრო, რომ მსგავსი რამ უფრო ადრეულ ეტაპზე გვხვდება ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში, რამდენადაც აქ გასათვალისწინებელი გეოგრაფიული და მენტალური მხარეც იყო. რა თქმა უნდა, გრიგოლის მიერ შემუშავებული ტიპიკონი საკმაოდ მკაცრიც იქნებოდა და მის დაცვას ზედმიწევნითაც მოითხოვდა წმინდა მამა, მაგრამ არა იმდენად, რომ იგი არ ყოფილიყო ასატანი აქ მყოფ მამათათვის. სავარაუდოდ, საეკლესიო წეს-განგება ისე არ უნდა ყოფილიყო შედგენილი, რომ მისი შესრულება შეუძლებელი ყოფილიყო, არამედ გონიერებითა და იმ წესების გათვალისწინებით სავსე, რაც მისაღები და ამავედროულად, სულიერი ამაღლებისათვის იქნებოდა მარგებელი. გრიგოლმა იცის, რომ სწორედ სულიერად ამაღლებული ბერ-მონაზვნები აძლიერებს ქრისტიანობას და შესაბამისად ქვეყნის კულტურასა და მწიგნობრობას. გრიგოლმაც იმდენივე ცვლილება შეიტანა ტიპიკონში, რამდენადაც ეს შეესაბამებოდა ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიულ მდებარეობას.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეკლესიის საერთო წესის შემუშავება არ კრძალავს მეტ-ნაკლებ ცვლილებასა და შესწორებას, რამდენადაც იგი გაერთო წესებისა მორგებული უნდა იყოს იმ გარემოზე, სადაც იყო ესა თუ ის ეკლესია და ქრისტიანული თემი.

საინტერესო და ყურადღება გასამახვილებელია იმ ფაქტზეც, თუ როგორი ცხოვრებით ცხოვრობდნენ გრიგოლის მიერ დაარსებულ მონასტრებში წმინდა მამები.

ბერ მონაზონთა ცხოვრება საკმაოდ რთული იყო. სულიერად მართალნი, მაინც მუდმივად სინანულში ცხოვრობდნენ, რადგან ამპარტავნება არ იყო მათი სულიერი მდგომარეობა, არამედ თავმდაბლობითა და უშურველობით ცხოვრობდნენ. მუდმივ ლოცვასა და მარხულობაში იყვნენ და არასდროს ავსებულა მათი სული ღვთისადმი

ოდნავი საყვედურითაც კი. მათი წესი იყო ზომიერად საუბარი და ისიც მხოლოდ სიბრძნით გამსჭვალული. აქაც ჩანს თითოეული ბერის მიმსგავსება გრიგოლთან, როგორც გრიგოლი ემსგავსებოდა ქრისტეს. მათი ლოცვა მუდამ დინჯი და გაგრძელებული იყო, რადგან ისინი გულისხმიერებით ლოცულობდნენ და არა ზედაპირულად. ლოცვის ჟამს ერთმანეთში არ საუბრობდნენ და არც არასდროს ჩამოსხდებოდნენ. მანამ სანამ ეკლესიიდან არ გავიდოდნენ. „რამეთუ ესრეთ იყო ცხორებაი ნეტართაი მათ: სიმართლესა შინამათსა მარადის თავთა თვისთ ბრალობაი აქუნდა და სიყუარულისა ძირი მტკიცე, მოთმინებაი სიმდაბლით და სიმშვიდით, მარხვაი ლოცვითა შეზღუდვილი, სარწმუნეობასა თანა მართალსა დამტკიცებული სიწმინდეი გულისაი და ჭეშმარიტებაი ენისაი და უბიწოებით კრძალვაი სრულიად ყოველსავე ზედა. ხოლო წმიდასა ეკლესიასა ლოცვასა მათსა არა აქუნდა უზნობაი ურთიერთას, არამედ შიშით იდგნედ, ვითარცა ზეცას წინაშე ღმრთისა. და რა ჟამს „დავითსა“ იტყვიედ, ვიდრე „აღელუიასა“ განსრულებამდე, მემხრეთა ვერ იკადრიან მუხლისა აღებაი დაწყნარებულსა მას ლოცვასა მათსა, რამეთუ არა აქუნდა ჩვეულებაი სწარფით თქუმისაი ყოველსავე ზედა საგალობელსა მათსა, არამედ მდაბლად [ვ] და გვიანად იყო ლოცვაი მათი.“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 17:431-432)

ეს წესი მკაცრად იყო განსაზღვრული და, შესაბამისად, როგორც აღნიშნავს გიორგი მერჩულე, სწორედ ამიტომ გრიგოლი არავის მიიღებდა თავის ეკლესიაში, ვინც უღირსი იყო. გარდა ამისა, წესების მიხედვით არავის ჰქონდა უფლება ეკლესიაში კედელს მიყრდნობოდა, გარდა ღრმად მოხუცებულისა, ხოლო ძილსა და მოურიდებლად ჯდომას არასდროს იკადრებდნენ ბერები.

ეკლესია - მონასტრებში სხვა წესიც არსებობდა: ყოველი ღამისთევსას: შეღამებიდან გათენებამდე ლოცვა, ღამისთევამდე დღის ყველა ჟამის ლოცვა, ჟამისწირავა მეცხრე ჟამის დროს და კვერექსის შემატება, ხოლო ჟამისწირვაზე „წმიდაო ღმერთო“ წინ კვერექსი „ზეგარდმო და კვირა დღის ჟამისწირვაზე ექვსი „წმიდაო ღმერთო“ ამასთანავე, საკურთხეველის მსახურებისას არ გაიბედებოდა ფოჩიანი სამოსლითა და ტყავით მსახურება: „ყოველთა ღამისთევათ შემწუხრებითგან

გატნებამდე ლოცვაი, და ღამისთევათა წინადლით დღისა ჟამთა ყოველთა ლოცვაი და ჟამისწირვაი ჟამსა ცხრაჟმისასა, და კუერექსთა შემატეზაი. ხოლო ჟამისწირვასა ყოველსა „წმიდაო ღმერთისა“ წინა კუერექსი „ზეცითგარდამოი“, და კვირიაკეთა ჟამისწირვასა „წმიდაო ღმერთოი“ ექუსი და საკურთხეველისა მსახურებასა ფესუედითა სამოსლითა და ტყავითა არა იკადრებოდა მსახურებაი.“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები,2007, 17:432)

აქ ნახსენები საეკლესიო კანონებიდან სავარაუდოდ, საცისკრო კანონები არის ნავარაუდები (ფსალმუნთა მეჩვიდმეტე კანონი), რომელიც ალბათ უფრო გვიანი შენამატია. ასეა თუ ისე, ერთი ნათელია, რომ გიოგი მერჩულე უნდა გულისხმობდეს საღვთისმსახურო მოღვაწეობის არა პირვანდელ, არამედ შედარებით გვიან ვარიანტს, რისი უშუალო თვითმხილველიც თავადაა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჟამისწირვა არის აღწერილი წინა თავში, სადაც აღდგომის ტაძრის ლიტურგიის აღწერილობა განვიხილეთ, რომელიც ჩვენამდე „ეგერიას მოგზაურობის“ ჩანაწერებითაც ხდება ცნობილი, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია კიდევ მსგავსების დანახვა ლიტურგიკაში იერუსალიმისა და ქართული ეკლესიების განხილვის მაგალითზე. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ მსგავსი ტიპის თანხვედრები გამოგვეკვლია და საბოლოოდ მივსულიყავით გარკვეულ დასკვნამდე.

განსაზღვრული იყო მიცვალებულთათვის წესის აღების წესიც: გარდაცვალებიდან აღინიშნებოდა მესამე, მეშვიდე, მეორმოცე დღე, წელიწადი. ამ დღეების ჟამისწირვა არ მიათვლიდნენ იმ ორას დღეს, რაც ხანცთაში დამარხულებისათვისაა დაწესებული. პაქსიმადის (παξιμαδι- ერთგვარი საჭმელი მეუდაბოებში, გამხმარი პური) გაყოფაც თავიდანვეა დაწესებული. „ხოლო გარდაცვალებულთათვის ყოველთა გარდაიხდიან, გარდაცვალებითგან რასაცა დღესა მიხუდის, სამი დღეი და შვიდი, ორმოცი და წელიწადი. და მათ დღეთა ჟამისწირვაი არა შეათუალიან ორასთა მათ დღეთა, განწესებულთა ხანცთას დამარხულთათვის. და განყოფაი პაქსიმადისაი პირველთგანვე განწესებულ არს. გიორგიწმიდისა თვეი რა დადგეს, მარხვაი წველით,ვიდრე გიორგიწმიდობამდე, ეგრეთვე ქრისტეშობისა მარხვანი და წმიდათ მოციქულთაგანი

საეკლესიოდ დიდითა მოღვაწებით და კეთილად კრძალულებიტა აღასრულიან.“
(ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 17: 432)

ნოემბრის თვიდან ყოველი შაბათის ცისკრის ლოცვაზე “პირმარხვამდე და დიდმარხვის დროს ბზობამდე იკითხებოდა 4 კანონი და „ეგრეთვე წიგნის კითხვა იოთხი“, ვნების კვირაში განსაკუთრებული წესი აღესრულებოდა, ხოლო აღვსებიდან ახალ კვირამდე „ჭირის კანონს“ არ იტყოდენ სერობაზე და სერობაზე „ხადილსა ჩემსა“ წარმოთქვამდნენ, თითო კანონს კითხულობდნენ ახალ კვირაკემდე ცისკრის ლოცვაზე. ხოლო სულთა ხსენების დროს, აღდგომის შემდეგ, ცისკრის ლოცვაზე „ნეტარ არიან“ და „გალობანს“ წარმოთქვამდნენ ისე, როგორც საეკლესიო განგებაში არის დარჩენილი (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007, 17: 434).

მკაცრად იყო განსაზღვრული საცხოვრისი თითოეული ბერ-მონაზვნისა. სენაკში მხოლოდ ერთი პატარა საწოლი იდგა, ზედ „უბადრუკი“ საგები ეგო და ერთი ჭურჭელი წყლისათვის. სხვა რამ, რაც ადამიანის კეთილდღეობისათვისაა საჭირო მკაცრად იკრძალებოდა. ერთობლივ ტრაპეზზე ჭამდნენ, სადაც ღვინო ფაქტობრივად არც კი იხმებოდა, რადგან ბერების უმეტესობას არც კი გაესინჯათ არასდროს (თავად გრიგოლს არასდროს უგემნია იგი, როგორც გადმოცემიდან ვიგებთ), ხოლო ვინც სვამდა, მხოლოდ მცირედს და წყალში განზავებულს.

სენაკში საკვამურიც არ იყო, ამიტომ არც ცეცხლი ინთებოდა. ღამით სანთლითაც არ ნათდებოდა სენაკი. სანაცვლოდ ღამით იყო ფსალმუნთა გალობა და დღისით კი წმინდა წერილის კითხვა და ჟამის ლოცვები.

ასეთივე საცხოვრებლებია აღწერილი „ ეგერიას მოგზაურობის“ იმ ნაწილში, სადაც პილიგრიმი ქალი სინას მთაზე მოგზაურობასა და იქ არსებული ბერების სენაკების შესახებ გვიყვება. ტაოკლარჯეთის ადგილის მსგავსად სინას მთაზე დასახლებული ბერების სენაკები კლდესა და მიწაშია გამოთხრილი და არც აქ არის კეთილმოწყობილი, რადგან ბერთა კელიები არა კომფორტისათვის, არამედ მცირედი დასვენებებისათვის არის განკუთვნილი და იქაც მხოლოდ უფლის სადიდებელს უნდა გალობდნენ („ეგერიას მოგზაურობა“, 1:4).

ღამის გალობა და ფსალმუნთა კითხვა, ჩვეულებრივი წესია ბერისათვის და ეს არა მხოლოდ სინას მთის მონასტრებში, არამედ ყველგან, სადაც სამონასტრო ცხოვრებაა.

ტრადიციულად ითვლება, რომ გრიგოლმა თავისი წესდება შეიმუშავა საბაწმინდის მონასტრის ტიპიკონის საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაში მოიყვანა ტაო-კლარჯეთისა და, სავარაუდოდ, საქართველოში არსებული სამონასტრო საცხოვრისის ადგილ-მდებარეობასთან და ეს წესდება უნდა გავრცელებულიყო ტაო-კლარჯეთის სხვა მონასტრებშიც, როგორც მიუთითებს კორნელი კეკელიძე, ხოლო სხვა მოსაზრებით, გრიგოლ ხანცთელის მიერ დამკვიდრებული საეკლესიო განგებაში უნდა იგულისხმებოდეს იერუსალიმის ლექციონარი- ერთ-ერთი უძველესი ქართულენოვანი ლიტურგიკული წიგნი (ე. ჭელიძე, 2005:479-954).

გრიგოლ ხანცთელი, როგორც გიორგი მერჩულე გვამცნობს, სასულიერო მწერალი და მწიგნობარი ყოფილა. გრიგოლის ცხოვრების მიხედვით, ხანძთის მონასტერში ინახებოდა ჰიმნოგრაფიული კრებული - საწელიწდო იადგარი (ლიტურგიკული კრებული მთელი წლისათვის): „აწ არს ხანძთას ხელითა მისითა დაწერილი სულისამიერ წმიდისა საწელიწდო იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილნი არიან.“

ზემოთ აღვნიშნეთ, საეკლესიო ლიტურგიკა ქართულ ენაზე აღესრულებოდა მეექვსე საუკუნეში ქართული ეკლესიის ყველა ეპარქიაში, გარდა ცურტავისა, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს სომხები შეადგენდა, მაგრამ გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გადმოგვცემს, არსენ კათალიკოსის მოღვაწეობასაც, რომლის დროსაც, როგორც ჩანს, მთელ „ქართლის ქვეყანაში: „ჟამის წირვა“ ქართულად აღესრულებოდა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კვირიელისონ ბერძნულად ითქუმის, რომელი არს ქართულად „უფალო წყალობა ყავ“, გინათუ „უფალო შეგვიწყალენ“ (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 2007,43:519)

ქართული საეკლესიო ლიტურგიკა მეათე საუკუნემდე იერუსალიმურ ლიტურგიკულ პრაქტიკას გამოიყენებდა. იგი, ჩვეულებრივ, მისდევდა იმ წესებს,

რომელიც უშუალოდ პირველ ეკლესიაში, ანუ იერუსალიმში შემუშავდა და ამას არსებითად გამართლებაც აქვს. ამავე დროს ამის გააზრებას იქამდე მივყავართ, რომ ქართული ეკლესია მსოფლიო ეკლესიის წიაღში აღმოცენდა და მსოფლიო ეკლესიის განუყოფელი ნაწილია. ზემოთ აღნიშნული ლიტურგიული წესი მსგავსია და მცირედი განსხვავებით ემთხვევა აღდგომის ტაძრის ლიტურგიას, რომელიც ამავდროულად, გრიგოლ ხანძთელმა იმთავითვე განსაზღვრა ეკლესიისთვის მნიშვნელოვანი ხაზი და ისიც, რომ ქრისტეს პირველი ეკლესიის ძირითადი სავანე ქართველებისათვის მნიშვნელოვანია და პირველწყარო უფრო სარწმუნოდ მიიჩნია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გრიგოლი არ აღიარებდა ბიზანტიურ ეკლესიას, მაგრამ, ვფიქრობ, გრიგოლს ქართული ეკლესიის არანაკლებ უპირატესობაც უნდოდა წინ წამოეწია, რადგან ეკლესიის როლი სახელმწიფოს გაძლიერებაში ძალიან დიდი იყო და ეკლესიას შესწევდა ძალა ქვეყნისა და ერის გაძლიერება მასზე ყოფილიყო დამკვიდრებული.

დასკვნები

ეკლესია პავლე მოციქულის განმარტებით ქრისტეს სხეულია და იგი „დავსებს ყოველივეს ყოველში.“ მისი როლი ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში დიდი და მნიშვნელოვანია. რა არის ეკლესიის მიზანი? ამ კითხვაზე ერთადერთი პასუხია: ეს არის სულისათვის გადარჩენა და თავად ადამიანის კი ხდება მიწიერი და ზეციერი ეკლესიის შუამავალი, რომელიც ისევ ადამიანის სულის ზიარი და მარგებელია.

პირველ საეკლესიო კრებებზე ძირითადად ტრინიტულ საკითხს განიხილავდნენ, რასაც შემდგომი კრებების საკითხის შეცვლა მოჰყვა და ამის შემდეგ ძირითადი თემა საეკლესიო კრებისა ქრისტოლოგიის საკითხს დაუთმეს. ეს კი პირველი ნიშანი იყო ერთიანი მსოფლიო ეკლესიის ჩამოყალიბების პროცესში. კრებები ერთიან დოგმატს ჰქმნიდნენ და ამიტომაც ისინი ძალიან დიდ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ეს კრებები თავისთავად ერესების წარმოქმნასაც უშლიდნენ ხელს.

ქრისტეს პირველი მიმდევრები, რა თქმა უნდა, თავად მაცხოვარისაგან სწავლობდნენ ახალ მოძღვრებას და ამ ახალი მოძღვრების მსახურებასაც. ამიტომ ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის შემდეგ, როდესაც ამაღლებისა და სულთმოფენობის დღესასწაულის მაღლითა და ძალით მათ მიეცათ ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგების დავალება, ისინი პირველ ქრისტიანებს ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა ეცხივრათ, ან კიდევ როგორ უნდა შეესრულებინათ ღვთის მიმართ მსახურება. პირველად ისინი ლოცვისთვის ტაძრებში იკრიბებიდნენ და აქ ლოცულობდნენ, ხოლო ევექარისტიის საიდუმლოს კი სახლებში ასრულებდნენ. მორწმუნეთა რიცხოზობის ზრდამ თავისთავად ეკლესიის არსებობა მოითხოვა და ცალკე სალოცავი, სადაც ყველა წესს აღასრულებენ. ამავე დროს ეს იქნებოდა ქრისტიანების შეკრების ადგილი, სადაც ქრისტიანულ სწავლებას გადმოსცემდნენ.

ერთიანი ქრისტიანული ეკლესიის ჩამოყალიბებას ხელი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, შეუწყო, რასაც მოგვიანებით საერთო წესის

აუცილებლობა მოჰყვა. ეს წესი საერთო უნდა ყოფილიყო როგორც ღვთისმსახურებში, ასევე ეკლესიის სტრუქტურაში.

პირველი რაც განისაზღვრა, ღვთისმსახურთა არსებობა იყო. პირველ ეკლესიაში სამი მსახური ითვლებოდა: ეპისკოპოსი, რომელიც ყველაზე მაღალი წოდება იყო და რომლის გარეშე არ წარიმართებოდა ღვთისმსახურება, მღვდელი, ანუ მოძღვარი და ბოლოს დიაკვანი. მღვდელს და დიაკვანს ღვთისმსახურებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ღვთისმსახურების დამოუკიდებლად ჩატარების უფლება. არამედ, ისინი ფსალმუნებს გალობდნენ და სახარებიდან გარკვეულ მონაკვეთს კითხულობდნენ. აგრეთვე მათ ევალეობდათ გარკვეული ქრისტიანული თემის სხვადასხვა პრობლემის მოგვარება, მაშინ, როცა ეპისკოპოსი არ იყო ერთ თემზე მიმართული, მღვდელი და დიაკვანი თემის პატრონი და სულიერი აღმზრდელი იყო.

როგორ დადგინდა და შემუშავდა საერთო საეკლესიო დოგმები, თუ ღვთისმსახურების წესები? ამაზე საერთო პასუხი არსებობს. პირველი წესი ღვთისმსახურებისა ქრისტიანულ ეკლესიაში თავად უფლისგან იყო დადგენილი. ამის მაგალითი მან მისცა მოციქულებს, როდესაც სადუმლო სერობის ჟამს თავად ატარებს რიტუალს და პურისა და ღვინის კურთხევით, პირველ წესს აჩვენებს თავის მოწაფეებს. ანუ პირველი ზიარება მოხდა ადამიანისა პურისა და ღვინის სიმბოლური სახით, სადაც პური ქრისტეს ხორცს, ხოლო ღვინო ქრისტეს სისხლს განასახიერებდა.

მოქციქულები ასე აღავლენდნენ ღვთისმსახურებას, მაგრამ მოგვიანებით, როცა ქრისტეს მიმდევრები ცალკეულ ეკლესიებს ქმნიან, საჭირო ხდება ქრისტეს მოძღვრების სწორად და მართებულად სწავლება. პირველი სწავლება და ღვთისმსახურება ყოველდღიურად სრულდებოდა. მაგრამ შემდგომში, როცა დაიწყო ქრისტიანთა დევნა, რთული გახდა ყოველდღიური შეკრება და ამიტომაც ყოველი კვირა გახდა მათი შეკრების დღე, რადგან კვირა უფლის დღედ და ამავდროულად აღდგომის თანასწორი იყო. ამ დროსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა სამი, ექვსი და ცხრა საათის ჟამის ლოცვას დაეთმო, რომელსაც გარკვეული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. ეს იყო ქრისტეს გაცემის, ჯვარცმისა და ჯვარზე აღსრულების ჟამი.

დროთა განმავლობაში ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ღვთისმსახურების სხვადასხვა ფორმა, მაგრამ საბოლოოდ ეკლესიის სიმტკიცისა და ერთიანობისათვის საჭირო გახდა ერთიანი წესის დადგენა და ჩამოყალიბება.

პირველი ასეთი ერთიანი წესის შექმნა და დადგენა იერუსალიმის პირველ პატრიარქსა და ქრისტეს ხორციელ ძმას, იაკობს ეკუთვნის, რომელმაც პირველად ჩაწერა თვლისმსახურების თანმიმდევრობა. ეს ჟამი დღეს მხოლოდ წელიწადში ერთხელ აღესრულება მართლმადიდებლურ ეკლესიებში. შედგომში გარკვეული ცვლილებები შეიტანეს სხვა წმინდა მამებმა, მაგრამ მათ ძირეული ცვლილებები არ შეუტანიათ. მხოლოდ, მოგვიანებით, როდესაც იოანე ოქრიპირი გადაამუშავებს ლიტურგიის წესს, იგი ამოკლებს მას, რასაც ხსნის კიდევ იმით, რომ დიდხანს ლიტურგიაზე დგომა სულაც არ არის სულიერების განსამტკიცებელი, არამედ ეს დამღლელია და ქრისტიანს ყურადღება ეფანტება და ვერ წვდება ლოცვისა და ღვთისმსახურების არსს.

მართლმადიდებლური ღვთისმსახურება მოგვიანებით სამი სახის ტიპიკონს იცნობს, ეს არის პალესტინური, ანუ იერუსალიმური, კონსტანტინეპოლისა და ათონის მთისა. ამათგან ადრინდელი პალესტინის, ანუ იერუსალიმურია, რომელსაც ქართული ეკლესიაც მისდევდა მეთათე საუკუნემდე.

ქართული ეკლესია არ არის გამოყოფილ საერთო, მსოფლიო ეკლესიიდან. იგი მისი წევრია მას შემდეგ რაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, თუმცა მისი ქრისტიანობასთან შეერთება უფრო ადრე მომხდარა, რადგან ცნობილია, რომ აქ ქრისტიანობა წმინდა ნინომდე ანდრია პირველწოდებულს, სიმონ კანანელსა და მატათას უქადაგიათ. დასტურდება აგრეთვე ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოსის, სტრატოვილეს მონაწილეობაც. ხოლო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის გამოცხადების შემდეგ კი მას კავშირი ჰქონია მთელ ქრისტიანულ სამყაროსთან. იგი იერუსალიმის ეკლესიას უკავშირდება და ამის ნიშანი სწორედ იერუსალიმური ტიპიკონზე მიერთებაა. თუმცა მოგვიანებით ათონის მთის ტიპიკონი გავრცელებულა და დამკვიდრებულა აქ.

ჩვენი კვლევის მიზანი ქართული ეკლესიის ღვთისმსახურების საერთო, მსოფლიო ეკლესიის ღვთისმსახურების ჭრილში განხილვაა და მათი ერთიანობის დადასტურების კიდევ ერთი მცდელობა გახლავთ. ამისთვის ეკლესიის ისტორიის კონკრეტული დრო და პერიოდი გამოვყავით, კერძოდ, V-X საუკუნის ქართული ეკლესიის ღვთისმსახურება ავიღეთ და პარალელურად შესადარებელი ტექსტი პილიგრიმთა ჩანაწერები ავირჩიეთ.

რატომ მაინცა და მაინც პილიგრიმული ტექსტები? მივიჩნიეთ, რომ ეს თემა და კვლევას უფრო მეტად საინტერესოს გახდიდა, რადგან კვლევის პარალელურად უცხო ტექსტის შესწავლა და შეძლებისდაგვარად თარგმანი მიმდინარეობდა. მით უფრო, რომ პილიგრიმთა ჩანაწერები მეოთხე საუკუნეს მიეკუთვნება და მისი თარგმნა გაკვეთულ სირთულესთან იყო დაკავშირებული (ლინგვისტური თვალსაზრისით, იმდენად რამდენადაც საქმე გვაქვს ვულგარულ ლათინურთან, სადაც ხშირად დამახინჯებული, ან უკვე სხვა ენისათვის დამახასიათებელი ფორმები გვხვდება). ჩანაწერიდან ცნობილი გახდა, რომ პილიგრიმი ქალი აღწერს თავის მოგზაურობას წმინდა მიწაზე, კერძოდ პალესტინაში, სინას მთაზე, იერუსალიმში და ეს მოგზაურობა კონსტანტინეპოლში სრულდება. ამავდროულად ხელნაწერი არასრული სახითაა ჩვენამდე მოღწეული და ესეც სირთულეს წარმოადგენდა ჩვენთვის. თუმცა გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ საინტერესო ცნობები გახდა ცნობილი ჩვენთვის და კარგი მასალა მოგვეცა საკვლევად და შესადარებლად სხვა, ქართულ ტექსტთან. კერძოდ, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან.“

ტექსტების შესწავლისა და შედარების საფუძველზე ადვილი აღმოჩნდა პარალელის მოძებნა ქართული და იერუსალიმული ღვთისმსახურების მსგავსებასთან. ორივე ტექსტი რამდენიმე ასპექტში შეიძლებოდა განხილულიყო: როგორც ლიტერატურულ, ასევე ისტორიულ ჭრილში.

კვლევის მიზნად დასახული გვქონდა გაგვეცნო და გაგვეხილა პილიგრიმობა და პილიგრიმული ლიტერატურის მნიშვნელობა ქრისტიანულ სამყაროში, შეგვესწავლა მისი ლიტერატურული დანიშნულება. ამავდროულად საინტერესოდ ჩავთვალეთ

თვითმხილველისაგან მიღებული ცნობები რამდენად იქნებოდა ზუსტი უკვე არსებულ ჩანაწერებთან და იქნება თ არა კიდევ ერთი დასტური ქართული და იერუსალიმური ეკლესიის ლიტურგიკული მსგავსება.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ საინტერესო შედეგი მოგვცა: აღდგომის ტაძრის ლიტურგიის აღწერამ დიდი მსგავსება დაგვანახა ქართულ საეკლესიო ლიტურგიკასთან, რომელიც აღწერილია გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.“ ამავე დროს, სამონასტრო ცხოვრების გარკვეული მსგავსება კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს საერთო საეკლესიო მსგავსებაზე არა მხოლოდ მსოფლიო მართლმადიდებლურ, არამედ მსოფლიო და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის.

ჩვენ შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ ის ძირითადი საკითხები, რაც საინტერესო და ერთგვარად დამაკავშირებელი შეიძლება ყოფილიყო ქართულ და იერუსალიმურ ლიტურგიკას შორის, ღვთისმსახურების საწყის პერიოდში. აქვე აღსანიშნავია, რა თქმა უნდა, ის ფაქტიც, რომ თავად ეგერია სიღრმისეულად ვერ გვამცნობდა ყველა იმ წესს, რაც დამახასიათებელი იყო ერთიანი ეკლესიისათვის, რადგანაც მცირეოდენი ცვლილებებს ყოველი ეპოქა განიცდის და ამასვე განიცდიდა საეკლესიო მღვდელმსახურებაც. ქართული ეკლესია არ არის ცალკე სხვა მართლმადიდებლრი ეკლესიისაგან, რადგან იგი მსოფლიო ეკლესიის ერთ ერთი ნაწილია.


მნიშვნელოვანია, რომ ქართული ლიტურგიკული პრაქტიკა მეათე საუკუნემდე პალესტინის ლიტურგიკას უკავშირდება და ღვთისმსახურებაში პალესტინური ტიპიკონიც იქნებოდა გამოყენებული (ამის დამადასტურებელია ერთ-ერთი ცნობა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“ გვაქვს მოცემული).

ეგერიას „მოგზაურობის“ ტექსტის ცალკეული ფრაგმენტების კვლევა და შეპირისპირება ქართულ ლიტურგიკულ ტექსტებთან სწორედ ამის დასტურია.

ეგერია თავის მოგზაურის დღიურებში არაოფიციალური ენით გადმოსცემს ლიტურგიკულ წესებს, რაც ერთგვარად გამოწვევაცაა მთარგმნელისათვის. განსაკუთრებით საინტერესო იქნება მათთვის, ვინც იკვლევს ხალხური ლათინურის ლექსიკასა და გრამატიკას. ეს ის პერიოდია, როცა რომანული ენები ცალკეულად ყალიბდებიან და ამიტომ ტექსტის თარგმანის დროს საჭიროა ზუსტი და სიტყვასიტყვითი თარგმანი. მით უფრო, რომ ტექსტი ჩვენამდე სამწუხაროდ მხოლოდ ერთ ვარიანტადაა მოღწეული და ისიც საკმაოდ დაზიანებით.

ნაშრომში წამოჭრილი საკითხები, შესაძლებელია, შემდგომი კვლევების საინტერესო მასალადაც გამოვიყენოთ. მით უფრო, რომ თავად ეგერიას “მოგზაურობა” ქართულად არ არის ნათარგმნი და ვიმედოვნებთ ტექსტის თარგმნის შემდეგ კიდევ უფრო საინტერესო მასალა წარმოჩნდება ჩვენ თვალწინ.

ეგერის მოგზაურობის მარშრუტი



გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1991 წელი
2. ბიბლია, თბილისი, 2013 წელი
3. ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, თბილისი, 2011 წელი
4. კ. დანელია, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხები), თბილისი, 1987 წელი
5. მ. დალაქიძე, ლ.ხევსურიანი, კალის ლექციონარის დათარიღებისათვის, ფილოლოგიური ძიებანი II, 1995. გვ.64-80
6. ევსევი კესარიელი, საეკლესიო ისტორია, წიგნი I-X
7. მ. თარხნიშვილი, იაკობის ჟამისწირვის კიდევ ერთი ქართული ნუსხა, კრებული, წერილები,(თარგმნა ზ.ჭუმბურიძემ), თბილისი, 1994 წელი
8. მ. თარხნიშვილი, სიწმინდის განახლების წესი და მისი დღესასწაული ვნების პარასკევს ქართული წყაროების მიხედვით, კრებული, წერილები (თარგმნა ზ.ჭუმბურიძისა), თბილისი, 1994 წელი
9. მ. თარხნიშვილი, ქართული ლექციონარის ორი ფრაგმენტი V და VIII საუკუნეებისა. კრებული, წერილები, (თარგმნა ზ. ჭუმბურიძისა), თბილისი, 1994 წელი.
10. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონი, თბილისი, 1986 წელი
11. პ. ინგოროყვა გიორგი მერჩულე-ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბილისი,1954 წელი
12. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, თბილისი, 1980 წელი

13. ვ. კეკელიძე კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები, ტ. IV, თბილისი, 1957 წელი
14. ვ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი... ეტიუდები, I, თბილისი, 1956 წელი
15. ვ. კეკელიძე, ძველი ქართული ეორტალოგიური წელიწადი, ეტიუდები... ტ. I, თბილისი, 1956 წელი
16. ვ. კეკელიძე, მცირე კანონი იოანე ზოსიმესი, ეტიუდები, ტ. III, თბილისი, 1955 წელი.
17. ვ. კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი (Xს.). შესწორებული ტექსტი და გამკვლევა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბილისი, 1957 წელი
18. კვიპრიანე არქიმანდრიტი (კერნი), ლიტურგიკა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ელ. კალანდარიშვილმა, თბილისი, 2002 წელი
19. გ. კოპლატაძე, ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, თბილისი, 2009 წელი
20. ე. კოჭლამაზიშვილი, დიდი სინური კურთხევანის თავისებურებანი, თბილისი, 2002 წელი
21. ე. კოჭლამაზიშვილი, წესი მოძღვრობისა. კრ. „რელიგია და საზოგადოება, III, თბილისი, 2004 წელი
22. ე. კოჭლამაზიშვილი, კათაკმევლობისა და ნათლისღების წეს-განგებათა სისტემაუძველეს ქართულ „კურთხევანთა“ კრებულებში, ‘ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი,“ II, 2008 წელი.
23. ე. კოჭლამაზიშვილი, გულანნი, „ლიტერატურული ძიებანი“, XXII, თბილისი, 2001 წელი
24. ე. კოჭლამაზიშვილი, ეფრემ მცირის ერთი ლიტურგიკული კომენტარი. კრ. „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა,“ N3, თბილისი, 2000 წელი
25. ე. კოჭლამაზიშვილი, ტაძრობა, ჟურნ. სავანე (ჭიათურის ეპარქია), N1, 2001 წელი.

26. ე. კოჭლამაზიშვილი, „რომლის ენითა არს მარტვილობა“ საქ. საეკლესიო კალენდარი, 2004 წელი
27. ე. კოჭლამაზიშვილი, ე. გიუნაშვილი, „ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა“ XIII ს. ხელნაწერის მიხედვით, თბილისი, 2005 წელი
28. ე. კოჭლამაზიშვილი, წმინდა გერმანე კონსტანტინოპოლელი, სახისმეტყველებითი განმარტება საღმრთო ლიტურგიისა (ტექსტი, შესავალი, ლექსიკონი) საქ. ეკლესიის კალენდარი 2004 წლისათვის, თბილისი, 2003 წელი
29. ე. კოჭლამაზიშვილი, შემურვის ლოცვა, მცირე საეკლესიო კალენდარი, 1999 წლისათვის, თბილისი, 1998 წელი
30. ე. კოჭლამაზიშვილი, ლიტურგიკული ლექსიკონი. საქართველოს საეკლესიო კალენდარი, 2003 წელი
31. ე. კოჭლამაზიშვილი, მცირე კურთხევანი, ბოლოსიტყვაობა, თბილისი, 1998 წელი
32. ე. კოჭლამაზიშვილი, „სულთმოფენობა, თუ სამეობა?“ ჯვარი ვაზისა“, N 1, 1991 წელი
33. ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა (ე. მეტრეველის რედაქტორობით), თბილისი, 1955 წელი
34. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თბილისი, 1980 წელი
35. ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, მაცნე, ელს, N4, 1976 წელი.
36. დ. ოთიაშვილი, ზ. ჯაში, მსოფლიო რელიგიები, თბილისი, 2012 წელი
37. საღვთისმეტყველო შემეცნებითი აღმანახი, N4, 2010 წელი
38. უტიე ბერნარ, კ. კეკელიძე და ქართული ლექციონარის საკითხები, მრავალთავი, X, თბილისი, 1983 წელი
39. მ. ფაღავა და სხვ... კლარჯეთი, თავი III, ლიტერატურულ-მწიგნობრული კერები კლარჯეთში (რ. ხალვაში), ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, ბათუმი, 2016 წელი

40. ა. ჯაფარიძე, ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი, 1989 წელი
41. ა. ჯაფარიძე, ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი, 2008წელი
42. „მოქცევაი ქართლისაი“ შატბერდული კრებული, X ს. მეცნიერება, თბილისი, 1979 წელი
43. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, 1978 წელი
44. ქართული მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1987 წელი
45. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები 3 ტომად, ტ. II, თბილისი, 2007 წელი
46. „ქართლის ცხოვრება“ , ტ. I, თბილისი, 2012 წელი
47. წერეთელი გ. „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“, თბილისი, 1960 წელი
48. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 2012 წელი
49. ე.ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბილისი, 1996 წელი
50. ე.ჭელიძე, გზა მსოფლიო კრებათა დოგმატური ღვთისმეტყველებისაკენ ანუ ნესტორიანულ-მონოფიზიტურ-ანაბაბტისტურ შეთქმულებათა მარცხი, თბილისი, 2019 წელი
51. Аман А.Г. Повседневная жизнь первых христиан, Москва, 2003 г.
52. Беляев Л.А.Христианские древности, Москва, 1998 г.
53. Кекелидзе К. Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их значения.Тифлис, 1809 г.
54. Кекелидзе К. К вопросу об Иерусалимской происхождении Грузинской церкви, ეტიუდები, ტ. VII, თბილისი, 1960 წელი
55. Кекелидзе К. Литургическая справка по вопросу об Автокефалий грузинской церкви, ეტიუდები, ტ. VII, თბილისი, 1960 წელი
56. Матеос Х, Тафт Р. Развитие Византийской литургии, Киев, 2009 г.

57. Подвижники благочество Синаиской горы. Письмо паломницы IV века, Москва, 1994 г.
58. Henri-Irinee Marrou, L'Eglise de l'Antiquite tardive, 1985.
59. Jean Danielou, L'Eglise des premiers tamps, 1985

გამოყენებული ელექტრონული რესურსები

1. http://www.hs-augsburg.de/~harsch/Chronologia/Lspost07/Valerius/val_la.us.html
2. http://orthodoxwiki.org/Church_of_Georgia
3. <http://theorthodoxchurch.info/blog/news/2012/02/>
4. <http://www.britanica.com/EB/checked/topic/230317/Georgian-Orthodox-church>
5. http://www.encyclopedia.com/topic/Georgian_Orthodox_Church.aspx
6. <http://www.intratext.com/X/LAT0719.HTM>
7. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=757%3A2017-10-25-10-22-44&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka
8. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=515%3A2012-07-01-13-42-19&catid=47%3A2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=ka

